

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის ბრძანება №1014

2008 წლის 21 ნოემბერი

ქ. თბილისი

### მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტის, 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ.ბ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილების და „მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 9 თებერვლის №29 დადგენილების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**გ. ნოდია**

**შეტანილი ცვლილებები:**

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 აპრილის ბრძანება №57/ნ - ვებგვერდი, 04.05.2011 წ.
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 20 აპრილის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 25.04.2012წ.
5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 28 მარტის ბრძანება №39/ნ - ვებგვერდი, 01.04.2014წ.

### მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

**თავი I**

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 28 მარტის ბრძანება №39/ნ - ვებგვერდი, 01.04.2014წ.*

## ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (შემდგომში – სტანდარტი), „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და ვალდებულებებს; სტანდარტში წარმოდგენილი მოთხოვნები საერთოა ყველა მასწავლებლისათვის.

2. სტანდარტის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. ის ვრცელდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა სახის მასწავლებელზე, გამოიყენება მასწავლებლობის მსურველის კომპეტენციების განსაზღვრისა და შეფასებისთვის.

3. სტანდარტი არის მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის საფუძველი.

### მუხლი 2. სტანდარტის სტრუქტურა

1. სტანდარტი შედგება 3 ნაწილისგან:

- ა) პროფესიული მახასიათებლები;
- ბ) სასწავლო პროცესის მართვა;
- გ) პროფესიული განვითარება.

2. პროფესიული მახასიათებლები გულისხმობს ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ერთობლიობას ყველა კატეგორიის მასწავლებლისთვის.

3. სასწავლო პროცესის მართვა გულისხმობს უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, სწავლების მრავალფეროვანი მეთოდებისა და მრავალმხრივი შეფასების სისტემის გამოყენებას.

4. პროფესიული განვითარება გულისხმობს მასწავლებლის დაინტერესებას საკუთარი პროფესიული განვითარებით; კოლეგებთან თანამშრომლობას მოსწავლეთა სასწავლო და აღმზრდელობითი პრობლემების დაძლევის, პროფესიული საჭიროებების დადგენისა და პროფესიული განვითარებისთვის.

5. სტანდარტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მართვა და მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პროფესიული განვითარება განსხვავდება მასწავლებლის საკვალიფიკაციო კატეგორიების მიხედვით.

6. პროფესიული მახასიათებლები, სასწავლო პროცესის მართვა და პროფესიული განვითარება დეტალურად აღწერილია სტანდარტში.

## თავი II

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 28 მარტის ბრძანება №39/ნ - ვებგვერდი, 01.04.2014წ.*

### მასწავლებლის საკვალიფიკაციო კატეგორიები

### მუხლი 3. მასწავლებლის საკვალიფიკაციო კატეგორიები

1. კომპეტენციებისა და საქმიანობის შედეგების მიხედვით, სტანდარტი ადგენს მასწავლებლის ოთხ საკვალიფიკაციო კატეგორიას, რომელთაგან ყველაზე დაბალია პრაქტიკოსი მასწავლებელი, ხოლო ყველაზე მაღალია მენტორი მასწავლებელი.

2. მასწავლებლის საკვალიფიკაციო კატეგორია:

- ა) პრაქტიკოსი მასწავლებელი;
- ბ) წარჩინებული მასწავლებელი;
- გ) მკვლევარი მასწავლებელი;
- დ) მენტორი მასწავლებელი.

3. ყოველი საკვალიფიკაციო კატეგორიის მინიჭება დასტურდება შესაბამისი სახელმწიფო სერტიფიკატით.

4. ყოველი მომდევნო საკვალიფიკაციო კატეგორიის მასწავლებელი სრულად უნდა ფლობდეს წინა საკვალიფიკაციო კატეგორიის კომპეტენციებს.

5. საკვალიფიკაციო კატეგორია სრულად აღწერს მე-2 მუხლის პირველი პუნქტში მითითებულ სტანდარტის სამივე ნაწილს.

### თავი III

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 28 მარტის ბრძანება №39/ნ - ვებგვერდი, 01.04.2014წ.*

#### მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები

**მუხლი 4. პრაქტიკოსი მასწავლებელი:**

1. აცნობიერებს თავისი პროფესიის მნიშვნელობასა და პასუხისმგებლობას სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს მდგრადი განვითარებისთვის.

2. იცის საგანი და მისი სწავლების მეთოდიკა;

3. იცავს ინკლუზიური განათლების პრინციპებსა და იზიარებს ღირებულებებს.

4. აქვს ნებისმიერი მოსწავლის წარმატების მოლოდინი.

5. ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე; უზრუნველყოფს მათ სწავლას და განვითარებას ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნათა შესაბამისად.

6. იცის სახელმწიფო და სწავლების ენები.

7. იცავს მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს.

8. პროფესიული საქმიანობის შესრულებისას ავლენს ეფექტური კომუნიკაციის უნარს და თანამშრომლობს სკოლასთან დაკავშირებულ ყველა მხარესთან.

### თავი IV

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 28 მარტის ბრძანება №39/ნ - ვებგვერდი, 01.04.2014წ.*

#### პრაქტიკოსი მასწავლებელი

**მუხლი 5. პრაქტიკოსი მასწავლებლის საკვალიფიკაციო კატეგორია**

პრაქტიკოს მასწავლებელს აქვს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისთვის საჭირო ცოდნა და უნარები, იცავს ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად მოთხოვნებს, აცნობიერებს კოლეგებთან თანამშრომლობის მნიშვნელობას, შეუძლია საკუთარი პროფესიული საქმიანობების დადგენა, ზრუნავს პროფესიულ თვითგანვითარებაზე.

**მუხლი 6. სასწავლო პროცესი, სასწავლო გარემო**

1. მასწავლებელი ქმნის უსაფრთხო გარემოს სხვადასხვა კულტურის მოსწავლეებისათვის;

2. აცნობიერებს ქცევის წესების მნიშვნელობას უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნისათვის და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ამ წესების დაცვას;
3. ადეკვატურად რეაგირებს კონფლიქტურ სიტუაციებზე;
4. აცნობიერებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას და იყენებს რეკომენდაციებს მოსწავლეების მოტივაციის ასამაღლებლად;
5. მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესაბამისად, რეკომენდაციების საფუძველზე შეუძლია სასწავლო გარემოს მოწყობა და რესურსების ორგანიზება.
6. აცნობიერებს მოსწავლის მშობლებისა და სხვა კანონიერი წარმომადგენლების სასწავლო პროცესში ჩართვის აუცილებლობას და თანამშრომლობს მათთან.

### **მუხლი 7. სასწავლო პროცესის დაგეგმვა**

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მასწავლებელი შეიმუშავებს თემატურ სასწავლო გეგმებს.
2. გეგმავს გაკვეთილს ყველა კომპონენტისა და მათ შორის კავშირების გათვალისწინებით.
3. დაგეგმვისას ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალისტების რეკომენდაციებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისათვის.
4. აცნობიერებს კლასგარეშე საქმიანობის როლსა და მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლისა და მრავალმხრივი განვითარებისათვის. კლასგარეშე საქმიანობას გეგმავს სასკოლო გეგმის შესაბამისად.

### **მუხლი 8. სწავლება**

1. მასწავლებელმა იცის მოსწავლის ფიზიკური, კოგნიტური, სოციალურ-პიროვნული განვითარების თავისებურებები, სწავლისა და განათლების თეორიების ძირითადი პრინციპები და იყენებს მათ პრაქტიკაში; საჭიროების შემთხვევაში მიმართავს კოლეგებს დახმარებისთვის.
2. იცის სწავლის თეორიები და სთავაზობს მოსწავლეებს სწავლის სხვადასხვა სტრატეგიას.
3. გაკვეთილის მიზნის შესაბამისად იყენებს სწავლების სტრატეგიებს.
4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლისათვის იყენებს შესაბამის სტრატეგიებს.
5. სასწავლო პროცესში იყენებს სკოლაში არსებულ რესურსებს (მათ შორის -ციფრულს).

### **მუხლი 9. სასწავლო პროცესის შეფასება**

1. მასწავლებელი იყენებს შეფასების სხვადასხვა ტიპსა და მეთოდს, სკოლის მიერ შემუშავებულ შეფასების სქემებსა და რუბრიკებს.
2. სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად იყენებს მოსწავლეთა შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს.
3. აკვირდება და აღწერს მოსწავლის სწავლის სირთულეებს. საჭიროების შემთხვევაში მიმართავს დარგის სპეციალისტს.

### **მუხლი 10. პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა**

1. მასწავლებელი კოლეგების დახმარებით ადგენს პროფესიულ საჭიროებებს და ზრუნავს პროფესიულ თვითგანვითარებაზე.
2. აცნობიერებს პედაგოგიური კვლევის მნიშვნელობას სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესებისა და პროფესიული განვითარებისთვის, მონაწილეობს კოლეგების მიერ ჩატარებულ კვლევებში.
3. მონაწილეობს პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებებში;
4. სისტემატურად ეცნობა პროფესიულ ლიტერატურას და მიღებულ ცოდნას იყენებს პრაქტიკაში.

## წარჩინებული მასწავლებელი

### მუხლი 11. წარჩინებული მასწავლებლის საკვალიფიკაციო კატეგორია

წარჩინებული მასწავლებელი აცნობიერებს თითოეული მოსწავლის უნიკალურობას და, შესაბამისად, იყენებს სწავლების დიფერენცირებული მიდგომის სტრატეგიებს; საკუთარი საქმიანობისა და მოსწავლეთა შეფასების ანალიზის საფუძველზე აუმჯობესებს მოსწავლეთა მიღწევებს და სრულყოფს თავის პედაგოგიურ პრაქტიკას. თანამშრომლობს კოლეგებთან პრობლემების ერთობლივად გადაჭრისა და პროფესიული განვითარებისთვის.

### მუხლი 12. სასწავლო პროცესი, სასწავლო გარემო

1. იყენებს მოსწავლეთა კულტურულ მრავალფეროვნებას დადებითი სასწავლო გარემოს შესაქმნელად.

2. იყენებს სწავლების კონკრეტულ მეთოდსა და ორგანიზების ფორმასთან დაკავშირებულ ქცევის წესებს.

3. განსაზღვრავს კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებს და იყენებს კონფლიქტის მოგვარების ეფექტიან სტრატეგიებს.

4. თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებით ირჩევს მოტივაციის ამაღლების შესაბამის სტრატეგიებს.

5. სპეციალისტებთან ერთად ქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესზე ორიენტირებულ გარემოს და უზრუნველყოფს კლასში მოსწავლის ინტეგრაციას.

6. კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, ირჩევს მოსწავლის მშობლებთან და სხვა კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის მიდგომებს.

### მუხლი 13. სასწავლო პროცესის დაგეგმვა

1. სკოლის პრიორიტეტების და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით მასწავლებელი შეიმუშავებს თემატურ სასწავლო გეგმებს.

2. გაკვეთილის დაგეგმვისას ითვალისწინებს შიდა და საგანთაშორის კავშირებს.

3. სპეციალისტებთან ერთად ქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

4. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, გეგმავს კლასგარეშე აქტივობებს.

### მუხლი 13<sup>1</sup>. სწავლება

1. მასწავლებელი ეფექტიანად იყენებს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, სწავლისა და განათლების თეორიების ცოდნას მოსწავლეების ფიზიკური, კოგნიტური, სოციალურ-პიროვნული განვითარებისთვის.

2. თითოეულ მოსწავლეზე დაკვირვების საფუძველზე ეხმარება მათ დამოუკიდებელ შემსწავლელად ჩამოყალიბებაში.

3. მოიძიებს და პრაქტიკაში ნერგავს სწავლების ინოვაციურ სტრატეგიებს.

4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან მუშაობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით.

5. ახდენს სკოლაში არსებული რესურსების კლასიფიკაცია-კატეგორიზაციას; მოიძიებს და იყენებს სასწავლო მიზნის შესაბამის რესურსებს, მათ შორის - ციფრულს.

### **მუხლი 13<sup>2</sup>. სასწავლო პროცესის შეფასება**

1. მასწავლებელი აანალიზებს შეფასების ტიპებისა და მეთოდების დადებით მხარეებს, რისკფაქტორებს; ქმნის შეფასების სქემებს, რუბრიკებს კლასისა და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით.

2. სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებს შეფასების შედეგებს.

3. ინდივიდუალური მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, აფასებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის პროგრესს და ირჩევს შეფასების შესაბამის სტრატეგიებს.

### **მუხლი 13<sup>3</sup>. პროფესიული განვითარება**

1. მასწავლებელი კოლეგებთან ერთად გეგმავს სპეციალურ კვლევით სამუშაოებს, ახორციელებს მათ და იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

2. პროფესიულ განვითარებას გეგმავს საკუთარი საქმიანობის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

3. კოლეგებს უზიარებს პედაგოგიურ გამოცდილებას.

4. კრიტიკულად აანალიზებს პროფესიულ ლიტერატურას და პრაქტიკაში აქტიურად ნერგავს სიახლეებს.

## **თავი IV<sup>2</sup>**

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 28 მარტის ბრძანება №39/ნ - ვებგვერდი, 01.04.2014წ.*

### **მკვლევარი მასწავლებელი**

#### **მუხლი 13<sup>4</sup>. მკვლევარი მასწავლებლის საკვალიფიკაციო კატეგორია:**

მკვლევარი მასწავლებელი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის საფუძველზე გადაამუშავებს სასწავლო პროგრამას კონკრეტული კლასის/საფეხურის და მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ეხმარება კოლეგებს პროფესიული საჭიროებების დადგენაში; სკოლაში ქმნის თვითაქტუალიზაციის ხელშემწყობ გარემოს. შემოქმედებითად წარმართავს სასწავლო პროცესს. იკვლევს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას, შეფასების შედეგებს და ამ მონაცემების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლება-სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

#### **მუხლი 13<sup>5</sup>. სასწავლო პროცესი, სასწავლო გარემო**

1. მასწავლებელი იკვლევს კულტურული თავისებურებების გავლენას მოსწავლეთა ღირებულებების ფორმირებაზე; შეიმუშავებს რეკომენდაციებს პოზიტიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად.

2. აყალიბებს მოსწავლეთა თვითრეგულირებად ქცევას ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენებით.

3. ახორციელებს კონფლიქტის პრევენციაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს სკოლისა და სასკოლო თემის სპეციფიკასთან დაკავშირებული რისკფაქტორების გათვალისწინებით.

4. კლასის სხვა მასწავლებლებთან ერთად, კვლევის საფუძველზე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს კონკრეტული მოსწავლის მოტივაციის ამაღლებისათვის.

5. სპეციალისტებთან ერთად იკვლევს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის შექმნილი გარემოს ეფექტიანობას.

6. კლასის სპეციფიკისა და საჭიროების გათვალისწინებით, ხელს უწყობს მშობლების მონაწილეობას საკლასო და კლასგარეშე აქტივობებში.

### **მუხლი 13<sup>6</sup>. სასწავლო პროცესის დაგეგმვა**

1. მასწავლებელი ანალიზის საფუძველზე სისტემატურად ხვეწს თემატურ გეგმებს და გამოცდილებას უზიარებს კოლეგებს.
2. ეხმარება კოლეგებს ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვაში.
3. შიდა საკლასო კვლევის საფუძველზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და გამოცდილებას უზიარებს კოლეგებს.
4. იკვლევს კლასგარეშე საქმიანობის გავლენას მოსწავლეთა მოტივაციასა და მრავალმხრივ განვითარებაზე. კვლევის შედეგებს ითვალისწინებს საქმიანობის დაგეგმვის დროს და მიღებულ გამოცდილებას უზიარებს კოლეგებს.

### **მუხლი 13<sup>7</sup>. სწავლება**

1. მასწავლებელი ანალიზებს საკუთარ საქმიანობას, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, სწავლისა და განათლების თეორიების მიზანმიმართულად გამოყენების კუთხით და უზიარებს კოლეგებს გამოცდილებას.
2. კოლეგებთან ერთად იკვლევს სწავლის სტრატეგიების გავლენას მოსწავლეთა თვითეფექტიანობასა და თვითრეგულირებადი სწავლის უნარის განვითარებაზე.
3. იკვლევს სწავლების სტრატეგიების ეფექტიანობას და შეუძლია მათი მოდიფიცირება.
4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინდივიდუალურ პროგრესსა და საჭიროებებზე დაკვირვებით, სპეციალისტებთან ერთად ახდენს აქტივობების/სტრატეგიების მოდიფიცირებას და რესურსების ადაპტირებას.
5. კოლეგებთან ერთად იკვლევს რესურსების ეფექტიანობას, სრულყოფს არსებულს ან ქმნის ახალს.
6. ქმნის ციფრულ რესურსებს და ეხმარება მოსწავლეებს საგაკვეთილო მიზნის შესაბამისი პროგრამებისა და ვებრესურსების შერჩევაში, შექმნასა და გამოყენებაში.

### **მუხლი 13<sup>8</sup>. სასწავლო პროცესის შეფასება**

1. ეხმარება კოლეგებს შეფასების სქემებისა და რუბრიკების დახვეწაში.
2. მოსწავლეთა შედეგების ანალიზის საფუძველზე ადგენს კონკრეტული კლასის საჭიროებებს, მიღწევების დინამიკას და შეაქვს კორექტივები სასწავლო პროცესში.
3. უზიარებს კოლეგებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის პროგრესის შეფასების გამოცდილებას მათი პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

### **მუხლი 13<sup>9</sup>. პროფესიული განვითარება**

1. მკვლევარი მასწავლებელი ეხმარება კოლეგებს პროფესიული საჭიროებების დადგენასა და პროფესიული განვითარების დაგეგმვაში.
2. შეუძლია საკვლევი საკითხის დამოუკიდებლად განსაზღვრა, კვლევის ჩატარება, მონაცემთა დამუშავება-ინტერპრეტაცია, კვლევის შედეგების გამოყენება საკუთარი და კოლეგების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.
3. კოლეგებს უზიარებს პროფესიულ შეხვედრებზე მიღებულ ცოდნას, სიახლეებს და ხელს უწყობს მათ დანერგვას სკოლაში.
4. იკვლევს სიახლეების შესაძლო გავლენას სწავლებაზე და ეხმარება კოლეგებს პროფესიული ლიტერატურის შერჩევაში, სთავაზობს რეკომენდაციებს პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის.

## **თავი IV<sup>3</sup>**

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 28 მარტის ბრძანება №39/ნ - ვებგვერდი, 01.04.2014წ.*

## მენტორი მასწავლებელი

### მუხლი 13<sup>10</sup>. მენტორი მასწავლებლის საკვალიფიკაციო კატეგორია

მენტორი მასწავლებელი არის სკოლის განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული საქმიანობების ინიციატორი. კოლეგებთან ერთად გეგმავს სკოლის პროფესიული განვითარების ღონისძიებებს. ეხმარება კოლეგებს შემოქმედებით და ინოვაციურ საქმიანობაში. ხელს უწყობს სკოლაში თანასწორი და თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას. ქმნის სასწავლო-მეთოდურ რესურსებს.

### მუხლი 13<sup>11</sup>. სასწავლო პროცესი, სასწავლო გარემო

1. მასწავლებელი არის სკოლასა და სასკოლო თემში ინტერკულტურული საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშემწყობი საქმიანობების, სკოლაში ქცევის მართვასთან დაკავშირებული კვლევების ინიციატორი; კვლევის შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლაში პოზიტიური გარემოს დასამკვიდრებლად.

2. ამკვიდრებს სკოლაში მედიაციის კულტურას.

3. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის სკოლაში გეგმავს შესაბამისი გარემოს შექმნის ხელშემწყობ აქტივობებს.

4. მულტიდისციპლინურ გუნდთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით. შესაბამის კონსულტაციას უწევს კოლეგებს.

5. არის მოსწავლის მრავალმხრივი განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებში მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლებისა და საზოგადოების ჩართვის ინიციატორი.

### მუხლი 13<sup>12</sup>. სასწავლო პროცესის დაგეგმვა

1. მასწავლებელი იკვლევს ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელების ეფექტიანობას სკოლაში და არის ეროვნული სასწავლო გეგმის ეფექტიანი დანერგვისა და განვითარების პროცესში კოლეგების ჩართვის ინიციატორი.

2. თემატური დაგეგმვის დროს არის საგანთა ინტეგრირების ინიციატორი.

3. არის სკოლის, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე განსახორციელებელი კლასგარეშე საქმიანობების ინიციატორი და ეხმარება კოლეგებს ამ საქმიანობების დაგეგმვაში.

### მუხლი 13<sup>13</sup>. სწავლება

1. მასწავლებელი აანალიზებს კოლეგების საქმიანობას მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, სწავლისა და განათლების თეორიების მიზანმიმართულად გამოყენების კუთხით; შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და ქმნის საჭირო რესურსებს.

2. არის სწავლისა და სწავლების ეფექტიანობის კვლევის ინიციატორი, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და უზიარებს კოლეგებს.

3. შეიმუშავებს რეკომენდაციებს კოლეგებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის.

4. შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო რესურსების შექმნის, მიზანმიმართული გამოყენებისა და სრულყოფისთვის.

5. ხელს უწყობს სკოლაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების დამკვიდრებას.

### მუხლი 13<sup>14</sup>. სასწავლო პროცესის შეფასება

1. მასწავლებელი შეიმუშავებს რეკომენდაციებს შეფასების პროცესის სრულყოფისთვის; ხელს უწყობს სკოლაში შეფასების გამჭვირვალე, სანდო, ვალიდური და სამართლიანი სისტემის დამკვიდრებას.



2. ადგენს საგნის სწავლებაში არსებულ პრობლემებს, ეხმარება კოლეგებს საკუთარი პროფესიული საჭიროებების დადგენაში და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის.

3. კოლეგებთან ერთად ქმნის და ავითარებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასების ეფექტიან ფორმებს.

### **მუხლი 13<sup>15</sup>. პროფესიული განვითარება**

1. მასწავლებელი ხელს უწყობს სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებას; გეგმავს პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს.

2. დირექტორთან ერთად არის სკოლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი კვლევებისა და პროექტების ინიციატორი.

3. ეროვნული და საერთაშორისო კვლევების შედეგებზე დაყრდნობით გეგმავს სკოლაში სწავლის და სწავლების ხარისხის ასამაღლებელ ღონისძიებებს.

4. იკვლევს და აფასებს საგანმანათლებლო სიახლეებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი ადაპტაციისა და დანერგვისათვის.

5. აანალიზებს საკუთარი და კოლეგების გამოცდილებას, თანამედროვე პედაგოგიურ და სამეცნიერო ლიტერატურას; ქმნის და მონაწილეობს პროფესიული ლიტერატურის შექმნაში.

## **თავი V**

### **დაწყებითი საფეხური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში (1- VI კლასი)**

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

### **მუხლი 14. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები ქართულ ენასა და ლიტერატურაში**

1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მიმართულება ზეპირ მეტყველებაში გააჩნია შემდეგი პროფესიული უნარ-ჩვევები:

ა) სხვათა მეტყველების (მოსაზრების, დამოკიდებულების, ინფორმაციის, მოვლენის შეფასებისა და სხვა სამეტყველო აქტივობის) მოსმენა და შეფასება საკომუნიკაციო ამოცანის გათვალისწინებით;

ბ) საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი მოსმენის სტრატეგიების გამოყენება (კითხვის დასმა, მოსმენილის პერიფრაზირება, ჩანიშვნა და ა. შ.);

გ) სამეტყველო ქცევის წარმართვა სიტუაციისა და აუდიტორიის გათვალისწინებით. საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო სტრატეგიების, ვერბალური (ყურადღების მისაპყრობი რიტორიკული შეკითხვები, ჩანართები, დიალოგი) და არავერბალური (მხედველობითი კონტაქტი, ქესტიკულაცია, ხმის აწევ-დაწევა, საუბრის ტემპის შეცვლა) ხერხების ეფექტური გამოყენება;

დ) მართლმეტყველების წესების დაცვა, აზრის ცხადად, ლაკონურად, მკაფიოდ და მწყობრად გამოხატვა;

ე) ზეპირი გამოსვლის მოსამზადებელი სტრატეგიების გამოყენება (ინფორმაციის შეგროვება, ტექსტის ორგანიზება, ჩანაწერების მომზადება, ტექსტის დამახსოვრება, შესაბამისი თვალსაჩინო მასალის მომზადება, რეპეტიციის გავლა).

2. ზეპირი მეტყველების დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მიმართულება კითხვაში გააჩნია შემდეგი პროფესიული უნარ-ჩვევები:

ა) სხვადასხვა ტიპის, სტილისა და ჟანრის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების განალიზება შინაარსობრივი, იდეური, ფუნქციური თვალსაზრისით;

ბ) ტექსტის ანალიზი სტრუქტურისა და ენობრივ-გამომხატველობითი საშუალებების გათვალისწინებით;

გ) გამომეტყველებითი კითხვის კულტურის ფლობა.

3. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მიმართულა ზეპირ წერაში გააჩნია შემდეგი პროფესიული უნარ-ჩვევები:

ა) წერის კალიგრაფიული კულტურის ფლობა;

ბ) მიზნისა და აუდიტორიის შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება წერის პროცესში: დაგეგმვა, კომპოზიციის აგება, საკუთარი ნაწერის გადასინჯვა, რედაქტირება (ტექსტის ჩასწორება ენობრივ-სტილური თვალსაზრისით) და კორექტირება (სასვენი ნიშნების სწორად დასმა და ორთოგრაფიული შეცდომების ჩასწორება);

გ) სხვადასხვა ტიპის წერილობითი ტექსტის შექმნა მიზნისა და აუდიტორიის შესაბამისი მახასიათებლებისა და ენობრივი ნორმების დაცვით (წერილი, ბარათი, ინსტრუქცია, ინტერვიუ, ადმინისტრაციული ტექსტები, დარგობრივი ტექსტები და სხვა).

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

### **მუხლი 15. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა ქართულ ენასა და ლიტერატურაში**

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს ქართულ ენასა და ლიტერატურაში გააჩნია შემდეგი პროფესიული ცოდნა:

ა) ზოგადი ცნობები ენისა და დამწერლობის შესახებ:

ა.ა) ენის რაობა და ფუნქციები; ქართული ენის ბუნება; ქართული დამწერლობის წარმოშობა; ქართული დამწერლობის სახეები და განვითარების საფეხურები; ენისა და მეტყველების ურთიერთმიმართება;

ბ) ფონეტიკა-ფონოლოგიის საკითხები:

ბ.ბ) ბგერათა დახასიათება წარმოთქმის ადგილისა და რაგვარობის მიხედვით; თანხმოვანთა და ხმოვანთა სისტემები; ძირითადი ფონეტიკური პროცესები: ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, ბგერის დაკარგვა და სხვა; ინტონაცია და მისი ძირითადი ელემენტები: ლოგიკური მახვილი, მეტყველების ტემპი, ხმის ტემბრი; პაუზა და მისი აზრობრივი დატვირთვა; ორთოეპიის საკითხები (მართლმეტყველება);

გ) გრამატიკა:

გ.ა) მორფოლოგია: ფონემა და მორფემა; ძირი და ფუძე; მეტყველების ნაწილები; გრამატიკული კატეგორიები: ბრუნება, რიცხვი, პირი, უღლება, გვარი, ასპექტი, ქცევა; სინტაქსი: წინადადება, წინადადების წევრები, წინადადების სახეები შინაარსისა და აგებულების მიხედვით;

დ) ლექსიკოლოგია:

დ.ა) სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები, დიალექტიზმები, ჟარგონი, არქაიზმები, ნეოლოგიზმები, პროფესიული ლექსიკა; სიტყვათა სესხება; სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ხმარება; სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობა; ფრაზეოლოგიზმები და მყარი შესიტყვებები; ბარბარიზმები; ეტიმოლოგია;

ე) ენისა და ტექსტის ურთიერთმიმართება:

ე.ა) ტექსტისა და მისი კომპონენტების ორგანიზება (თავი, როგორც ტექსტის სრულყოფილი ნაწილი; აზრადი, როგორც ტექსტის კომპოზიციური ერთეული...); ტექსტის შემადგენელი კომპონენტების ურთიერთდაკავშირების საშუალებები (კავშირები, ნაცვალსახელები, ზმნიზედები, ლექსიკური განმეორება, სინონიმური ჩანაცვლება, ზმნა-შემასმენელთა ურთიერთმიმართება დროის, კილოსა და ასპექტის მიხედვით);

ე.ბ) მეტყველების ტიპების კლასიფიკაცია: პირების მიხედვით (პირველი, მეორე, მესამე პირის მეტყველება და მისი გამოყენების სფეროები); ნათქვამის გადმოცემის მიხედვით (ირიბი ნათქვამი, პირდაპირი ნათქვამი); მონაწილე პირთა რაოდენობის მიხედვით (მონოლოგი, დიალოგი, პოლილოგი);

ე.გ) მეტყველების ფუნქციური ტიპები (აღწერა, თხრობა, მსჯელობა), მათი სტრუქტურული და სტილური თავისებურებანი.

ტექსტების ფუნქციურ-სტილური ტიპოლოგია (სასაუბრო, სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, მხატვრული, პუბლიცისტური);

ვ) მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა:

ვ.ა) მხატვრული ტექსტის ელემენტები: მხატვრული ტექსტის ბგერითი ორგანიზაცია; რითმის სახეები და გარიტმის ხერხები; მხატვრული ნაწარმოების ინტონაციური ანალიზი და გამომეტყველებითი კითხვა; ტროპული მეტყველება (ეპითეტი, მეტაფორა, ირონია, გაპიროვნება და სხვა); სტილური და სინტაქსური ფიგურები (განმეორება, პარალელიზმი, ფრაზეოლოგიზმები, დიალექტიზმი, ჟარგონი, ნეოლოგიზმი და სხვა);

ზ) კითხვა:

ზ.ა) კითხვის სწავლების ფონეტიკური, მთლიანი ენის და დაბალანსებული მიდგომები; კითხვის პროცესის დახასიათება: კითხვის ტემპი, კითხვის მოქნილობა (ზუსტი, სწრაფი, გამართული კითხვა, ინტონაციური კითხვა); გააზრებული კითხვა;

თ) წერა:

თ.ა) წერა, როგორც გრაფო-მოტორული ჩვევა; წერითი მეტყველება, როგორც კომუნიკაციის განსაკუთრებული ფორმა; პუნქტუაციის წესები; ორთოგრაფიული წესები;

ი) ლიტერატურა:

ი.ა) ზღაპარი, ბალადა, ლექსები, თქმულებები, ლეგენდები (ქართული და უცხოური), მითები (ქართული და უცხოური), ბიბლიური მოთხრობები და იგავები; ქართველ/უცხოელ კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა ცნობილი საბავშვო პროზაული და პოეტური ნაწარმოებები; ლიტერატურული ზღაპრები; მოთხრობები; კომიქსები; იგავ-არაკები, დიდაქტიკური ხასიათის თხზულებები; ენის გასატეხები, გამოცანები, აფორიზმები, ანდაზები, ლექსები (საბავშვო, ლირიკული და სიუჟეტიანი); გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიები და მოგონებები.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

## **მუხლი 16. სწავლების მეთოდები**

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი ქართულ ენასა და ლიტერატურაში ფლობს საგნის სწავლების მეთოდებს და შეუძლია;

ა) დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს შეუძლია შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა მოსწავლის ფიზიკური, სოციალურ-ემოციური, შემეცნებითი და კომუნიკაციური სფეროების თავისებურებათა გათვალისწინებით:

ა.ა) საგაკვეთილო მიზნად დაისახოს ისეთი შემეცნებითი უნარების განვითარება, როგორებიცაა: წერა; კითხვა; წერისა და კითხვის პროცესში სივრცითი მიმართებების დამყარება; ყურადღების კონცენტრირება; წაკითხულის გააზრება-გაგება; შემოქმედებითად და კრიტიკულად აზროვნება; საკუთარი აზრის გამოხატვა; წარმოსახვა; რეფლექსია და სხვა;

ა.ბ) საგაკვეთილო მიზნად დაისახოს ისეთი სოციალურ-კომუნიკაციური უნარების განვითარება, როგორებიცაა: მოსმენა; ზეპირი და წერითი მეტყველება; საკუთარი და სხვათა ქცევის შეფასება; თვითშეფასება; ურთიერთშეფასება; თანამშრომლობა და სხვა.

ა.გ) საგაკვეთილო მიზნად დაისახოს მოსწავლეების მიერ წერისა და კითხვის სტრატეგიების დაუფლება და ხელშეწყობა;

ა.დ) საგაკვეთილო მიზნად დაისახოს მოსწავლის ფიზიკური უნარების განვითარება: ნატიფი მოტორიკა, სხეულის ფლობა/კოორდინაცია;

ა.ე) მასწავლებელი შეარჩევს ისეთ აქტივობებს, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს ქმედების მეშვეობით ცნებებისა და მიმართებების ათვისებაში („კეთებით სწავლა“ – პრობლემის აღმოჩენა, დადგენა და გადაჭრა; კანონზომიერების დადგენა) და მიღებული გამოცდილების განზოგადებაში;

ა.ვ) სასწავლო გარემოს იმგვარად მოწყობა და რესურსების ისე შერჩევა, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს სასწავლო მასალის აღქმა, რაც გააქტიურებს მის ყურადღებას და აღუძრავს სწავლის სურვილს;

ა.ზ) მოსწავლეების მიერ ნიჭისა და უნარების გამოვლინებისა და მათი განვითარების მიზნით, შესაბამისი სტრატეგიების დაგეგმვა და განხორციელება;

საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი სავარჯიშოების, აქტივობებისა და სწავლების ორგანიზების შერჩევა და გამოყენება;

ბ) მასწავლებელს შეუძლია შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის წარმართვა ფიზიკური, სოციალურ-ემოციური, შემეცნებითი და კომუნიკაციური სფეროების თავისებურებათა გათვალისწინებით:

ბ.ა) საგნის (ქართულის) სწავლებისას განვითარებისა და სწავლების თეორიების გამოყენება მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების განვითარებისათვის;

ბ.ბ) საგაკვეთილო პროცესის იმგვარად წარმართვა, ისეთი გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შორის ჯანსაღი ურთიერთობების განვითარებას და მათ სოციალიზაციას (სასკოლო გარემოსთან და რეჟიმთან ადაპტაციას, წესის დაცვის ჩვევის გამომუშავებას, ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას);

ბ.გ) საგაკვეთილო პროცესის წარმართვისას მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით მოსწავლის ინტერესის აღძვრა სასწავლო პროცესისადმი;

ბ.დ) კითხვის სწავლების ფონეტიკური, მთლიანი ენის და დაბალანსებული მიდგომების შესატყვისი სტრატეგიების გამოყენება (მაგ., ინდივიდუალური კითხვა, გაგრძელებითი კითხვა, გამოკრებითი კითხვა, მართული კითხვა, ერთობლივი კითხვა, როლური კითხვა და სხვა);

ბ.ე) კითხვის სწავლების პროცესში სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება: წაკითხული ტექსტის უკეთ გასააზრებლად მოკლე ჩანაწერებისა და კომენტარების გაკეთება; ოფიციალურ-საქმიანი ტექსტების კითხვის სტრატეგიების გამოყენება; განმარტებითი და დარგობრივი ლექსიკონის, ენციკლოპედიის გამოყენება; გაუგებარი ან კონკრეტული ინფორმაციის მოსაპოვებლად ბიბლიოთეკისა და ინტერნეტის გამოყენება;

ბ.ვ) წერის ათვისების მეთოდების გამოყენება სწავლების პროცესში: „წერა ფანტაზია“; ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით ტექსტის შედგენა; წერა სტრიქონის გამოტოვებით; წერა გარკვეული ქარგის გამოყენებით; წერა მაგიდის ირგვლივ; პირამიდული წერა; „რაფთი“ წერა (როლი, აუდიტორია, ფორმა, თემა) და სხვა;

ბ.ზ) აქტივობების წარმართვისას უმცროსი სასკოლო ასაკის თავისებურებების გათვალისწინება; მოსწავლეთა ნებელობითი ქცევის უნარის განვითარების ხელშეწყობა; წესების მარტივი ენითა და პოზიტიური ფორმით ჩამოყალიბება; მოსწავლეთა ქცევის კონტროლი;

ბ.თ) სასწავლო მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების ინსტრუქციის მკაფიოდ და გასაგები ენით ჩამოყალიბება;

ბ.ი) წერის, კითხვისა და ზეპირმეტყველების აქტივობების მიმდინარეობის ეტაპების გამოყოფა, რათა მოსწავლეს ჩამოეყალიბდეს ამ აქტივობების დაგეგმვის, გეგმის მიხედვით მოქმედებისა და ბოლომდე მიყვანის უნარი;

ბ.კ) მოსწავლის ენობრივი გამოცდილების გათვალისწინება და ამის საფუძველზე ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებაში ხელის შეწყობა;

ბ.ლ) სწავლებისას ახალი ლექსიკური ერთეულებისა და საგნის სპეციფიკური ტერმინების მიწოდება მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით (მაგ., რაოდენობა, ტემპი), რათა ხელი შეეწყოს ლექსიკური მარაგის ეტაპობრივ და თანმიმდევრულ გამდიდრებას;

გ) მასწავლებელს შეუძლია შეფასების მრავალფეროვანი ხერხების გამოყენება შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული საწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად:

გ.ა) საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, დავალებებისა და აქტივობების შეფასების სათანადო კრიტერიუმების შემუშავება, მათი წონის განსაზღვრა და დონეების გამოყოფა;

გ.ბ) განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ერთმანეთისაგან ფუნქციურად გამოიჯვნა და თითოეულისთვის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება;

გ.გ) შეფასების კომპონენტების გათვალისწინებით მრავალფეროვანი კრიტერიუმებისა და ფორმების შერჩევა-შემუშავება (ტესტები, გამოფენები, პრეზენტაციები, შეფასების ცხრილები, წარმოდგენები და სხვა);

გ.დ) წინასწარი, მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასების წარმოება მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად. გარკვეული სასწავლო ეტაპის შეფასებისას კორექტული, პოზიტიური კომენტარებისა და კონკრეტული რეკომენდაციების გამოყენებით თითოეული მოსწავლის დახასიათების დაწერა;

გ.ე) შეფასების გამოყენება მოსწავლისთვის წარმატების გრძნობის გასაღვივებლად და პოზიტიური პიროვნული თვისებების გასავითარებლად;

გ.ვ) კორექტული შეფასების მეშვეობით მოსწავლისთვის საკუთარი შეცდომების აღმოჩენის, ადეკვატურად რეაგირებისა და კორექტირების უნარის ჩამოყალიბება;

გ.ზ) მოსწავლის მიერ საკუთარი ნამუშევრის შეფასების გამოყენება მისივე სასწავლო მოტივაციის ასამაღლებლად და სწავლის უნარ-ჩვევების გასავითარებლად;

გ.თ) თითოეული მოსწავლის ნამუშევრების ანალიზის საფუძველზე ტიპური შეცდომების ამოცნობა და მათზე დაყრდნობით მოსწავლისათვის მომავალი სამუშაოს დაგეგმვა;

გ.ი) მოსწავლის მრავალჯერადი შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე მოსწავლის პროგრესის/რეგრესის გამომწვევი მიზეზების დადგენა და გათვალისწინება შემდგომი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას;

გ.კ) დაკვირვების საფუძველზე იმ შემთხვევების განსაზღვრა, როდესაც უნდა მოხდეს სპეციალისტის ჩარევა (მაგ., ფსიქოლოგი, ლოგოპედი, სოციალური მუშაკი, სპეციალური მასწავლებელი).

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

## თავი VI

### დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მათემატიკა I-VI კლასები

#### **მუხლი 17. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები მათემატიკაში**

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს აქვს შემდეგი უნარ-ჩვევები მათემატიკაში:

ა) მიმართულება რიცხვები და მოქმედებები:

ა.ა) რიცხვების სათანადოდ გამოყენება სხვადასხვა ასპექტში (რიცხვი, როგორც რიგის, რაოდენობის, ინდექსის და ა.შ მაჩვენებელი). რიცხვით სიმრავლეებს შორის კავშირების გამოსახვა სხვადასხვა ხერხით, რიცხვების ჩაწერა – წაკითხვა რიცხვთა სხვადასხვა სისტემაში;

ა.ბ) რიცხვების კლასიფიკაცია;

ა.გ) რაციონალურ რიცხვებზე მოქმედებების შესრულება. რიცხვებზე მოქმედებების თვისებებისა და მათ შორის კავშირების დასაბუთება და გამოყენება;

ა.დ) რაოდენობების შეფასებისა და შედარების სხვადასხვა ხერხის გამოყენება. რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის შეფასება სხვადასხვა ხერხით;

ა.ე) სიდიდის ზომის სხვადასხვა ერთეულის ერთმანეთთან დაკავშირება და მათი გამოყენება;

ბ) მიმართულება კანონზომიერებები და ალგებრა:

ბ.ა) ალგებრული გამოსახულების გარდაქმნა;

ბ.ბ) ალგებრული გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა ასოების მითითებული მნიშვნელობისათვის;

ბ.გ) წრფივი განტოლებისა და წრფივი უტოლობის ამოხსნა და მათი გამოყენება.

სიმრავლეებზე ოპერაციების შესრულება;

გ) მიმართულება გეომეტრია და სივრცის აღქმა:

გ.ა) ძირითადი გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა, აღწერა და კლასიფიცირება. გეომეტრიულ ფიგურათა წარმოდგენისა და მათ შესახებ დებულებათა ფორმულირება;

გ.ბ) ფიგურებისა და მათი ელემენტების ზომების დადგენა და შეფასება სხვადასხვა ხერხით და მათი გამოყენება;

გ.გ) გეომეტრიული გარდაქმნების თვისებების გამოყენება;

გ.დ) სივრცით ფიგურასა და შლილებს შორის შესაბამისობის დადგენა;

დ) მიმართულება მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა:

დ.ა) მონაცემთა მოპოვების ხერხების სათანადოდ შერჩევა და მათი გამოყენება;

მონაცემთა მოწესრიგებისა და წარმოდგენის ხერხების გამოყენება და ინტერპრეტირება;

დ.ბ) მონაცემთა ანალიზი რიცხვითი და გრაფიკული მეთოდების გამოყენებით; შედეგების ინტერპრეტირება და დასკვნების ჩამოყალიბება.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

## **მუხლი 18. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა მათემატიკაში**

ა) მიმართულება რიცხვები და მოქმედებები:

ა.ა) ნატურალური რიცხვები. მარტივი და შედგენილი რიცხვები. გამყოფი და ჯერადი: რიცხვის რაობა (როგორც რაოდენობის აღმნიშვნელი); რიცხვის ჩაწერა ციფრებით, სიტყვებით, რიცხვის ჩაწერის რომაული სისტემა; არითმეტიკული მოქმედებები ნატურალურ რიცხვებზე, ნატურალური რიცხვის დაშლა მარტივ მამრავლებად. დაშლის ერთადერთობა (არითმეტიკის ძირითადი თეორემა), რამდენიმე ნატურალური რიცხვის უდიდესი საერთო გამყოფისა და უმცირესი საერთო ჯერადის პოვნა, გაყოფადობის ნიშნები და მათი კავშირი ათობით პოზიციურ სისტემასთან, ნაშთი;

ა.ბ) მთელი და რაციონალური რიცხვები: დადებითი და უარყოფითი რიცხვები, რაციონალური რიცხვების წარმოდგენა წილადებისა და ათწილადების სახით. რაციონალური რიცხვების შედარება და არითმეტიკული მოქმედებები რაციონალურ რიცხვებზე. რიცხვითი გამოსახულებები, მოქმედებათა თანმიმდევრობა რიცხვით გამოსახულებებში, არითმეტიკულ მოქმედებათა თვისებები, რიცხვითი უტოლობები და მათი თვისებები, რიცხვის ჩაწერის ათობითი პოზიციური სისტემა;

ა.გ) რიცხვთა ღერძი. რიცხვითი შუალედები. წერტილის კოორდინატი რიცხვთა ღერძზე, რაციონალური რიცხვის შესაბამისი წერტილის გამოსახვა რიცხვთა ღერძზე ;

ა.დ) რიცხვის მოდული: მოდულის ძირითადი თვისებები და მისი გეომეტრიული აზრი;

ა.ე) პროპორცია: პროპორციულობა, პროპორციის თვისებები, პროპორციის უცნობი წევრის პოვნა, რიცხვის დაყოფა მოცემული შეფარდებით, პირდაპირპროპორციული და უკუპროპორციული დამოკიდებულება სიდიდეებს შორის;

ა.ვ) რიცხვის ნაწილი. პროცენტი. რიცხვის ნაწილის პოვნა, რიცხვის პოვნა მისი პროცენტით/ნაწილით, რიცხვის ნაწილის ჩაწერა პროცენტის სახით;

ა.ზ) ხარისხი: რიცხვის ხარისხი ნატურალური მაჩვენებლით, ნამრავლის, ფარდობისა და ხარისხის ახარისხება. ტოლფუძიანი ხარისხების ნამრავლი და შეფარდება;

ა.თ) სიდიდის ზომის ერთეულები: მასის, დროის, სიჩქარის ერთეულები და კავშირები მოცემულ ერთეულებს შორის;

ბ) მიმართულება კანონზომიერება და ალგებრა:

ბ.ა) სიმრავლე, სიმრავლეებს შორის მიმართებები, მოქმედებები სასრულ სიმრავლეებზე: სიმრავლე, ქვესიმრავლე, ცარიელი სიმრავლე. ოპერაციები სიმრავლეებზე: სიმრავლეთა გაერთიანება, თანაკვეთა, სხვაობა;

ბ.ბ) ალგებრული გამოსახულება: მოქმედებები გამოსახულებებზე. გამოსახულების გარდაქმნა, ალგებრული გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა ასოების მითითებული მნიშვნელობისათვის;

ბ.გ) განტოლება, უტოლობა: განტოლება და მისი ამონახსნი, უტოლობა და მისი ამონახსნი, წრფივი განტოლებისა და წრფივი უტოლობის ამოხსნა; ტოლფასი განტოლებები; ამოცანების ამოხსნა განტოლებისა და უტოლობის გამოყენებით;

გ) მიმართულება გეომეტრია და სივრცის აღქმა:

გ.ა) ძირითადი გეომეტრიული ობიექტები და ცნებები: პლანიმეტრია – წერტილი, წრფე, სხივი, მონაკვეთი, ტეხილი, მანძილი ორ წერტილს შორის. მონაკვეთის სიგრძე, მანძილის თვისება. ტეხილის სიგრძე. კუთხე, კუთხის გრადუსული ზომა, მართი, მახვილი, ბლაგვი და გაშლილი კუთხეები;

გ.ბ) წრფეების ურთიერთგანლაგება: წრფეთა თანაკვეთა, პარალელობა, მართობულობა;

გ.გ) მრავალკუთხედი. ამოზნექილი მრავალკუთხედი: გვერდი, წვერო, კუთხე, დიაგონალი, პერიმეტრი, ამოზნექილი ფიგურის განსაზღვრება. ამოზნექილი მრავალკუთხედის კუთხეების ჯამი;

გ.დ) გეომეტრიული გარდაქმნები სიბრტყეზე: ფიგურათა ტოლობა, მოძრაობა, ღერძული და ცენტრული სიმეტრიები, მობრუნება, პარალელური გადატანა;

გ.ე) სამკუთხედი: სამკუთხედის გვერდი, კუთხე, წვერო, მედიანა, ბისექტრისა, სიმაღლე და მათი თვისებები, სამკუთხედები: მართკუთხა, მახვილკუთხა, ბლაგვკუთხა, ტოლფერდა, ტოლგვერდა და მათი თვისებები, სამკუთხედის კუთხეების ჯამი. საკუთხედის გარე კუთხის თვისება. სამკუთხედის შუახაზის თვისებები. სამკუთხედის ტოლობის ნიშნები, სამკუთხედის უტოლობა, მართკუთხა სამკუთხედი (პითაგორას თეორემა);

გ.ვ) პარალელოგრამი: პარალელოგრამის გვერდების, კუთხეებისა და დიაგონალების თვისებები, პარალელოგრამობის ნიშნები, რომბის დიაგონალების თვისებები, მართკუთხედის დიაგონალების ტოლობა. მართკუთხედის სიმეტრიის ღერძები, კვადრატის და მისი თვისებები;

გ.ზ) ტრაპეცია: ტრაპეციის ელემენტები: ფუძე, ფერდი, სიმაღლე, ტოლფერდა ტრაპეციის თვისებები;

გ.თ) ბრტყელი ფიგურის ფართობი: ტოლი ფიგურების ფართობების ტოლობა, ბრტყელი ფიგურის ფართობის კავშირი მისი შემადგენელი ნაწილების ფართობებთან, კვადრატის, მართკუთხედის, სამკუთხედის, პარალელოგრამის, რომბის და ტრაპეციის ფართობი;

გ.ი) წრეწირი და წრე: ცენტრი, რადიუსი, დიამეტრი, ქორდა, რკალი, სექტორი, სეგმენტი, მხები.

გ.კ) მართკუთხა კოორდინატა სისტემა სიბრტყეზე: წერტილის კოორდინატები, რიცხვთა წყვილის შესაბამისი წერტილის გამოსახვა საკოორდინატო სიბრტყეზე;

გ.ლ) მრავალწახნაგა: მრავალწახნაგას შემადგენელი ელემენტები: წვერო, წიბო, წახნაგი, კავშირი მრავალწახნაგას შემადგენელი ნაწილების რაოდენობებს შორის, კუბის, მართკუთხა პარალელეპედის, მართი პრიზმის, პირამიდის, ცილინდრის და კონუსის შლილები;

გ.მ) სივრცითი სხეულის მოცულობა და ზედაპირის ფართობი: სხეულის მოცულობა, კავშირი სხეულის მოცულობასა და მისი შემადგენელი სხეულების მოცულობათა შორის, კუბის და პარალელებიპედის გვერდითი და სრული ზედაპირის ფართობისა და მოცულობის გამოთვლა;

გ.ნ) ზომის ერთეულები: სიგრძის, ფართობის, მოცულობის ერთეულები და კავშირები მათ შორის;

გ.ო) მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა მონაცემთა წარმოდგენა: სია, ცხრილი, პიქტოგრამა, დიაგრამა: წერტილოვანი, ხაზოვანი, სვეტოვანი, წრიული.

მონაცემთა მახასიათებლები: საშუალო, მედიანა, მოდა, სიხშირე.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

### **მუხლი 18<sup>1</sup>. სწავლების მეთოდები**

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი მათემატიკაში ფლობს საგნის სწავლების მეთოდებს და შეუძლია:

ა) დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს შეუძლია შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა მოსწავლის ფიზიკური, სოციალური, ემოციური, შემეცნებითი და კომუნიკაციური თავისებურებების გათვალისწინებით:

ა.ა) ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით, მოსწავლეებში ისეთი შემეცნებითი უნარების განვითარება, როგორებიცაა: რაოდენობრივი კავშირებისა აღქმისა და გამოყენების უნარი და ლოგიკური აზროვნება, სივრცითი და დროითი მიმართებების დაუფლება, ვარაუდის გამოთქმა და მისი კვლევა კერძო მაგალითებზე, ფანტაზია, შემოქმედებითობა;

ა.ბ) მოსწავლეებში ისეთი სოციალური უნარების განვითარება, როგორებიცაა: თვითგამოხატვა, ქცევის შეფასება და თანამშრომლობა;

ა.გ) მოსწავლისთვის ისეთი ფიზიკური უნარების განვითარება, როგორებიცაა: ნატიფი მოტორიკა, სხეულის ფლობა/კოორდინაცია, უსაფრთხოების წესების დაცვა;

ა.დ) მოსწავლეებში კომუნიკაციური უნარების განვითარება; მათემატიკური ტერმინოლოგიის, აღნიშვნებისა და სიმბოლოების გამოყენება. ინფორმაციის წარმოდგენის ხერხების ფლობა, ერთმანეთთან დაკავშირება, მასზე მსჯელობა. მონაცემთა შერჩევის, მოპოვებისა და ინტერპრეტაციის უნარის განვითარება;

ა.ე) მოსწავლეებში წერისა და კითხვის უნარის განვითარებისთვის სხვადასხვა მეთოდის გამოყენება;

ა.ვ) მოსწავლეებში ზეპირი მეტყველებისას სხვადასხვა ტიპის გამონათქვამის სათანადოდ გამოყენების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ მსჯელობის, მოსმენისა და ანალიზის უნარის განვითარება;

ა.ზ) აქტივობის ისე შერჩევა, რომ მოსწავლემ შეძლოს ცნებებისა და მიმართებების ათვისება მანიპულირების საშუალებით (ფიგურების და ობიექტების ზომების, აგრეთვე მათ შორის მანძილების გასაზომად გზების, მეთოდების პოვნა და გამოყენება, ამოცანის შინაარსის აღქმა, ამოცანის მონაცემებისა და საძიებელი სიდიდეების გააზრება, კეთებით სწავლა, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება, პრობლემის გადაჭრა, კანონზომიერების აღმოჩენა, დადგენა);

ა.თ) რესურსების შერჩევა ისეთი ეფექტური გარემოს შექმნის მიზნით, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება მიწოდებული ცნებებისა და მიმართებების თვალსაჩინოების საშუალებით აღქმაში, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ყურადღების გააქტიურებას და აღუძრავს სწავლის სურვილს;

ა.ი) მათემატიკის მიმართ მოსწავლის მიდრეკილების, ნიჭის გამოვლენა და მათი განვითარების ხელშეწყობის მიზნით სათანადო სტრატეგიის დაგეგმვა, განხორციელება;

ა.კ) მათემატიკის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი სავარჯიშოების, აქტივობებისა და სწავლების ორგანიზების სათანადო ფორმების: ინდივიდუალური, წყვილში, ჯგუფური, მთელი კლასის მონაწილეობით მუშაობა – შერჩევა, გამოყენება;



ბ) მასწავლებელს შეუძლია შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის წარმართვა მოსწავლის ფიზიკური, სოციალურ-ემოციური, შემეცნებითი და კომუნიკაციური თავისებურებების გათვალისწინებით:

ბ.ა) აქტივობების წარმართვისას მოსწავლის ასაკის თავისებურებების გათვალისწინება, მოსწავლეთათვის ხელშეწყობა ახალი სოციალური როლის მისაღებად, სასკოლო გარემოსა და რეჟიმთან ადაპტაციისთვის;

ბ.ბ) საგაკვეთილო პროცესის სათანადო წარმართვის გზით, ისეთი პოზიტიური გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც მოსწავლეთა შორის, ასევე მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების განვითარებას, თანამშრომლობას და ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას;

ბ.გ) სახალისო და მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენება, რომლებიც გამოიწვევენ ინტერესს და დადებითად განაწყობენ მოსწავლეებს მათემატიკისადმი, როგორც საჭირო და მნიშვნელოვანი საგნისადმი;

ბ.დ) საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, საგაკვეთილო პროცესის წარმართვისას, მოსწავლის ასაკის თავისებურებების გათვალისწინებით, ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც მოსწავლეს მისცემს თვითგამოხატვისა და არჩევანის გაკეთების საშუალებას, ასევე ხელს შეუწყობს მათ მოტივაციასა და ნებელობითი ქცევის უნარის განვითარებას;

ბ.ე) საგნის სწავლებისას განვითარებისა და სწავლის თეორიების გამოყენება მოსწავლეთა შემეცნებითი უნარის განვითარებისათვის;

ბ.ვ) გაკვეთილის წარმართვისას მოსწავლეების ოჯახური, სოციალური, ფიზიკური და კულ-ტურული განსხვავებულობის გათვალისწინება და კორექტულად მოქმედება;

ბ.ზ) სასწავლო მიზნის მისაღწევად, მათემატიკის სპეციფიკური ტერმინებისა და დაგეგმილი აქტივობების ინსტრუქციის მკაფიოდ, გასაგები ენით ჩამოყალიბება და მიწოდება მოსწავლეთათვის მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით (ტემპი, რაოდენობა), რათა ხელი შეეწყოს ლექსიკური მარაგის ეტაპობრივ და თანმიმდევრულ გამდიდრებას;

ბ.თ) აქტივობის მიმდინარეობის ეტაპების გამოყოფა და განხორციელების მონიტორინგი, რათა მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს თანმიმდევრულად, ლოგიკურად, საქმის ბოლომდე მიყვანის და გეგმის მიხედვით მოქმედების ჩვევა;

ბ.ი) მოსწავლეებში დაგეგმვისა და თანამშრომლობის უნარის განვითარება შესაბამისი ამოცანების დასახვით, გააზრებითა და გადაჭრის გზების ერთობლივი ძიებით;

ბ.კ) აქტივობების წარმართვისას მოსწავლეთა ასაკის თავისებურებების გათვალისწინება, ხელშეწყობა მოსწავლეებში რეფლექსიის უნარის განვითარებისთვის;

ბ.ლ) მოსწავლის არსებული ცოდნის გათვალისწინება და მისთვის ხელშეწყობა ამ გამოცდილების საფუძველზე ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების თანდათანობით აგებაში;

გ) მასწავლებელს შეუძლია შეფასების მრავალფეროვანი ხერხების გამოყენება შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად:

გ.ა) მოსწავლის ნამუშევრის ანალიზის საფუძველზე, ასაკისთვის დამახასიათებელი ტიპური შეცდომების დადგენა და შესაბამისად, მომავალი სამუშაოს დაგეგმვა, მათი გამოსწორების მიზნით;

გ.ბ) მოსწავლის თვითშეფასების გამოყენება სასწავლო მოტივაციის ასამაღლებლად და სწავლის უნარ-ჩვევების განსავითარებლად;

გ.გ) ობიექტური შეფასების მეშვეობით მოსწავლისთვის საკუთარი შეცდომის აღმოჩენის უნარის, შეცდომის გააზრებისა და კორექტირების ჩვევის ჩამოყალიბება;

გ.დ) შეფასების მეშვეობით მოსწავლისთვის წარმატების გრძნობის გაღვივება, მოსწავლის პიროვნული თვითშეფასების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

გ.ე) გარკვეული სასწავლო ეტაპის შეფასებისას თითოეული მოსწავლის დახასიათების დაწერა, კორექტული, სამართლიანი კომენტარებისა და რეკომენდაციების გამოყენება;

გ.ვ) მრავალჯერადი შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე მოსწავლის პროგრესის/რეგრესის გამომწვევი მიზეზების (სუბიექტური, ობიექტური) დადგენა და შემდგომი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მათი გათვალისწინება;

გ.ზ) განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ერთმანეთისგან ფუნქციურად გამიჯვნა და თითოეულის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება;

გ.თ) მათემატიკის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, დავალებებისა და აქტივობების შეფასების სათანადო კრიტერიუმების შემუშავება, მათი წონის განსაზღვრა და დონეების გამოყოფა;

გ.ი) შეფასების გამოყენება მოსწავლეთა მრავალმხრივი, მათემატიკური აზროვნების, საგნის სპეციფიკური, უნარ-ჩვევების განვითარების უზრუნველსაყოფად.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

## თავი VII

### დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი ბუნებისმეტყველებაში – I-VI კლასი

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

#### მუხლი 19. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები ბუნებისმეტყველებაში

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს ბუნებისმეტყველებაში შეუძლია:

ა) მოვლენის აღწერა და ზოგადი დახასიათება;

ა.ა) მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების წარმოჩენა;

ა.ბ) კვლევის საგნის (ობიექტის) განსაზღვრა და მისი შესწავლის ეტაპების გამოყოფა: (მაგ; კვლევის მიზნის, ამოცანების და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა; კვლევის მეთოდების შერჩევა; შედეგების ანალიზი, ინტერპრეტაცია და შეფასება.);

ა.გ) ობიექტის ან მოვლენის შესასწავლად სხვადასხვა წყაროდან/საშუალებით (მაგ., უშუალო დაკვირვება, ექსპერიმენტი ან საინფორმაციო წყაროებიდან) მონაცემების მოპოვება;

ა.დ) მონაცემთა კლასიფიკაცია სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით და მათი გრაფიკების, დიაგრამების, ცხრილების და ა.შ. სახით წარმოდგენა;

ა.ე) სტრუქტურების და პროცესების მოდელირება და გამოყენება;

ა.ვ) პრაქტიკული სამუშაოების (ცოცხალ ორგანიზმებთან, ქიმიურ რეაქტივებთან ან ფიზიკურ მოვლენებთან) დაკავშირებული რისკ-ფაქტორების განსაზღვრა და მათი პრევენცია;

ა.ზ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპების განხილვა ზოგად ისტორიულ ჭრილში;

ა.თ) საბუნებისმეტყველო სფეროში დაგროვებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება;

ა.ი) ეკოლოგიური პრობლემების მდგარდი განვითარების ჭრილში განხილვა;

ა.კ) მეცნიერული აღმოჩენების შედეგების გამოყენების დადებითი და უარყოფითი გავლენის შეფასება;

ა.ლ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სხვა სასწავლო დისციპლინებთან დაკავშირება;

მეცნიერული ტერმინოლოგიის ადეკვატური გამოყენება წერითი და ზეპირი სახით;

ა.მ) ძირითადი ფიზიკური სიდიდეების და მათი განზომილებების გამოყენება;

ა.ნ) სათანადო მათემატიკური ოპერაციების გამოყენება, მაგ., რაოდენობრივი მონაცემების აღრიცხვა, ანგარიში, მათი ორგანიზება და სხვადასხვა საშუალებით წარმოდგენა.

**მუხლი 20. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა ბუნებისმეტყველებაში**  
დაწყებითი საფეხურის მასწავლებელმა ბუნებისმეტყველებაში იცის:

ა) სიცოცხლის ნიშნები:

ა.ა) კვება, სუნთქვა, ზრდა, მოძრაობა, გამრავლება. ამ პროცესების ზოგადი დახასიათება და მნიშვნელობა ორგანიზმებისათვის.

ბ) ორგანიზმთა მრავალფეროვნება და მათი კლასიფიკაცია:

ბ.ა) ორგანიზმთა კლასიფიკაციის ზოგადი პრინციპები და მსხვილი ტაქსონომიური ერთეულები (სამეფო, ტიპი, კლასი), მათი დამახასიათებელი ნიშნები და ტიპობრივი წარმომადგენლები.

გ) მიკროორგანიზმები:

გ.ა) მიკროორგანიზმების მრავალფეროვნება, მათი საარსებო გარემო და ცხოველმოქმედების შედეგები. მიკროორგანიზმების გამოყენება (მაგ., საკვები პროდუქტების წარმოებაში), დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმები.

დ) მცენარეები:

დ.ა) მცენარეთა მრავალფეროვნება. ყვავილოვან მცენარეთა აგებულება, ძირითადი ორგანოები, მათი დანიშნულება და სახეცვლილებები. მცენარეთა გამრავლება-გავრცელება. ფოტოსინთეზის არსი და მნიშვნელობა.

ე) ცხოველები:

ე.ა) უხერხემლო და ხერხემლიანი ცხოველების მრავალფეროვნება და ცხოვრების წესი.

სასიცოცხლო ციკლის სტადიები მწერებში, თევზებსა და ამფიბიებში. ხერხემლიან ცხოველთა ორგანოები და ორგანოთა სისტემების ზოგადი დახასიათება და ფუნქციები.

ხერხემლიან ცხოველთა კლასების შედარებითი დახასიათება და გამრავლების თავისებურებები.

ვ) ადამიანი:

ვ.ა) აგებულება. ორგანოები და ორგანოთა სისტემების ზოგადი დახასიათება და ფუნქციები. სასიცოცხლო საჭიროებები. პირადი ჰიგიენა.

ზ) ცოცხალ ორგანიზმთა შეგუება გარემოსთან:

ზ.ა) სტრუქტურული და ქცევითი შეგუების სახეები და მათი მნიშვნელობა. გადაშენებული ორგანიზმები, ორგანიზმთა გადაშენების მიზეზები.

თ) ეკოსისტემები:

თ.ა) ეკოსისტემა: კომპონენტები (ბიოტური, აბიოტური) და მოქმედი ფაქტორები (ანთროპოგენური). საქართველოს ტიპობრივი ეკოსისტემები. საქართველოში გავრცელებული სახეობები.

ი) კვებითი კავშირები:

ი.ა) ორგანიზმების ურთიერთკავშირი ეკოსისტემაში: პროდუცენტები, კონსუმენტები, რედუცენტები. კვებითი ჯაჭვები.

კ) მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტები და მათი ნაწილები:

კ.ა) დედამიწის ფორმა და სიდიდე, ხმელეთი და წყალი (კონტინენტები და ოკეანეები); რელიეფის მნიშვნელოვანი ფორმები (მთა, მთათა სისტემა, ქედი, ზეგანი, ბორცვი, ვაკე, დაბლობი, ქვაბული და სხვ.). ჰიდროსფეროს შემადგენელი ნაწილები (ოკეანე, ზღვა, ტბა, მდინარე, და სხვ.) და მათი გამოყენება. სასმელი წყლის რესურსები (ჰა, წყარო, წყალსაცავი, მიწისქვეშა წყალი), მათი გამოყენება და დაცვა. გეოგრაფიული ობიექტების მახასიათებლები (ფორმა, სიმაღლე, სიღრმე, ჩქარი, მდორე, ცივბო, დამრეცი და სხვ.), მათი შედარება და სეზონური ცვლილება. ნიადაგი და მისი თვისებები (ფერი, გამტარიანობა); დასახლებული პუნქტები (ქალაქი, დედაქალაქი, დაბა, სოფელი), სამხარეო

ცენტრები. მსოფლიოსა და საქართველოს მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტების ნომენკლატურა.

ლ) დედამიწაზე გავრცელებული ბუნებრივი ზონები – ბიომები:

ლ.ა) წვიმიანი ტყეები, ნათელი ტყეები, ველები (სტეპები, პამპასები, პრერიები), უდაბნო, ნახევარუდაბნო, ზომიერი სარტყლის ტყეები, ტაიგა, ტუნდრა, მუდმივი გამყინვარების ზონა.

მ) ბუნებრივი რესურსები:

მ.ა) ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაცია; ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება.

ნ) ბუნებრივი მოვლენები, გარემოს ცვლილება:

ნ.ა) ეროზია და გამოფიტვა; ბუნებრივი ბარიერები; სტიქიური მოვლენები (ვულკანი, მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი და სხვ.); ბუნებრივი და ხელოვნური გარემო.

ო) სივრცეში ორიენტაცია:

ო.ა) გლობუსი, ადგილის გეგმა, რუკა (სასწავლო რუკები, ატლასი); რუკის ლეგენდა (გამოყენებული სიმბოლოები, პირობითი ნიშნები); რუკაზე ობიექტების, მოვლენებისა და პროცესების გამოსახვის ხერხები, ჰორიზონტის მხარეები; ადგილის გაგნება, კომპასი, მასშტაბი. საკოორდინატო ბადე, ეკვატორი, ტროპიკები და პოლარული წრეები, გეოგრაფიული ობიექტების ურთიერთგანლაგება. ძველი ხალხების წარმოდგენები დედამიწის შესახებ; გეოგრაფიულ აღმოჩენათა მნიშვნელობა და შედეგები.

პ) პერიოდული მოვლენები და ამინდი:

პ.ა) დედამიწის ბრუნვა ღერძისა და მზის გარშემო და მისი შედეგები – დღე-ღამის ცვლა. წელიწადის დროები; სეზონური რიტმიკა. სითბოს და სინათლის განაწილება დედამიწაზე, ამინდის კომპონენტები (ჰაერის ტემპერატურა, ნალექები, ქარი, ჭექა-ქუხილი და ელვა) და პროგნოზი; მეტეოროლოგიური ხელსაწყოების გამოყენების პრინციპი; ამინდისა და კლიმატის განსხვავება, ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებში სეზონების არათანაბარი ცვლა, სითბური სარტყლები.

ჟ) კოსმოსური სხეულები და ასტრონომიული მოვლენები:

ჟ.ა) პლანეტები და მათი თანამგზავრები, ვარსკვლავები, კომეტები, ასტეროიდები, მეტეორები, მეტეორიტები, გალაქტიკა; დედამიწის, მთვარისა და პლანეტების მოძრაობა და მოძრაობის მოდელები; მზისა და მთვარის დაბნელება; ძველი ხალხების წარმოდგენები კოსმოსის შესახებ; კოსმოსის შესწავლის ისტორია და ტექნიკის განვითარება.

რ) ძირითადი ფიზიკური სიდიდეები:

რ.ა) დრო, სიგრძე, სიჩქარე, ფართობი, მოცულობა, მასა, სიმკვრივე, ტემპერატურა, ძალა. მათი განზომილებები, გაზომვა და გამოყენება.

ს) ენერგია:

ს.ა) ენერგიის სახეები – მექანიკური, სინათლის, სითბური, ელექტრული ენერგია; ენერგიის განახლებადი და არაგანახლებადი წყაროები, მათი გამოყენება. სითბოს და სინათლის ბუნებრივი და ხელოვნური წყაროები.

ტ) ნივთიერება, აგრეგატული მდგომარეობები, სითბური მოვლენები:

ტ.ა) ნივთიერებათა ფიზიკური თვისებები (ფერი, სუნი, გემო, აგრეგატული მდგომარეობა, სიმკვრივე).

ატომი და მოლეკულა, როგორც ნივთიერების შემადგენელი უმცირესი ნაწილაკები.

დიფუზია, სითბური მოძრაობა.

ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობები, ერთი აგრეგატული მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა: გამყარება-დნობა; აორთქლება-კონდენსაცია, სუბლიმაცია და დუღილი.

მყარ, თხევად და აირად ნივთიერებათა სითბური გაფართოების მოვლენა, წყლის თავისებურებები.

ჰაერის შედგენილობა და თვისებები..

ნივთიერებათა ცვლილებები (აგრეგატული მდგომარეობის შეცვლა, წვა, ჰაერზე ჟანგვა) და მათი გამომწვევი მიზეზები.

ნივთიერება და ნარევი. ნარევის კომპონენტებად დაყოფის ელემენტარული მეთოდები.

უ) მასალები და მათი თვისებები:

უ.ა) მასალა და ნედლეული. ბუნებრივი და ხელოვნური მასალები; ფართოდ გამოყენებული მასალების თვისებები (ფერი, თბოგამტარობა, დრეკადობა, გამჭირვალობა და სხვ.), მათი გამოყენება. თბოგამტარები და თბოიზოლატორები.

ფ) სხეულთა მოძრაობა და ურთიერთქმედება:

ფ.ა) მოძრაობის სახეები (წრფივი, მრუდწირული, რხევითი, ბრუნვითი). ტრაექტორია და გადაადგილება. წრფივი თანაბარი მოძრაობის სიჩქარე და მისი გამოთვლა. მსოფლიო მიზიდულობის კანონი. სიმძიმის ცენტრი, წონასწორობა და მისი სახეები. მარტივ მექანიზმების (ბერკეტი, პინებიანი სასწორი) მოქმედების პრინციპები. სხეულთა ურთიერთქმედება, ძალის ცნება. სიმძიმის, ხახუნის, დრეკადობის ძალები, მათი მაგალითები და გამოყენება.

ქ) მექანიკური რხევები და ტალღები:

ქ.ა) ბგერის ტალღოვანი ბუნება.

ბგერა, ბგერის წყაროები, ბგერის წარმოქმნა, გავრცელება და აღქმა; ბგერითი სიგნალების გადაცემა და მიღება ორგანიზმებში; სმენის ორგანოები; ექოს წარმოქმნა. ხმამაღლობა, ტონის სიმაღლე. ულტრაბგერებისა და ინფრაბგერების გამოყენების მაგალითები ცოცხალ ორგანიზმებში.

ღ) სინათლე:

ღ.ა) სინათლის გავრცელების, არეკვლისა და გარდატეხის მოვლენები.

ყ) ელექტრული დენი:

ყ.ა) ელექტროგამტარები და იზოლატორები.

დენის წყაროები, მუდმივი და ცვალებადი დენი.

ძაბვა, დენის ძალა და წინაღობა. ომის კანონი წრედის უბნისათვის.

მარტივი ელექტრული წრედები. პარალელური და მიმდევრობითი შეერთება.

ელექტრული ენერჯის გადაცემის გზები.

შ) მაგნიტი:

შ.ა) მაგნიტი, მაგნიტური პოლუსები, მაგნიტების ურთიერთქმედება და გამოყენება.

ჩ) გარემოს დაცვა:

ჩ.ა) მდგრადი განვითარების პრინციპები (გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით); ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე (დადებითი და უარყოფითი შედეგები); დაცული ტერიტორიები და მათი შექმნის აუცილებლობა; წითელი წიგნი; ბუნებრივი რესურსების უკანონო გამოყენება (ხეების ჭრა, ბრაკონიერობა).

ც) ჯანმრთელობა, პირადი ჰიგიენა, უსაფრთხოება:

ც.ა) ჯანსაღი ცხოვრების წესი (კვება, დასვენება, სპორტი, პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის წესების დაცვა). ჯანმრთელობისათვის საზიანო ფაქტორები და მათგან დაცვის წესები, შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები. მავნე ჩვევების (ნიკოტინის, ნარკოტოკის, ალკოჰოლის მოხმარება) გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. უსაფრთხო ქცევის წესები (სახლში, ქუჩაში, სკოლაში, ლაშქრობაზე), გადაუდებელი დახმარების ორგანიზაციები და მათთან დაკავშირების საშუალებები.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

**მუხლი 20<sup>1</sup>. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის სწავლების მეთოდები ბუნებისმეტყველებაში.**

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს შეუძლია შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა მოსწავლის ფიზიკური, სოციალურ-ემოციური, შემეცნებითი და კომუნიკაციური სფეროების თავისებურებათა გათვალისწინებით:

ა) ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, მოსწავლეებში ისეთი შემეცნებითი უნარების განვითარება, როგორებიცაა:

ა.ა) აზროვნება, სივრცითი და დროითი მიმართებების დაუფლება, ფანტაზია, შემოქმედებითობა, გარემოსდაცვითი ცნობიერება.

ბ) მოსწავლეებში ისეთი სოციალური უნარების განვითარება, როგორებიცაა:

ბ.ა) თვითგამოხატვა, ქცევის შეფასება და თანამშრომლობა, გარემოზე ზრუნვა და პასუხისმგებლობა.

გ) მოსწავლეებში ფიზიკური უნარების განვითარება და ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესის დაუფლება.

დ) მოსწავლეებში კომუნიკაციური უნარების განვითარება; წერისა და კითხვის სტრატეგიების დაუფლება; ზეპირი მეტყველებისა და მოსმენის უნარის განვითარება.

ე) მოსწავლეებში გარემოზე დაკვირვების, ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების აღწერის, მარტივი მოდელების შექმნისა და დემონსტრირების, საზომი ხელსაწყოების გამოყენების,

ვ) მონაცემთა აღრიცხვის, ორგანიზებისა და ინტერპრეტაციის უნარის ჩამოყალიბება-განვითარება.

ზ) განვითარებისა და სწავლების თეორიების გამოყენება ბუნებისმეტყველების გაკვეთილების დაგეგმვისას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

თ) აქტივობების ისე შერჩევა, რომ მოსწავლემ შეძლოს ცნებებისა და მიმართებების ათვისება მანიპულირების საშუალებით ( კეთებით სწავლა, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება, პრობლემის გადაჭრა, კანონზომიერებების დადგენა).

ი) სასწავლო გარემოს იმგვარად მოწყობა და რესურსების ისე შერჩევა, რაც გაადვილებს სასწავლო მასალის აღქმას, გაააქტიურებს მოსწავლეთა ყურადღებას და აღუძრავს მათ სწავლის სურვილს.

კ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სპეციფიკიდან გამომდინარე შესაბამისი სავარჯიშოების, აქტივობების და სწავლების ორგანიზაციის სათანადო ფორმების (ჯგუფური, წყვილური, ინდივიდუალური, მთელი კლასის მონაწილეობით) ადეკვატური შერჩევა და გამოყენება.

ლ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ მოსწავლის ინტერესისა და მიდრეკილებების გამოვლენა და სათანადო სტრატეგიების დაგეგმვა მათი განვითარების ხელშესაწყობად.

2. მასწავლებელს შეუძლია შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის წარმართვა ფიზიკური, სოციალურ-ემოციური, შემეცნებითი და კომუნიკაციური სფეროების თავისებურებათა გათვალისწინებით:

ა) საგაკვეთილო პროცესის იმგვარად წარმართვა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათი გარემოსდაცვითი ცნობიერების განვითარებას და ეთიკურ ღირებულებათა ჩამოყალიბებას;

ბ) საგაკვეთილო პროცესის იმგვარად წარმართვა, რომ ხელი შეეწყოს მოსწავლეებში უსაფრთხოების წესების დაცვის ჩვევების გამომუშავებას;

გ) სხვადასხვა აქტივობის დროს ისეთი გარემოს შექმნა, რომლის დროსაც მასწავლებელი მოსწავლეთათვის მისაბამი მაგალითია გარემოზე ზრუნვის, ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესის დაცვის ჩვევების გამომუშავებისათვის;

დ) გაკვეთილის წარმართვისას მოსწავლეების ოჯახური, სოციალური, ფიზიკური და კულტურული განსხვავებულობის გათვალისწინება და კორექტულად მოქმედება;

ე) მრავალფეროვანი მეთოდებისა და ადეკვატური თავლსაჩინოებების გამოყენებით საგაკვეთილო პროცესის იმგავრად წარმართვა, რომელიც აღძრავს მოსწავლეებში ინტერესს საბუნებისმეტყველო საგნის მიმართ, მისცემს მათ თვითგამოხატვისა და არჩევანის გაკეთების საშუალებას;

ვ) განვითარებისა და სწავლების თეორიების გამოყენება ბუნებისმეტყველების გაკვეთილების წარმართვისას მოსწავლეთა სწავლისადმი ნებელობითი ქცევის უნარის ჩამოყალიბებისათვის;

ზ) სასწავლო მიზნის მისაღწევად, გამომდინარე საბუნებისმეტყველო საგნის სპეციფიკიდან, დაგეგმილი აქტივობების ინსტრუქციისა და უსაფრთხოების წესების მკაფიოდ და გასაგები ენით ჩამოყალიბება;

თ) პრაქტიკული სამუშაოების (სადემონსტრაციო ცდა, ექსპერიმენტი, რუკაზე მუშაობა, სავლე სამუშაოები და სხვ.) მიმდინარეობის ეტაპების გამოყოფა, რათა მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს საქმიანობის დაგეგმვის, გეგმის მიხედვით მოქმედებისა და მისი ბოლომდე მიყვანის ჩვევა;

ი) საბუნებისმეტყველო საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტივობების წარმართვისას უმცროსი სასკოლო ასაკის თავისებურებების გათვალისწინება, მოსწავლეებში რეფლექსიის უნარის განვითარების ხელშეწყობა;

კ) გარემოს შესახებ მოსწავლის ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება და მისთვის ხელის შეწყობა ამ გამოცდილების საფუძველზე ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების თანდათანობით აგებაში;

ლ) სწავლებისას საგნის სპეციფიკური ტერმინების მიწოდება მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, რათა ხელი შეეწყოს საბუნებისმეტყველო ტერმინების მარაგის ეტაპობრივ და თანამიმდევრულ გამდიდრებას.

3. მასწავლებელს შეუძლია შეფასების მრავალფეროვანი ხერხების გამოყენება შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად:

ა) მოსწავლის ნამუშევრის ანალიზის საფუძველზე ასაკისათვის დამახასიათებელი ტიპური შეცდომების ამოცნობა და მომავალი სამუშაოს დაგეგმვა შედეგის გაუმჯობესების მიზნით;

ბ) მოსწავლის თვითშეფასების გამოყენება მოტივაციის ასამაღლებლად და სწავლის უნარ-ჩვევების გასაგვითარებლად;

გ) კორექტული შეფასების მეშვეობით მოსწავლის მიერ საკუთარი შეცდომისადმი ობიექტური დამოკიდებულების ჩამოყალიბება (რათა იგი ჩაწვდეს შეცდომის არსს და ამასთანავე გააცნობიეროს, რომ შეცდომა ყველა ადამიანი უშვებს, მაგრამ მათი გამოსწორება შესაძლებელია დამოუკიდებლად ან მასწავლებლის დახმარებით) და კორექტირების უნარის განვითარება (რათა მან გაითავისოს, რომ შეცდომა ბიძგს აძლევს ძიებას, პრობლემის გადაჭრის ახალი გზების აღმოჩენას);

დ) შეფასების მეშვეობით მოსწავლისათვის წარმატების გრძნობის გაღვივება და ხელშეწყობა პოზიტიური და ობიექტური პიროვნული თვითშეფასების ჩამოყალიბებაში;

ე) გარკვეული სასწავლო ეტაპის შეფასებისას თითოეული მოსწავლის დახასიათების დაწერა, კორექტული და ობიექტური კომენტარებისა და რეკომენდაციების გამოყენება;

ვ) მრავალჯერადი შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე მოსწავლის პროგრესის/რეგრესის გამომწვევი მიზეზების დადგენა და შემდგომი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მათი გათვალისწინება;

ზ) შეფასების სხვადასხვა მეთოდების (განმავითარებელი, განმსაზღვრელი) ერთმანეთისგან ფუნქციურად გამიჯვნა და თითოეულის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება;

თ) საბუნებისმეტყველო მეცნიერების სპეციფიკიდან გამომდინარე, დავალებებისა და აქტივობების შეფასების სათანადო კრიტერიუმების შემუშავება, მათი წონის განსაზღვრა და დონეების გამოყოფა;

ი) მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო მეცნიერების სპეციფიკური უნარ-ჩვევების განვითარებისათვის შეფასების ადეკვატურად გამოყენება.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

## თავი VIII

### დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი საზოგადოებრივ მეცნიერებებში („ჩვენი საქართველო“)

#### **მუხლი 21. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები საქართველოს ისტორიაში, საქართველოს გეოგრაფიასა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებში**

ა) მიმართულება: ისტორიულ-გეოგრაფიული ცნებებისა და ინფორმაციის გააზრება-გამოყენება  
ა.ა) გეოქრონოლოგიური და ქრონოლოგიური ერთეულებისა (ერა, პერიოდი, წელიწადი, საუკუნე, ათასწლეული) და წელთაღრიცხვის სისტემის გამოყენება; ისტორიამდელი და ისტორიული მოვლენების შესაბამის ეპოქებთან დაკავშირება;

საქართველოსა და მსოფლიოს პოლიტიკურ, ფიზიკურ და ისტორიულ რუკაზე ადგილების, მოვლენებისა და პროცესების ამოცნობა, საჭიროებისამებრ გამოყენება და მარტივი ანალოგის შექმნა;

ბ) მიმართულება: ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა

ბ.ბ) წარსულისა და თანამედროვეობის ამსახველი, სხვადასხვა საშუალებით მოცემული ისტორიულ-გეოგრაფიული ინფორმაციის შესახებ მსჯელობა (მაგ.: სახელმძღვანელოს ტექსტი და სხვა წერილობითი მასალა, ილუსტრაციები, ღია ბარათები, ფოტოები, დიაგრამები, რუკები, კინოფილმები და სხვ.), ისტორიულ-გეოგრაფიული წყაროების ანალიზი და მათ ტენდენციურობაზე მსჯელობა (გააზრებული აქვს, რომ სხვადასხვა წყარო ერთსა და იმავე მოვლენაზე ხშირად განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის; ასახელებს იმ ფაქტორებს, რომლებმაც განაპირობა ამა თუ იმ კონკრეტული წყაროს ტენდენციურობა);

ისტორიულ და გეოგრაფიულ თემატიკაზე კითხვების დასმა და ასეთსავე კითხვებზე პასუხის გაცემა, სხვადასხვა ისტორიული და გეოგრაფიული წყაროს საშუალებით საჭირო ინფორმაციის მოპოვება; ისტორიულ-გეოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; მარტივი ისტორიული და გეოგრაფიული კვლევის დაგეგმვა და ჩატარება;

გ) მიმართულება: ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების შეფასება

გ.ა) ისტორიისა და გეოგრაფიის საკითხებზე დასაბუთებული მსჯელობა, არგუმენტების შესაბამისობის დადგენა; ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების შეფასებისათვის კრიტერიუმების განსაზღვრა და მათ შესაბამისად საკუთარი აზრის ჩამოყალიბება.

დ) მიმართულება: კომუნიკაცია

დ.ა) ისტორიული და გეოგრაფიული ტერმინების საჭიროებისამებრ ადეკვატურად გამოყენება; ისტორიული და გეოგრაფიული ტერმინების მოსწავლეთათვის ნაცნობი ცნებებითა და სიმბოლოებით ახსნა-განმარტება როგორც ზეპირად, ისე წერილობით; ისტორიისა და გეოგრაფიის საკითხებზე მსჯელობისას კავშირების დამყარება მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან და შესაბამის სასწავლო საგნებთან; ისტორიისა და გეოგრაფიის საკითხებზე აღწერილობითი თემის დაწერა; ისტორიულ-გეოგრაფიული საკომუნიკაციო მარტივი საშუალებების გამოყენება და შექმნა (მაგ., მარტივი რუკის ან ქრონოგრამის შექმნა). სხვადასხვა საშუალებით მოცემული ისტორიულ-გეოგრაფიული ინფორმაციის მოსწავლეთათვის გასაგებ ფორმატში წარმოჩენა (მაგ.: რუკაზე მოცემული ინფორმაციის ცხრილის ან სქემის სახით გამოსახვა).

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

#### **მუხლი 22. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა ისტორიაში, საქართველოს გეოგრაფიასა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებში**

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელმა ისტორიაში, საქართველოს გეოგრაფიასა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებში იცის:

ა) ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლის საგანი:



ა.ა) გეოქრონოლოგია (ჰიდროსფეროს, ატმოსფეროს, კონტინენტებისა და სიცოცხლის წარმოშობა), შესაბამისი დროის ერთეულები და პერიოდიზაცია; ისტორიული დროის ერთეულები: წელი, საუკუნე, ათასწლეული, წელთაღრიცხვის სისტემა; კალენდარი და დროის აღრიცხვის სისტემა;

ა.ბ) გლობუსი, ადგილის გეგმა, რუკა (სხვადასხვა ტიპის სასწავლო რუკები, ატლასები) და სხვა გეოგრაფიული საშუალებები; ჰორიზონტის მხარეები, ადგილის გაგნება, კომპასი; მასშტაბი, რუკაზე გამოსახული ობიექტების, მოვლენებისა და პროცესების გამოსახვითი ხერხები, რუკის ლეგენდა (გამოყენებული სიმბოლოები);

ა.გ) ფიზიკური, ეკონომიკური, პოლიტიკური მდებარეობა, საზღვრების მნიშვნელობა. საქართველოს ბუნებრივი საზღვრები;

ა.დ) საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობა: მხარეები, მნიშვნელოვანი ქალაქები;

ა.ე) საქართველოს ძირითადი ოროგრაფიული და ჰიდროგრაფიული ერთეულები; საქართველოს კლიმატი; ბუნებრივი რესურსები; საქართველოს ფლორა და ფაუნა; ბუნების დაცვა საქართველოში;

ა.ვ) დედამიწის ბრუნვა ღერძისა და მზის გარშემო და მისი შედეგები: დღე-ღამის ცვლა; წელიწადის დროების ცვლა;

ა.ზ) სითბოსა და სინათლის განაწილება დედამიწაზე; ამინდის პროგნოზი; მეტეოროლოგიური ხელსაწყოების გამოყენების პრინციპი; ამინდისა და კლიმატის განსხვავება; ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებში სეზონების უთანაბრო ცვლა;

ა.თ) სითბური სარტყელები; კლიმატის გავლენა ადამიანის ყოფაზე;

ა.ი) კონტინენტებისა და ოკეანეების მდებარეობა, ფართობი, სახასიათო ბუნება (ზონები, მცენარეულობა, ცხოველთა სამყარო), ძირითადი მთიანეთები, მდინარეები, ტბები, მოსახლეობა, ძირითადი ქვეყნები და ქალაქები;

ა.კ) ისტორიული პერიოდიზაცია (ქვის ხანა, ადრე ბრინჯაოს ხანა, შუა ბრინჯაოს ხანა, გვიან ბრინჯაოს-ადრე რკინის ხანა, ანტიკური ეპოქა, შუა საუკუნეები, ახალი და უახლესი პერიოდები);

ა.ლ) ბრინჯაოს ხანა საქართველოში (მტკვარ-არაქსის და თრიალეთის კულტურები);

ა.მ) უძველესი რელიგიური წარმოდგენები საქართველოში;

ა.ნ) სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები საქართველოში (დიაოხი, კოლხა);

ა.ო) კოლხეთი და ბერძნული კოლონიზაცია;

ა.პ) ქართლის სამეფოს შექმნა;

ა.ჟ) რომი და საქართველო (პომპეუსის ლაშქრობა, ფარსმან I, ფარსმან II ქველი);

ა.რ) საქართველო IV-VIII სს-ში (ქრისტაიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ქართლში, ვახტანგ გორგასალი, ქართლის სამეფოს სახელმწიფო მმართველობის სისტემა, ეგრისის სამეფო ბიზანტია-ირანის დაპირისპირებაში V-VI სს-ში, სახელმწიფოებრიობის გაუქმება და აღდგენა VI ს-ის ქართლში, არაბების გამოჩენა – ჰაბიბ იბნ-მასლამას დაცვის სიგელი, მურვან ყრუს შემოსევა, IV-VIII სს. საქართველოს კულტურა);

ა.ს) საქართველო IX-XI სს-ში (სამეფო-სამთავროების წარმოქმნა VIII ს. ბოლოს და IX ს-ის დასაწყისში, , სამონასტრო მშენებლობა ტაო-კლარჯეთში, დავით III კურაპალატი);

ა.ტ) საქართველო XI-XIII ს-ის I მეოთხედში (ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV, დავით IV აღმაშენებელი, მისი რეფორმები, დემეტრე I, გიორგი III, თამარ მეფე, ლაშა გიორგი, მმართველობის სისტემა, სოციალური ფენები, კულტურა და განათლება);

ა.უ) საქართველო XIII-XV სს-ში (ჯალალედინის შემოსევა, მონღოლების გამოჩენა, ორმეფობა, დემეტრე თავდადებული, გიორგი V ბრწყინვალე, თემურ-ლენგის შემოსევები, ალექსანდრე I დიდი, საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად);

ა.ფ) საქართველო XVI-XVIII სს-ში (ქართლის სამეფო – ლუარსაბ I და სვიმონ I, კახეთი XVI ს-ში, ამასიის ზავი, შაჰ აბასი და საქართველო, ვახტანგ VI, თეიმურაზ II და ერეკლე II, საზოგადოებრივი ფენები, კულტურა და განათლება);

ა.ქ) საქართველო XIX-XX სს-ში (საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ, 1832 წლის შეთქმულება, ბატონყმობის გაუქმება, თერგდალეულები, ქართული კულტურა XIX საუკუნეში, საქართველო 1918-1921 წლებში, საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში – 1924 წლის აჯანყება, 30-იანი წლების რეპრესიები, II მსოფლიო ომი, ეროვნული მოძრაობა უძრავობის პერიოდში, დამოუკიდებლობის აღდგენა, საქართველოს გაწევრიანება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ევროსაბჭოში, საქართველოს კონსტიტუცია, ეროვნული სიმბოლიკა: დროშა, ჰიმნი, გერბი, ქართული კულტურა XX საუკუნეში).

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

## **მუხლი 22<sup>1</sup>. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის სწავლების მეთოდები საქართველოს ისტორიაში, საქართველოს გეოგრაფიასა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებში**

1. შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა მოსწავლის ფიზიკური, სოციალურ-ემოციური, შემეცნებითი და კომუნიკაციური სფეროების თავისებურებათა გათვალისწინებით:

ა) საგაკვეთილო მიზნად დაისახოს მოსწავლეებში საგნისათვის დამახასიათებელი ისეთი ღირებულებების განვითარება, როგორებიცაა: პატიოსნება, პატივისცემა, კაცთმოყვარეობა, შრომისმოყვარეობა, პატრიოტიზმი;

ბ) ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით, დაისახოს საგაკვეთილო მიზნად ისეთი შემეცნებითი უნარების განვითარება, როგორებიცაა: სივრცითი და დროითი მიმართებების დაუფლება, ქრონოლოგიური აზროვნება, ისტორიულ-გეოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა, შემოქმედებითობა;

გ) საგაკვეთილო მიზნად დაისახოს მოსწავლეებში ისეთი სოციალური უნარების განვითარება, როგორებიცაა: თვითგამოხატვა, თანაგრძნობა, თვითკონტროლი, პასუხისმგებლობა და თანამშრომლობა;

დ) საგაკვეთილო მიზნად დაისახოს მოსწავლისთვის ისეთი ფიზიკური უნარების განვითარება, როგორიცაა სივრცეში ორიენტაცია;

ე) საგაკვეთილო მიზნად დაისახოს მოსწავლეებში კომუნიკაციური უნარების განვითარება; წერისა და კითხვის სტრატეგიების დაუფლება; ზეპირი მეტყველებისა და მოსმენის უნარების განვითარება;

ვ) ისეთი აქტივობების შერჩევა, რომლებიც შეესაბამება დასახულ მიზანს და ითვალისწინებს უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა საზოგადოებრივი ურთიერთობების გამოცდილებას;

ზ) აქტივობის ისე შერჩევა, რომ მოსწავლემ შეძლოს ცნებებისა და მიმართებების ათვისება მანიპულირების საშუალებით (კეთებით სწავლა, პრობლემის გადაჭრა, კანონზომიერების დადგენა, პირად გამოცდილებასთან დაკავშირება);

თ) სასწავლო გარემოს იმგვარად მოწყობა, სასწავლო მასალისა და რესურსების ისე შერჩევა, რაც გაადვილებს სასწავლო მასალის აღქმას, გააქტიურებს მოსწავლეთა ყურადღებას და აღუძრავს მათ სწავლის სურვილს;

ი) საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართ მოსწავლის მიდრეკილებებისა და ნიჭის გამოვლენა, სათანადო სტრატეგიების დაგეგმვა თითოეულის განსაკუთრებულად;

კ) საგაკვეთილო მიზნების მისაღწევად სოციალური და საკომუნიკაციო უნარების განვითარების შესაბამისი სწავლების ორგანიზების ფორმების შერჩევა: ჯგუფური, წყვილური, ინდივიდუალური, მთელი კლასის მონაწილეობით მუშაობა;

2. მასწავლებელს შეუძლია შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის წარმართვა ფიზიკური, სოციალურ-ემოციური, შემეცნებითი და კომუნიკაციური სფეროების თავისებურებათა გათვალისწინებით:

ა) აქტივობების წარმართვისას უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა სოციალური გამოცდილების გათვალისწინება, მოსწავლეთათვის ხელშეწყობა ახალი სოციალური როლის მისაღებად;

ბ) საგაკვეთილო პროცესის იმგვარად წარმართვა, ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შორის ჯანსაღი ურთიერთობების განვითარებას, მათ სოციალიზაციას და ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას;

გ) მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენება, რომლებიც გააიოლებს მოსწავლეთა სასკოლო გარემოსა და რეჟიმთან ადაპტაციას, წესების შემუშავების, გაზიარებისა და დაცვის ჩვევის გამომუშავებას;

დ) სხვადასხვა აქტივობის დროს ისეთი პოზიტიური გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობას;

ე) გაკვეთილის წარმართვისას მოსწავლეების ოჯახური, სოციალური, ფიზიკური და კულტურული განსხვავებულობის გათვალისწინება და კორექტულად მოქმედება;

ზ) საგაკვეთილო პროცესის წარმართვისას, მრავალფეროვანი მეთოდებისა და სასწავლო რესურსების გამოყენებით, მოსწავლის ინტერესის აღძვრა საკუთარი ქვეყნის უკეთ შესასწავლად;

თ) აქტივობების წარმართვისას უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ნაკლებად დამოუკიდებლობის გათვალისწინება და მათი ნებელობითი ქცევის უნარის განვითარებისთვის ხელშეწყობა;

ი) მოსწავლეებში კლასის, სკოლისა და საზოგადოებრივი წესების დაცვის უნარის გამომუშავება. წესების მარტივი ენითა და პოზიტიური ფორმით ჩამოყალიბება, მოსწავლეთა ქცევის თანმიმდევრული კონტროლი;

კ) სასწავლო მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების ინსტრუქციის, ქცევის წესების მკაფიოდ და გასაგები ენით ჩამოყალიბება;

ლ) ხანგრძლივი აქტივობის მიმდინარეობის ეტაპების/პერიოდების გამოყოფა და განხორციელების გაკონტროლება-აღრიცხვა, დასრულების ფაზის გამოკვეთა, რათა მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს დროის კონტროლის, საქმის ბოლომდე მიყვანის და გეგმის მიხედვით მოქმედების ჩვევა;

მ) მოსწავლეებში დაგეგმვის უნარის განვითარება მარტივი სიტუაციური ამოცანების დასახვითა და გადაჭრის გზების ერთობლივი ძიებით;

ნ) ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციას, მისცემს თვითგამოხატვის, არჩევანის გაკეთებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის გაზიარების საშუალებას;

ო) აქტივობების წარმართვისას უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა სოციალური გამოცდილების გათვალისწინებით მათში რეფლექსიის უნარის განვითარების ხელშეწყობა;

პ) მოსწავლის პირადი სოციალური გამოცდილების გათვალისწინება და მისთვის ხელის შეწყობა ამ გამოცდილების საფუძველზე ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების თანდათანობით აგებაში;

ჟ) სწავლებისას საგნის სპეციფიკური ტერმინების მიწოდება მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით (ტემპი, რაოდენობა), რათა ხელი შეეწყოს ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების მარაგის ეტაპობრივ და თანმიმდევრულ გამდიდრებას;

3. მასწავლებელს შეუძლია შეფასების მრავალფეროვანი ხერხების გამოყენება შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად:

ა) თითოეული მოსწავლის ნამუშევრების ანალიზის საფუძველზე ასაკისთვის დამახასიათებელი ტიპური შეცდომების ამოცნობა და, შესაბამისად, სასწავლო მეთოდების, რესურსებისა და საკომუნიკაციო სტრატეგიების შემუშავება შედეგების გასაუმჯობესებლად;

ბ) მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების გამოყენება სასწავლო მოტივაციის ასამაღლებლად და სწავლის უნარ-ჩვევების განსავითარებლად;

გ) კორექტული შეფასების მეშვეობით მოსწავლის მიერ საკუთარი შეცდომის აღმოჩენის, მისდამი ადეკვატური დამოკიდებულების, შესწორებისა და ამ პროცესში თანამშრომლობის უნარის განვითარება;

დ) კეთილგანწყობილი შეფასების მეშვეობით მოსწავლისთვის წარმატების გრძნობის გაღვივება და ხელშეწყობა ობიექტური პიროვნული თვითშეფასების ჩამოყალიბებაში;

ე) გარკვეული სასწავლო ეტაპის შეფასებისას თითოეული მოსწავლის დახასიათების დაწერა, კორექტული და პოზიტიური კომენტარებისა და რეკომენდაციების გამოყენებით;

ვ) მრავალჯერადი შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე მოსწავლის პროგრესის/რეგრესის გამომწვევი მიზეზების დადგენა და შემდგომი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მათი გათვალისწინება;

ზ) განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ერთმანეთისგან ფუნქციურად გამიჯვნა და თითოეულის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება;

თ) მოსწავლეებში განსავითარებელი სოციალური კომპეტენციებიდან (ღირებულებები, ცოდნა და უნარ-ჩვევები) გამომდინარე, დავალებებისა და აქტივობების შეფასების სათანადო კრიტერიუმების შემუშავება, მათი წონის განსაზღვრა და დონეების გამოყოფა.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

## **თავი IX**

**(ამოღებულია)**

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

## **თავი X**

**(ამოღებულია)**

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

## **თავი XI**

**(ამოღებულია)**

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

## **თავი XII**

**ქართულის – როგორც მეორე ენის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე**

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 აპრილის ბრძანება №57/ნ - ვებგვერდი, 04.05.2011 წ.*

**მუხლი 29. ქართულის – როგორც მეორე ენის მასწავლებლის უნარ-ჩვევები დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე**

ქართულის – როგორც მეორე ენის მასწავლებელს დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე შეუძლია:

ა) მიმართულება მოსმენა;

ა.ა) კომპლექსური თემების შემცველი ზეპირი მოხსენებების, გამოსვლების, დისკუსიების, დებატების გაგება და გაანალიზება შინაარსობრივი თვალსაზრისით (მაგ., პრობლემატიკის, ძირითადი საკითხების, არგუმენტების გამოკვეთა, მთავარი და არამთავარი საკითხების, ვარაუდების და ფაქტების ერთმანეთისგან გამიჯვნა, ტექსტის ნაწილებს შორის არსებული ლოგიკური ურთიერთმიმართებების დადგენა, მოსაუბრეთა ისეთი აზრების, დამოკიდებულებებისა და ემოციების ამოცნობა, რომლებიც არ არის ექსპლიციტურად გამოხატული და სხვა);

ა.ბ) ზეპირი ტექსტების ძირითადი ენობრივ-სტილური მახასიათებლების გაგება (მაგ.: ხატოვანი გამონათქვამების, ფრაზეოლოგიზმების, იდიომატური გამოთქმების, სახე-სიმბოლოების გაგება; მსჯელობისათვის დამახასიათებელი პირობით-შედეგობითი კონსტრუქციების, სუბიექტური დამოკიდებულების გამომხატველი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების – განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ამოცნობა, სხვადასხვა სტილისათვის დამახასიათებელი სინტაქსური სტრუქტურების, ენობრივი ფორმულებისა და კლიშეების ამოცნობა და სხვა);

ა.გ) ტექსტის შინაარსის აღქმა-გააზრების გასაადვილებლად მოსმენის სტრატეგიების გამოყენება (მაგ.: ჩანაწერების ტექნიკის გამოყენება ინფორმაციის დასახარისხებლად; ვერბალური და არავერბალური სიგნალების – ინტონაცია, მიმიკა-ჟესტიკულაცია, ლოგიკური მახვილები, ხმის ტემბრი და სიმაღლე – გათვალისწინება; საკვანძო სიტყვების შერჩევა სათანადო ინფორმაციის ამოსაკრეფად და სხვა).

ბ) მიმართულება კითხვა:

ბ.ა) სხვადასხვა ჟანრის, სტილის, მოცულობის, სტრუქტურის მქონე არამხატვრული და მხატვრული ტექსტების გაგება და გაანალიზება შინაარსობრივი თვალსაზრისით (მაგ., ტექსტში ასახული პრობლემატიკის, ძირითადი იდეის, პრობლემის გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა; გადმოცემული თუ ნაგულისხმევი თვალსაზრისების, შეხედულებების გამოკვეთა/გამოყოფა; მთხრობელის/ავტორის/პერსონაჟის ხედვის და ქცევის მოტივის განსაზღვრა და სხვა);

ბ.ბ) მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გაანალიზება სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით (მაგ.: ტექსტის ფუნქციური ტიპის განსაზღვრა; ტექსტის სტრუქტურის შესაბამისობის დადგენა ტექსტის მიზანთან და აუდიტორიასთან; პერსონაჟთა დახასიათების ხერხების ამოცნობა; ტექსტის სტრუქტურული ერთეულების, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ფუნქციის განსაზღვრა და სხვა);

ბ.გ) ტექსტების გაანალიზება კონტექსტური (კულტურული, სოციალური, ისტორიული) ფაქტორების გათვალისწინებით (მაგ., ტექსტებში ასახული თემის, იდეის, თვალსაზრისის, პრობლემის განხილვა კონტექსტის თავისებურებათა გათვალისწინებით; სხვადასხვა კონტექსტის ამსახველი ტექსტების მსგავსება-განსხვავებათა გამოვლენა და სხვა);

ბ.დ) შინაარსის აღქმა-გააზრების გასაადვილებლად კითხვის სტრატეგიების გამოყენება. (მაგ.: სქემატური ჩანაწერების სხვადასხვა ტექნიკის გამოყენება; გაცნობითი, შესწავლითი, ძიებითი კითხვის ხერხების გამოყენება და სხვა).

გ) მიმართულება წერა:

გ.ა) სხვადასხვა ტიპის წერილობითი ტექსტების (მაგ., განცხადება, მოხსენება, ესე, ნარკვევი, გამომხატურება, მიმოხილვითი ხასიათის სტატია, რეცენზია) შედგენა. პრობლემურ საკითხებზე საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება და დაცვა; აზრის თანამიმდევრულად განვითარება; შეჯამებისას სათანადო ლოგიკური დასკვნების გამოტანა; მნიშვნელოვანი დეტალების

დაწვრილებით აღწერა; საკუთარი შთაბეჭდილებების, კრიტიკული დამოკიდებულებების გადმოცემა; ტექსტის ორგანიზების წესის დაცვა; ენობრივი ნორმების დაცვა;

გ.ბ) ტექსტის შეთხზვა, რომელშიც ენობრივი ნორმების დაცვით ხატონადაა გადმოცემული/აღწერილი გამოგონილი თუ საკუთარ გამოცდილებაზე დაფუძნებული ისტორია.

დ) მიმართულება ზეპირმეტყველება:

დ.ა) აუდიტორიის წინაშე ზეპირი მოხსენებით გამოსვლა; საკუთარი მოსაზრებების მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბება; სათანადო არგუმენტების და კონკრეტული მაგალითების მოხმობა საკუთარი მოსაზრების/პოზიციის გასამყარებლად; დასკვნის გაკეთება;

დ.ბ) დისკუსიებში მონაწილეობა და საკუთარი პოზიციის დაცვა; მეტი სიცხადისათვის აზრის პერიფრაზირება, განმარტებების შეტანა; კონტრარგუმენტებზე პასუხის გაცემა;

დ.გ) სიუჟეტების თხრობა, დეტალების დაწვრილებით აღწერა, ნიუანსების გამოკვეთა;

დ.დ) ზეპირმეტყველების სათანადო სტრატეგიების გამოყენება (მაგ., საკვანძო სიტყვების, გამოთქმების, მოდელების წინასწარ მომზადება; გამოსვლამდე რეპეტიციის გავლა, გამოსვლის გეგმის შედგენა, დისკუსიის მონაწილეთა შესაძლო არგუმენტების გათვალისწინება შესაბამისი პასუხების მოსამზადებლად).

ე) სასწავლო მასალის გაანალიზება

ე.ა) კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფისთვის შექმნილ სხვადასხვა სასწავლო მასალას შორის არჩევანის გაკეთება, საკუთარი არჩევანის დასაბუთება, მასალის მეთოდური და შინაარსობრივი თვალსაზრისით გაანალიზების საფუძველზე.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 აპრილის ბრძანება №57/ნ - ვებგვერდი, 04.05.2011 წ.*

### **მუხლი 29<sup>1</sup>. ქართულის – როგორც მეორე ენის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე**

ქართულის – როგორც მეორე ენის მასწავლებელმა დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე იცის:

ა) ქართული ანბანი და მისი ზოგადი დახასიათება:

ა.ა) ქართული ენის ბგერითი შედგენილობა; ბგერა და ასო; მეტყველებასა და წერას შორის შეფარდება. ქართული დამწერლობის განვითარების ეტაპები; ქართულ ასოთა სწორად დაწერილობისა და ასოთა გადაბმის წესები.

ბ) ფონეტიკის საკითხები:

ბ.ა) ბგერათა დახასიათება; სპეციფიკური ბგერები; ძირითადი ფონეტიკური პროცესები: ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, ბგერის დაკარგვა და სხვა; ინტონაცია და მისი ძირითადი ელემენტები: ლოგიკური მახვილი, მეტყველების ტემპი, ხმის ტემბრი; პაუზა და მისი აზრობრივი დატვირთვა; ორთოეპიის საკითხები.

გ) გრამატიკა (მორფოლოგია და სინტაქსი):

გ.ა) სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები; მოთხრობითი ბრუნვის საკითხი; თანდებულთა განაწილება ბრუნვების მიხედვით და მათი ფუნქციები; სახელთა წარმოება და მათი ფუნქციები; ზმნისწინთა აგებულება და მათი ფუნქციები; პირისა და რიცხვის გამოხატვა ზმნაში; სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები ქართულ ენაში; დრო, კილო, ასპექტი; ქცევა და მისი გამოხატვის საშუალებები ქართულში; კონტაქტი, მისი წარმოება და ფუნქცია; გარდამავლობა; გვარის კატეგორია; საწყისი და მიმდევობა, მათი წარმოება და ფუნქციები; ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები და მათი ფუნქციები; მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა; რიცხვში შეთანხმების საკითხები; წინადადება აგებულებისა და შინაარსის მიხედვით; ზმნური კონსტრუქციები და

მარტივი წინადადება (ქართული ენის სპეციფიკა – 4-მთავარწევრიანი წინადადება და ზმნის ცენტრალური როლი წინადადებაში);

რთული სინტაქსური კონსტრუქციები; მისათითებელი სიტყვებისა და წევრ-კავშირების როლი რთულ წინადადებაში; ზმნის დრო-კილოთა ფორმების ურთიერთმიმართების საკითხი რთულ წინადადებაში; სხვადასხვა სტილური მეტყველებისათვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციები.

დ) ორთოგრაფია:

დ.ა) ორთოგრაფიის ძირითადი ნორმები. სალიტერატურო ენის ნორმები და მათი დაცვა.

ე) პუნქტუაცია:

ე.ა) პუნქტუაციის წესები. პუნქტუაციის ნიშნების სტილური შესაძლებლობები. პუნქტუაცია და ინტონაცია.

ვ) ლექსიკოლოგია:

ვ.ა) სიტყვაწარმოების თავისებურებანი ქართულ ენაში. სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები, დიალექტიზმები, ჟარგონი, არქაიზმები, ნეოლოგიზმები, პროფესიული ლექსიკა; სიტყვათა სესხება; სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ხმარება; სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობა; ფრაზეოლოგიზმები და მყარი შესიტყვებები; ბარბარიზმები; ეტიმოლოგია.

ზ) ენისა და ტექსტის ურთიერთმიმართება:

ზ.ა) ტექსტისა და მისი კომპონენტების ორგანიზება (თავი, როგორც ტექსტის სტრუქტურული ნაწილი; აზნაცი, როგორც ტექსტის კომპოზიციური ერთეული); ტექსტის შემადგენელ კომპონენტთა სემანტიკური და სტრუქტურული ურთიერთდაკავშირების საშუალებანი (კავშირები, ნაცვალსახელები და ზმნიზედები, ლექსიკური განმეორება, სინონიმური ჩანაცვლება, ზმნა-შემასმენელთა ურთიერთმიმართება დროის, კილოსა და ასპექტის მიხედვით);

ზ.ბ) მეტყველების ტიპების კლასიფიკაცია აგებულების მიხედვით (პირველი, მეორე, მესამე პირის მეტყველება და მისი გამოყენების სფეროები და თავისებურება);

ზ.გ) ტექსტების კლასიფიკაცია სხვისი ნათქვამის გადმოცემისა (ირიბი ნათქვამი, პირდაპირი ნათქვამი) და საუბარში მეტყველების მონაწილეთა რაოდენობის (მონოლოგი, დიალოგი, პოლილოგი) მიხედვით;

ზ.დ) მეტყველების ფუნქციური ტიპები (აღწერა, თხრობა, მსჯელობა), მათი სტრუქტურული და სტილური თავისებურებანი;

ზ.ე) ტექსტების ფუნქციურ-სტილური ტიპოლოგია (სასაუბრო, სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, მხატვრული, პუბლიცისტური).

თ) მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა:

თ.ა) მხატვრული ტექსტის ელემენტები: მხატვრული ტექსტის ბგერითი ორგანიზაცია; რითმის სახეები და გართიმვის ხერხები; მხატვრული ნაწარმოების ინტონაციური ანალიზი და გამომეტყველებითი კითხვა; ტროპული მეტყველება (ეპითეტი, მეტაფორა, ირონია, გაპიროვნება და სხვა); სტილური და სინტაქსური ფიგურები (განმეორება, პარალელიზმი და სხვა);

ი) ქართული ლიტერატურა და მისი ძირითადი ეტაპები:

ი.ა) ძველი ქართული მწერლობა – სასულიერო მწერლობა (ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია), კლასიკური პერიოდის მწერლობა, აღორძინების პერიოდის მწერლობა;

ი.ბ) ახალი ქართული მწერლობა – XIX საუკუნის მწერლობა და ამ პერიოდის ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობანი: რეალიზმი, რომანტიზმი;

ი.გ) უახლესი ქართული მწერლობა XX საუკუნის მწერლობა და ამ პერიოდის ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობანი: სიმბოლოზმი, ფუტურიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, პოსტმოდერნიზმი;

ი.დ) განსაკუთრებული მხატვრულ-ესთეტიკური და იდეური ღირებულებების მქონე ნაწარმოებები, რომელთაც უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავიათ ძველ, ახალ და უახლეს ქართულ ლიტერატურაში.

კ) ცნებები:

კ.ა) მულტილინგვური განათლება; ინტერკულტურა; ენების პლურალისტური მიდგომები, ენის სწავლის სტრატეგიები, ინტერენა (ინტერლანგუე), გადატანის უნარი (ტრანსფერი), კითხვის მოდელები (ადმავალი, დადმავალი, ინტერაქტიული); სასწავლო სიტუაცია;

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 აპრილის ბრძანება №57/ბ - ვებგვერდი, 04.05.2011 წ.*

## **მუხლი 29<sup>2</sup>. სწავლების მეთოდები**

ქართულის – როგორც მეორე ენის მასწავლებელი დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე ელობს საგნის სწავლების მეთოდებს და შეუძლია:

ა) ქართულის – როგორც მეორე ენის მასწავლებელს დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა;

ა.ა) მოსწავლის სტანდარტის მოთხოვნების, მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესებისა და მათი ენობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით ტექსტების შერჩევა და საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა მოსმენის/კითხვის უნარ-ჩვევის გასავითარებლად; სხვადასხვა ტიპისა და სირთულის მოსასმენი/საკითხავი დავალებების შერჩევა ან შედგენა ტექსტის ეტაპობრივი გააზრებისათვის;

ა.ბ) მოსწავლის სტანდარტის მოთხოვნების, მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესებისა და მათი ენობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით, საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა ენობრივი, ზეპირი და წერითი უნარ-ჩვევების გასავითარებლად; დასახული მიზნების შესაბამისი, განსხვავებული სირთულის მქონე სავარჯიშოების შერჩევა ან შედგენა ცოდნის ათვისების პირველი (წვდომა-გაგება), მეორე (გავარჯიშება) თუ მესამე (დაუფლების) ფაზისათვის;

ა.გ) ენის სწავლის უნარის გასაუმჯობესებლად სწავლების სათანადო სტრატეგიების გამოყენება (მაგალითად, დისკუსიის მოწყობა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ რა ხერხი, რა სტრატეგია გამოიყენა დასმული ამოცანის გადასაჭრელად, რომელი იყო უფრო ეფექტური და რატომ; შეცდომების გაანალიზება მათი გამომწვევი მიზეზების დასადგენად; პირველი ენისა და ქართული ენის შედარებითი ანალიზი კონკრეტული მსგავსებებისა და განსხვავებების დასადგენად; მოსწავლეთა მიერ განხორციელებული ტრანსფერების გამოვლენა და გაანალიზება);

ა.დ) კომპლექსური დავალების შერჩევა თუ შედგენა (პროექტი, აქტივობები ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ინტერდისციპლინური აქტივობები), მის შესასრულებად საჭირო გრამატიკული მექანიზმების, ლექსიკის, ენობრივი კონსტრუქციების, ენობრივი თუ საკომუნიკაციო უნარების დაკონკრეტება, მათ ასათვისებლად განსხვავებული ტიპისა და სირთულის შუალედური სავარჯიშოების შერჩევა ან შედგენა, ძირითადი სამუშაოს შესრულების ეტაპების, გზებისა და საშუალებების განსაზღვრა.

ბ) შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა:

ბ.ა) გაკვეთილების ჩატარება გეგმის მიხედვით;

ბ.ბ) ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას ტექსტის მოსასმენად/წასაკითხად, მაგ.: წინმსწრები სამოტივაციო აქტივობების გამოყენება – ვარაუდის გამოთქმა, შინაარსის/ინფორმაციის მოსწავლის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება, მოსწავლის ცოდნის გააქტიურება, საკითხის დასმა, ადმავალი და დადმავალი მეთოდების მონაცვლეობა და სხვა;

ბ.გ) მოსწავლეთა მოტივირება ქართულ ენაზე ზეპირ თუ წერით აქტივობაში ჩასაბმელად, მაგ.: სახალისო საკომუნიკაციო სიტუაციების შეთავაზება, თვითგამოხატვის, არჩევანის (თემა, ადრესატი, ფორმატი) საშუალების მიცემა, ადვილად დასაძლევ სასაუბრო ამოცანების შეთავაზება, გეზის მიმცემი ინსტრუქციების მიცემა კომპლექსური დავალებისთვის და სხვა;



ბ.დ) მოსწავლეებისათვის მოსასმენი/საკითხავი ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარება და მათი სათანადო სტრატეგიებით აღჭურვა, მაგ.: ნაცნობ, არავერბალურ ელემენტებზე დაფუძნებით უცნობი ელემენტების ამოცნობა, მოსმენის/კითხვის მიზნის გათვალისწინება, კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება (გაცნობითი/ ძიებითი/შესწავლითი კითხვა) ლექსიკონის გამოყენება/შედგენა და სხვა;

ბ.ე) მოსწავლეებისათვის სამეტყველო/წერიითი ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარება, მათი სათანადო სტრატეგიებით აღჭურვა, მაგ.: იდეების ჩამოწერა/დახარისხება, დაგეგმვა, საჭირო ენობრივი მასალის (საკვანძო სიტყვები, გრამატიკული სტრუქტურა, ზმნის დრო და სხვ.) თავმოყრა, სამუშაო ვარიანტის გაუმჯობესება თვითშეფასების/თანაშეფასების გზით, საკომპენსაციო საშუალებების გამოყენება, მეწყვილესთან გავარჯიშება და სხვა;

ბ.ვ) ენობრივი ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარება, მოსწავლეების აღჭურვა სათანადო სტრატეგიებით, მაგ.: გრამატიკულ მოდელებზე დაკვირვება და მექანიზმების/კანონზომიერების დამოუკიდებლად ამოცნობა, სქემების, სტრუქტურული მოდელების გამოყენება გავარჯიშების პროცესში, შეცდომების გაანალიზება, უცნობი სიტყვების ამოწერა, დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება, პარალელების გავლება პირველ ან სხვა ნაცნობ ენასთან და სხვა;

ბ.ზ) ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის ჩაბმას ენობრივ-კომუნიკაციურ აქტივობებში, მაგ.: დიფერენცირებული მოთხოვნების წაყენება მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ცოდნის დონის გათვალისწინებით; თითოეული მოსწავლის წინსვლის გამოვლენა; კლასში პასუხების/მოსაზრებების შედარება-გაანალიზებაში ხელშეწყობა; მოსწავლეთა ტექსტთან/გრამატიკულ მოდელებთან მიბრუნება მოსაზრებების დასაბუთების მიზნით; კონტექსტზე დაფუძნებით ვარაუდების გამოთქმასა და პასუხების ამოცნობაში ხელშეწყობა და სხვა;

ბ.თ) მოსწავლეთა დამოუკიდებლად, წყვილებში და ჯგუფებში მუშაობის უნარ-ჩვევის განვითარება; მიღწევების დამოუკიდებლად გაუმჯობესებისათვის სათანადო უნარ-ჩვევების განვითარებაში ხელშეწყობა, მაგ.: მოსწავლეთა ჩართვა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, თვითშეფასების და თანაშეფასების პროცესში; ხელშეწყობა იმისა, რომ მათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ პრობლემები, შემაფერხებელი და ხელშემწყობი ფაქტორები, ხერხები, სუსტი და ძლიერი მხარეები, აღმოფხვრან ხარვეზები, მოიძიონ პრობლემათა გადაჭრის გზები; გამოიყენონ/შექმნან რესურსები (მოდელები, ცნობარი, ტაბულები, ლექსიკონი); სამუშაო დაყონ მონაკვეთებად და სხვა;

ბ.ი) დავალების ინსტრუქციის ნათლად ჩამოყალიბება/ინტერპრეტაცია;

გ) შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად

გ.ა) სასწავლო მიზნებისა და შეფასების სტრატეგიების ურთიერთშეთანხმება: მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და ხერხების შერჩევა/შემუშავება, კომპლექსური დავალებების შესაფასებლად სათანადო კრიტერიუმების სქემების (რუბრიკების) შემუშავება და თითოეული კრიტერიუმის წონის განსაზღვრა დასახული პრიორიტეტული მიზნების გათვალისწინებით;

გ.ბ) წინასწარი, მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასების წარმოება მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად: სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი კრიტერიუმების შერჩევა-შემუშავება (შემოქმედებითობა, თანამშრომლობის უნარი, ორგანიზებულობა და სხვა), ასევე შეფასების მრავალფეროვანი ფორმის გამოყენება (ტესტები, გამოფენები, პრეზენტაციები, შეფასების ცხრილები, წარმოდგენები და სხვა);

გ.გ) განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა ენის ცოდნის დონის გასაუმჯობესებლად და შესამოწმებლად; ენობრივი და კომუნიკაციური პრობლემების გამოსავლენად

და მათი წარმომშობის მიზეზების დასადგენად, სათანადო სტრატეგიების, აქტივობების დაგეგმვა ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად;

გ.დ) განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება;

გ.ე) განვლილი მასალის საფუძველზე თვითშეფასების სხვადასხვა საშუალებების (მაგ.: თვითშეფასების ცხრილები, სქემები, ტესტური დავალებები შეფასების სქემებითურთ და სხვ.) შედგენა და გამოყენება კონკრეტული მასალის დასრულების შემდეგ.

დ) ქართულის სწავლება მოსწავლის კულტურული და ინტერკულტურული განვითარებისათვის

დ.ა) სოციოკულტურული და კულტურული თვალსაზრისით მდიდარი რესურსების შერჩევა და, მათზე დაფუძნებით, ისეთი აქტივობების აგება, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესს გამოიწვევს;

დ.ბ) კლასში არსებული მრავალფეროვნების, როგორც რესურსის, გამოყენება; მოსწავლის მშობლიური ენისა და კულტურული გამოცდილების გამოყენებით სასწავლო პროცესის გამდიდრება;

დ.გ) მოსწავლეებისათვის ისეთი მოსაზრებების გამოთქმის ხელშეწყობა, რომელიც გამომდინარეობს მათი კულტურული პერსპექტივიდან დისკუსიების, განსხვავებული კულტურული ხედვის პატივისცემის და აღიარების, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების გზით;

დ.დ) ინტერკულტურული სწავლების ადეკვატური სტრატეგიებისა და შეფასების სისტემის გამოყენება;

დ.ე) მოსწავლეში სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის ადეკვატური სტრატეგიების, მასალებისა და მიდგომების გამოყენება.

ე) დაწყებით საფეხურზე მეორე ენის სწავლა/სწავლების სპეციფიკის გათვალისწინება

ე.ა) სტანდარტის მოთხოვნებზე დაფუძნებით, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასებისას უპირატესობის მინიჭება სწავლების ისეთი სტრატეგიებისათვის, რომლებიც ააქტიურებს სენსორულ<sup>1</sup>, კინესთეტიკურ<sup>2</sup> და მოტორულ სისტემებთან და წარმოსახვასთან დაკავშირებულ სააზროვნო (არაანალიტიკურ) პროცესებს, მაგალითად: მასალის ახსნისას თვალსაჩინოებების, ანალოგიების, იგავური ენის, მეტაფორების, მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენება, მასალის ასათვისებლად თუ ცოდნის შესაფასებლად როლების გათამაშება, მინისპექტაკლების დადგმა, დახატვა-გაფერადება, ნაკეთობების შექმნა, მუსიკის მოსმენა, სიმღერა, განსახიერება და სხვა;

ე.ბ) კითხვის ორი უნარ-ჩვევის (წერილობითი კოდის გახმოვანება და წაკითხულის შინაარსის გაგება) ერთმანეთისაგან გარჩევა და ორივე უნარის წარმატებით გასავითარებლად სწავლების სათანადო სტრატეგიების გამოყენება, ასევე კითხვის ორი განსხვავებული ტექნიკის (ჩუმი და ხმამაღალი კითხვის) დანიშნულებისამებრ გამოყენება;

ე.გ) წერის სამი უნარ-ჩვევის – მოტორიკის, კოდირების, ანუ ბგერების ასოებად ქცევისა და შექმნა-შედგენის – ერთმანეთისაგან გარჩევა და სამივე უნარის გასავითარებლად სათანადო აქტივობების გამოყენება;

ე.დ) მოსწავლეების კომუნიკაციური უნარ-ჩვევის დაუფლებისათვის მომზადება: გასავითარებელი უნარების (მოსმენა-გაგება, ბგერების სმენით გარჩევა, ასოების/მარცვლების/ სიტყვების თვალით გარჩევა, მხედველობითი მეხსიერება, გამოთქმა, ტექსტების ზეპირად თქმა, ინტერაქცია, სიტყვების/მინიტექსტის გაგება კითხვის ჩუმი ტექნიკის გამოყენებით, ხმამაღალი კითხვა, ასოების გამოწერა, სიტყვების გამოწერა, მინიტექსტის შედგენა და სხვა) გაცნობიერება და დაწყებითი საფეხურის ამა თუ იმ ეტაპზე პრიორიტეტული უნარებისა და მათი განვითარებისათვის სწავლების სტრატეგიების განსაზღვრა.

---

<sup>1</sup> სენსორული – მხედველობითი, მხედველობის მეშვეობით მიმდინარეობს.

<sup>2</sup> კინესთეტიკური – სხეულის მოძრაობის მეშვეობით მიმდინარეობს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 აპრილის ბრძანება №57/6 - ვებგვერდი, 04.05.2011 წ.

### თავი XIII

## საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/6 - ვებგვერდი, 14.02.2012წ.

### მუხლი 30. საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები

ა) მიმართულება: ზეპირმეტყველება:

ა.ა) სხვათა მეტყველების მოსმენა და კრიტიკულად შეფასება საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით, ვერბალური (შესაფერისი ენობრივი კონსტრუქციები, ადეკვატური ლექსიკა, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები: ირონია, იუმორი, ეპითეტი, შედარება და სხვა) და არავერბალური (ჟესტი, მიმიკა, ინტონაცია, ხმის აწევ-დაწევა, პაუზა და სხვა) საშუალებების ეფექტურობის თვალსაზრისით;

ა.ბ) საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი აქტიური მოსმენის სტრატეგიების გამოყენება (კითხვის დასმა, მოსმენილის პარიფრაზირება, ჩანიშვნა და ა.შ.);

ა.გ) სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით. საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო სტრატეგიებისა და აუდიტორიაზე ზემოქმედების ვერბალური და არავერბალური ხერხების ეფექტური გამოყენება;

ა.დ) საჯარო გამოსვლებისთვის მომზადების სტრატეგიების ფლობა (ინფორმაციის შეგროვება, ტექსტის დაგეგმვა, ჩანაწერების/სლაიდ-შოუს, თვალსაჩინო მასალის მომზადება, კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენება, ინფორმაციის რელევანტურობისა და სანდოობის გადამოწმება, ტექსტის დამახსოვრება, რეპეტიციის გავლა);

ა.ე) სხვადასხვა ჟანრის, ეპოქისა და კულტურის მხატვრული ტექსტების გაანალიზება ჟანრული მახასიათებლების, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის, კომპოზიციური თავისებურების, სტრუქტურული ელემენტების, სიუჟეტის განვითარების, პერსონაჟის ხატვის ხერხების, მთხრობელის პოზიციის, ისტორიული კონტექსტისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების გათვალისწინებით;

ა.ვ) სხვადასხვა ეპოქის ტექსტებში ასახული პრობლემატიკის, თემებისა და იდეების გაანალიზება და შედარება ისტორიული, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით; ქართული მწერლობის მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში გაანალიზება;

ა.ზ) სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტის მიზნის განსაზღვრა და შეფასება მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით;

ა.თ) ტექსტის ლინგვისტური ანალიზი (ტექსტის სტრუქტურა; ტექსტის ფუნქციური ტიპები; ენობრივ-გამომხატველობითი საშუალებები);

ა.ი) კითხვის სტრატეგიების გამოყენება (საჭირო ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა წყაროში; ტექსტებში მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის გადამოწმება; მარკირების სისტემის გამოყენება; სქემების, დიაგრამების, ცნებათა განმარტებების და ა.შ. გამოყენება მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და იდეების გასააზრებლად და დასამუშავებლად; ტექსტიდან სხვადასხვა ტიპის ინფორმაციისა და ლექსიკური ერთეულების მონიშვნა/ამოწერა).

ბ) მიმართულება: კითხვა

ბ.ა) სხვადასხვა ჟანრის, ეპოქისა და კულტურის მხატვრული ტექსტების გაანალიზება ჟანრული მახასიათებლების, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის, კომპოზიციური თავისებურების, სტრუქტურული ელემენტების, სიუჟეტის განვითარების, პერსონაჟის ხატვის ხერხების,

მთხრობელის პოზიციის, ისტორიული კონტექსტისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების გათვალისწინებით;

ბ.ბ) სხვადასხვა ეპოქის ტექსტებში ასახული პრობლემატიკის, თემებისა და იდეების გაანალიზება და შედარება ისტორიული, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით;

ბ.გ) სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტის მიზნის განსაზღვრა და შეფასება მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით;

ბ.დ) ტექსტის ლინგვისტური ანალიზი (ტექსტის სტრუქტურა; ტექსტის ფუნქციური ტიპები; ენობრივ-გამომხატველობითი საშუალებები);

ბ.ე) კითხვის სტრატეგიების გამოყენება (საჭირო ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა წყაროში, მათ შორის, რომელიმე უცხოურ ენაზე შექმნილ ტექსტში; თარგმანისა და ორიგინალის კონტენტ-ანალიზი, მხატვრული/არამხატვრული თარგმანის თავისებურებების გამოკვეთა: ავტორი და მთარგმნელი, ლექსიკოლოგიის საკითხები მხატვრული/არამხატვრული თარგმანის დროს: ფრაზეოლოგიზმები და მყარი შესიტყვებები, ჟარგონი, დიალექტიზმი, არქაიზმი, პროფესიული ლექსიკა; სტილისტური ეფექტების შემქმნელი მხატვრული გამოსახვის საშუალებების თარგმანი და სხვ);

ბ.ვ) ტექსტებში მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის გადამოწმება;

ბ.ზ) მარკირების სისტემის გამოყენება;

ბ.თ) სქემების, დიაგრამების, ცნებათა განმარტებების და ა.შ. გამოყენება მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და იდეების გასააზრებლად და დასამუშავებლად; ტექსტიდან სხვადასხვა ტიპის ინფორმაციისა და ლექსიკური ერთეულების მონიშვნა/ამოწერა).

გ) მიმართულება: წერა

გ.ა) წერილობითი ტექსტების შექმნა სხვადასხვა მიზნით და სხვადასხვა აუდიტორიისათვის, შესაბამისი სტრუქტურული მახასიათებლებისა და ენობრივი ნორმების დაცვით (აკადემიური წერა – თეზისის ჩამოყალიბება, არგუმენტირებული მსჯელობის წარმოება, ტექსტის შესავალი და დასკვნითი ნაწილების ფორმულირება, კონტრარგუმენტის/ანტითეზისის არგუმენტაციასა და თეზისთან დაპირისპირება, შესაბამისი ლექსიკისა და სტილის გამოყენება; მხატვრული წერა – სათქმელის მხატვრული ფორმით გამოსახვა, სიუჟეტის აგება, პერსონაჟის დახასიათება, გარემოს აღწერა და მხატვრული გამოსახვის ხერხების გამოყენება; ესეს ტიპის რეფლექსიის დაწერა, სადაც წარმოდგენილი იქნება განსახილველი საკითხი, ავტორისეული მოსაზრებები, შთაბეჭდილებები და შეფასებები საკითხთან დაკავშირებით; ოფიციალურ-საქმიანი ტექსტის შექმნა სათანადო მოდელის გამოყენებით, ოქმების, ანგარიშის ფორმატის დაცვით, პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით; რეფერატის შედგენა, თემების შერჩევა რეფერირებისათვის, ანალიზის შესაბამის ფორმატში დაწერა, წყაროების, ავტორის შესახებ ცნობების, გამოცემის დროისა და ადგილის მითითებით).

გ.ბ) წერის სათანადო სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება (მიზნისა და აუდიტორიის განსაზღვრა, ნაწერის დაგეგმვა, კომპოზიციის აგება, სამუშაო ვერსიის ხელახალი გადასინჯვა, ინფორმაციის სანდოობის გადამოწმება, ტექსტის შესადგენად და დასაფორმატებლად კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენება, ნაწერის რედაქტირება-კორექტირება).

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/6 - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

### **მუხლი 31. საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა**

ა) ზოგადი ცნობები ქართული ენის შესახებ:

ა.ა) ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საფეხურები; ქართული სალიტერატურო ენა და კილოები; ქართული დამწერლობის ისტორია; ენათა ოჯახები; ქართული და მისი მონათესავე ენები.

ბ) ფონეტიკა-ფონოლოგიის საკითხები:

ბ.ა) ასო და ბგერა. ბგერათა ფონოლოგიური დახასიათება (წარმოთქმის ადგილისა და მჟღერობა-სიყრუის მიხედვით; ცალეულები, წყვილეულები, სამეულები). ძირითადი ფონეტიკური პროცესები (ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, ბგერის დაკარგვა და სხვ.). ინტონაცია. ინტონაციის ძირითადი ელემენტები: ლოგიკური მახვილი, მელოდიკა, მეტყველების ტემპი, ხმის ტემბრი. პაუზა და მისი აზრობრივი დატვირთვა.

გ) გრამატიკა:

გ.ა) მორფოლოგია და სინტაქსი. სახელები. სახელთა ბრუნება; მრავლობითი რიცხვის წარმოება; არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელების წარმოება და ფუნქციები; ნაცვალსახელის ჯგუფები, წარმოება და თავისებურებები; სახელთა ბრუნებასთან და წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები ძველ ქართულში. ზმნა. ზმნის პირი და პირიანობა; ზმნის დრო, კილო და ასპექტი, ქცევა და კონტაქტი; გარდამავლობა, გვარი; ზმნისწინი და მისი ფუნქციები (მიმართულება, ასპექტი, სიტყვაწარმოება); ზმნის უღლებასთან დაკავშირებული საკითხები ძველ ქართულში; ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები. წინადადება. სინტაქსური კავშირის სახეები; წინადადებების კლასიფიკაცია შინაარსისა და შედგენილობის მიხედვით; მარტივი წინადადება; შერწყმული წინადადება; რთული წინადადება: თანწყობა და ქვეწყობა; პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი სინტაქსური თავისებურებანი.

დ) ორთოგრაფია:

დ.ა) ორთოგრაფიის წესები და ნორმები.

ე) პუნქტუაცია:

ე.ა) პუნქტუაციის წესები. პუნქტუაციის ნიშნების სტილისტური შესაძლებლობები. პუნქტუაცია და ინტონაცია.

ვ) ლექსიკოლოგია:

ვ.ა) სიტყვაწარმოების თავისებურებანი ქართულ ენაში. სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები, დიალექტიზმები, ჟარგონი, არქაიზმები, ნეოლოგიზმები, პროფესიული ლექსიკა; სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ხმარება; სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობა; ფრაზეოლოგიზმები და მყარი შესიტყვებები; ბარბარიზმები; ეტიმოლოგია.

ზ) ენისა და ტექსტის ურთიერთმიმართება:

ზ.ა) წინადადებისა და მისი კომპონენტების ორგანიზება;

ზ.ბ.) ტექსტისა და მისი კომპონენტების ორგანიზება (თავი, როგორც ტექსტის სტრუქტურული ნაწილი; აზნაცია, როგორც ტექსტის კომპოზიციური ერთეული; აზნაციის ფუნქციები; ფრაგმენტი და მისი სახეები და სხვა);

ზ.გ) ტექსტის შემადგენელ კომპონენტთა სემანტიკური და სტრუქტურული ურთიერთდაკავშირების საშუალებანი (კავშირები, ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზედები, ლექსიკური განმეორება, სინონიმური ჩანაცვლება, ზმნა-შემასმენელთა ურთიერთმიმართება დროის, კილოსა და ასპექტის მიხედვით);

ზ.დ) წინადადებათა გადაბმის სახეები (ჯაჭვური, პარალელური, შერეული);

ზ.ე) მეტყველების ტიპების კლასიფიკაცია აგებულების მიხედვით (პირველი, მეორე, მესამე პირის მეტყველება და მისი გამოყენების სფეროები და თავისებურება);

ზ.ვ) ტექსტების კლასიფიკაცია სხვისი ნათქვამის გადმოცემის (ირიბი ნათქვამი, პირდაპირი ნათქვამი), მეტყველების მონაწილეთა რაოდენობის (მონოლოგი, დიალოგი, პოლილოგი) მიხედვით;

მეტყველების ფუნქციური ტიპები (აღწერა, თხრობა, მსჯელობა, მათი სტრუქტურული და სტილური თავისებურებანი);

ზ.ზ) ტექსტების ფუნქციურ-სტილური ტიპოლოგია (სასაუბრო, სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, მხატვრული, პუბლიცისტური);

ზ.თ) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები: ტროპული მეტყველება (ეპითეტი, მეტაფორა, ირონია, გაპიროვნება...), სტილისტური ფიგურები (განმეორება, პარალელიზმი...), ფრაზეოლოგიზმი, მყარი შესიტყვება, დიალექტიზმი, ჟარგონი, ნეოლოგიზმი და სხვ.

თ) მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა:

თ.ა) მხატვრული ტექსტის ელემენტები: მხატვრული ტექსტის ბგერითი ორგანიზაცია: ალიტერაცია, ასონანსი, რითმა; რითმის სახეები, გართიმვის ხერხები; ბგერწერის ფუნქცია; მხატვრული ნაწარმოების ინტონაციური ანალიზი და გამომეტყველებითი კითხვა; გაპიროვნება, შედარება, მეტაფორა; აფორიზმი; სტილისტური ეფექტების შემქმნელი მხატვრული საშუალებანი (განმეორება, პარალელიზმი და სხვ.);

თ.ბ) მხატვრული ნაწარმოების სტილის განმსაზღვრელი ფონოლოგიური (ალიტერაცია, ასონანსი) და სემანტიკური (მეტაფორა, ეფემიზმი, მეტონიმია) ფიგურები, სინტაქსური ფიგურები.

ი) ქართული ლიტერატურის ძირითადი ეტაპები:

ი.ა) ძველი ქართული მწერლობა – სასულიერო მწერლობა (ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია), ისტორიოგრაფია, კლასიკური პერიოდის მწერლობა, აღორძინების პერიოდის მწერლობა;

ი.ბ) ახალი ქართული მწერლობა – XIX საუკუნის მწერლობა და ამ პერიოდის ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობანი: რეალიზმი, რომანტიზმი;

ი.გ) უახლესი ქართული მწერლობა – XX საუკუნის მწერლობა და ამ პერიოდის ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობანი: სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, ფუტურიზმი, პოსტმოდერნიზმი.

კ) რეკომენდებულ ქართველ მწერალთა ჩამონათვალი: *(ჩამონათვალი სარეკომენდაციო ხასიათისაა)*

კ.ა) იაკობ ხუცესი, იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე, დავით აღმაშენებელი, შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი, ბესიკ გაბაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი, ნიკო ლომოური, ვასილ ბარნოვი, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, ეგნატე ნინოშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, გერონტი ქიქოძე, დემნა შენგელაია, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ტერენტი გრანელი, ვალერიან გაფრინდაშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, შოთა ნიშნიანიძე, სიმონ ჩიქოვანი, ნიკო სამადაშვილი, ლადო ასათიანი, ლევან გოთუა, მირზა გელოვანი, გიორგი შატბერაშვილი, ოთარ ჩხეიძე, გურამ რჩეულიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, არჩილ სულაკაური, ანა კალანდაძე, გივი გეგეჭკორი, რეზო ინანიშვილი, რეზო ჭეიშვილი, ნაირა გელაშვილი, მურმან ლებანიძე, ნოდარ წულეისკირი, მუხრან მაჭავარიანი, ნოდარ დუმბაძე, მერაბ ელიოზიშვილი, ოთარ ჭილაძე, ჯემალ ქარჩხაძე, გურამ გეგეშიძე, ბესიკ ხარანაული, ლია სტურუა, გურამ ასათიანი, აკაკი ბაქრაძე, თამაზ ბიბილური, ვლადიმერ სიხარულიძე, გურამ დოჩანაშვილი, ოტია იოსელიანი, გოდერძი ჩოხელი, შოთა ჩანტლაძე, ჯემალ თოფურიძე, ნუგზარ შატაიძე, აკა მორჩილაძე და სხვა.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

### **მუხლი 32. სწავლების მეთოდები**

ა) სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

ა.ა) ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამაზე დაყრდნობით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო მიზნების, შესაბამისი ამოცანებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა;

ა.ბ) ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული ისეთი სასწავლო გეგმის შედგენა, სადაც მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა და რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნას, ინტერესებს, შესაძლებლობებს, შეხედულებებსა და გამოცდილებას;

ა.გ) ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების ეფექტური სტრატეგიების განსაზღვრა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეებში გააზრებული და საფუძვლიანი ცოდნის შექმნასა და უნარ-ჩვევების გამომუშავება-განვითარებაზე;

ა.დ) სასწავლო პროცესისათვის იმ ტიპის აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც მოსწავლეებს განუვითარებს წიგნიერების უნარს. - ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარს;

ა.ე) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით ისეთი საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა, აქტივობების დაგეგმვა და დავალებების შერჩევა/შედგენა, რომლებიც მოსწავლეებს განუვითარებს ტექსტის მრავალმხრივი გააზრება-გაანალიზებისა და შეფასების უნარ-ჩვევებს;

ა.ვ) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით ისეთი საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა, აქტივობების დაგეგმვა და დავალებების შერჩევა/შედგენა, რომლებიც მოსწავლეებს განუვითარებს ზეპირი და წერიტი მეტყველების უნარ-ჩვევებს;

ა.ზ) სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ისეთი აქტივობების შერჩევა ან შედგენა, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, პარალელი გაავლონ უცხოურ და მშობლიურ სოცოკულტურულ სამყაროებს შორის, ამოიცნონ და გააანალიზონ მსგავსება-განსხვავებანი, დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულებები, შეადარონ ერთმანეთს ქართული ლიტერატურისა და შესაბამისი პერიოდის მსოფლიო ლიტერატურის ცნობილი ნაწარმოებები;

ა.თ) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლების მიზნების განსაზღვრა და შესაბამისი აქტივობების შერჩევა (მაგ.: აღწერითი ტიპის მხატვრული ტექსტის ენობრივი მახასიათებლების [ზედსართავი სახელების, მიმღობების ჭარბი გამოყენება, განსაზღვრებითი და გარემოებითი წინადადებების სიმრავლე და სხვ.] ამოცნობა-გაანალიზება და მათი გამოყენება ამავე ტიპის ტექსტის შექმნისას);

ა.ი) ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა ქართულის, როგორც მეორე ენის, სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად;

ა.კ) სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან თანამშრომლობა და ერთობლივი სტრატეგიების შემუშავება – ინტეგრირებული საკვეთილებისა და სხვადასხვა არასაკვეთილო აქტივობების ერთობლივი დაგეგმვა;

ა.ლ) მიზნის შესაბამისი შეფასების ისეთი ტიპებისა და ფორმების შერჩევა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება არა მარტო გამოვლინდეს მოსწავლეთა შესაძლებლობანი და შეფასდეს მათი ცოდნა და უნარ-ჩვევები, არამედ ხელი შეეწყოს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;

ა.მ) სასწავლო მიზნებისა და შეფასების სტრატეგიების ურთიერთშეთანხმება: მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და ხერხების შერჩევა/შემუშავება, კომპლექსური დავალებების შესაფასებლად სათანადო კრიტერიუმების სქემების (რუბრიკების) შემუშავება და თითოეულის წონის განსაზღვრა დასახული პრიორიტეტული მიზნების გათვალისწინებით;

ბ) სასწავლო პროცესის წარმართვა:

ბ.ა) სწავლისა და სწავლების ეფექტური სტრატეგიების გამოყენება;

ბ.ბ) ისეთი აქტივობებისა და მეთოდების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივირებას ზეპირ თუ წერით აქტივობაში ჩასაბმელად, ტექსტის მოსასმენად/წასაკითხად;

მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინება, თვითგამოხატვისა და არჩევანის საშუალების მიცემა წინმსწრები სამოტივაციო აქტივობების შემუშავება: ვარაუდების გამოთქმა, შინაარსის/ინფორმაციის მოსწავლის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება, მოსწავლის ცოდნის გააქტიურება, დამხმარე ინსტრუქციების მიცემა, მოსმენილის/წაკითხულის ირგვლივ აზრის გამოთქმისა და დისკუსიის წახალისება და სხვა;

ბ.გ) ისეთი აქტივობებისა და მეთოდების გამოყენება, რომლებიც მოსწავლეებს განუვითარებს საკითხავი/წერითი ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარ-ჩვევებს: იმ ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც ზეგავლენას ახდენს კითხვისა და წერის უნარების განვითარებაზე (მოსწავლის ცოდნა და გამოცდილება, ენობრივი კომპეტენცია, შესაქმნელი ტექსტის ტიპის, მისი სტრუქტურისა და ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა, სტრატეგიების გამოყენების უნარი) და მათი გამოყენება მოსწავლეთა ეფექტური სტრატეგიებით უზრუნველყოფის მიზნით (მაგ.: გაცნობითი/მივითი/შესწავლითი კითხვის მიზნობრივად გამოყენება, ტექსტის სტრუქტურულ თავისებურებებსა თუ ჟანრობრივ მახასიათებლებზე დაკვირვება, მიზნისა და აუდიტორიის განსაზღვრა, იდეების გენერაცია-დახარისხება, დაგეგმვა, სამუშაო ვარიანტის გაუმჯობესება-გადამუშავება თვითშეფასების/ ურთიერთ-შეფასების გზით და სხვა);

ბ.დ) ისეთი აქტივობებისა და მეთოდების გამოყენება, რომლებიც მოსწავლეებს განუვითარებს სამეტყველო ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარ-ჩვევებს: იმ ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ზეპირი მეტყველების უნარის განვითარებაზე (მოსწავლის ცოდნა და გამოცდილება, ენობრივი კომპეტენცია, ფსიქოსოციალური ფაქტორები, სტრატეგიების გამოყენების უნარი) და მათი გამოყენება მოსწავლეთა ეფექტური სტრატეგიებით უზრუნველყოფის მიზნით (მაგ.: ინფორმაციის შეგროვება, მიზნისა და აუდიტორიის განსაზღვრა, იდეების გენერაცია-დახარისხება, დაგეგმვა, ჩანაწერების მომზადება, თვალსაჩინო მასალის მომზადება, რეპეტიციის გავლა, თანამეფასებაში მონაწილეობა და სხვა);

ბ.ე) ისეთი აქტივობებისა და მეთოდების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩაბმას საკლასო აქტივობებში: დიფერენცირებული დავალებების მიცემა მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, ამოცანების განსაზღვრა, კლასში პასუხების/მოსაზრებების შედარება-გაანალიზების ხელშეწყობა, საკამათო საკითხებზე დისკუსიის წახალისება და სხვა;

ბ.ვ) ისეთი სტრატეგიების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს შედეგების დამოუკიდებლად გაუმჯობესებაში: მოსწავლეთა ჩართვა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პროცესში; ხელშეწყობა, რომ მათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, აღმოფხვრან ხარვეზები, მოიძიონ პრობლემათა გადაჭრის გზები და სხვა;

ბ.ზ) ქართული გრამატიკის სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინება და ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც მოსწავლეებს გაუადვილებს მის ათვისებას;

ბ.თ) ზეპირ და წერით კომუნიკაციასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით ეტაპობრივი, თანამიმდევრული სვლის უზრუნველყოფა აღქმა-გაგებიდან (კითხვა/მოსმენა), შექმნა-შედგენისაკენ (ლაპარაკი და წერა): მოსალოდნელი შედეგიდან გამომდინარე, კონკრეტული ენობრივი და კომუნიკაციური უნარების განსაზღვრა (ამა თუ იმ გრამატიკული ფორმის, სინტაქსური ყალიბის, ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება, ლექსიკური ერთეულების ათვისება; წინადადებების/აზნაგების აზრობრივი გადაბმა, ტექსტის სტრუქტურა და სხვა);

ბ.ი) ისეთი მიდგომების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პიროვნულ, კულტურულ და ინტერკულტურულ განვითარებას;

ბ.კ) მოსწავლეთათვის ისეთი დავალებების/ამოცანების შეთავაზება, რომელთა გადაჭრაც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას;



ბ.ლ) პედაგოგიურ პრაქტიკაში ისეთი აქტივობებისა და მეთოდების გამოყენება, რომლებიც მოსწავლეებს ინტერდისციპლინური ანალოგიებისა და პარალელების ძიებისკენ უბიძგებს, რაც მოსწავლეთა მრავალმხრივ თვითგამოხატვას და პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს (თეატრალური წარმოდგენების, ინსტალაციის დადგმა, ვიდეორგოლების, ფოტოესეების, ანიმაციის შექმნა და მათი მუსიკალური გაფორმება, გამოყენებითი ხელოვნების ელემენტების მეშვეობით ლიტერატურული ანტურაჟის და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის გაცოცხლება და სხვ.);

გ) შეფასება:

გ.ა) ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და სქემების შედგენა და გამოყენება;

გ.ბ) მოსწავლეთა პროგრესისა და მიღწევების მონიტორინგის წარმართვა;

გ.გ) მოსწავლეთა საჭიროებების, პროგრესისა და მიღწევების აღნუსხვა, ანალიზი და ანგარიშის სახით წარმოდგენა;

გ.დ) მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად შეფასების მონაცემების გამოყენება;

გ.ე) საკუთარი და კოლეგების პედაგოგიური საქმიანობის შეფასება.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

#### თავი XIV

##### საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მათემატიკის საგნის პროფესიული სტანდარტი

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

##### მუხლი 33. საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები

ა) მიმართულება: რიცხვები და მოქმედებები

ა.ა) რიცხვების ადეკვატურად გამოყენება სხვადასხვა ასპექტში. რიცხვით სისტემებს შორის კავშირების გამოსახვა სხვადასხვა ხერხით, პოზიციური სისტემების გამოყენება, რიცხვების კლასიფიკაცია;

ა.ბ) ნამდვილ და კომპლექსურ რიცხვებზე მოქმედებების შესრულება. რიცხვებზე მოქმედებების თვისებების გამოყენება, მათ შორის, კავშირების დასაბუთება და მათი გამოყენება;

ა.გ) რაოდენობების შეფასებისა და შედარების სხვადასხვა ხერხის გამოყენება. რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის შეფასება სხვადასხვა ხერხით;

ა.დ) ზომის სხვადასხვა ერთეულის ერთმანეთთან დაკავშირება და მათი გამოყენება (მათ შორის რეალურ ვითარებაში);

ა.ე) რიცხვების თვისებების, რიცხვის გამოსახვის პოზიციური სისტემების და რიცხვებთან დაკავშირებული ზოგიერთი ალგორითმის გამოყენება საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისას.

ბ) მიმართულება: კანონზომიერებები და ალგებრა

ბ.ა) რიცხვითი მიმდევრობების, მწკრივებისა და ფუნქციათა თვისებების გამოყენება პრაქტიკული საქმიანობიდან ან მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან გამომდინარე პრობლემების გადაჭრისას;

ბ.ბ) განტოლებათა და უტოლობათა სისტემების ამოხსნა და მათი გამოყენება პრობლემების გადაჭრისას;

ბ.გ) დისკრეტული მათემატიკის მეთოდების გამოყენება პრობლემების გადაჭრისას.

გ) მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა

გ.ა) ვექტორებზე მოქმედებების შესრულება და ვექტორების გამოყენება გეომეტრიული და საბუნებისმეტყველო პრობლემების გადაჭრისას;

გ.ბ) გეომეტრიული ფიგურების (მათ შორის, ბრუნვით მიღებული სხეულების) ამოცნობა, მათი სახეობების შედარება და კლასიფიცირება. გეომეტრიულ ფიგურათა წარმოდგენისა და მათ შესახებ დებულებათა ფორმულირების ხერხების გამოყენება;

გ.გ) ფიგურებისა და მათი ელემენტების ზომების დადგენა და შეფასება სხვადასხვა ხერხით და მათი გამოყენება პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად;

გ.დ) ზოგიერთი არაეკვიდური გეომეტრიის თვისებების ჩამოყალიბება და მათსა და ეკვიდურ გეომეტრიას შორის განსხვავების აღწერა. სფერული გეომეტრიის თვისებების გამოყენება ობიექტთა ზომების და მათ შორის მანძილების დასადგენად;

გ.ე) გეომეტრიული გარდაქმნების თვისებების ჩამოყალიბება და მათი გამოყენება გეომეტრიული და პრაქტიკული პრობლემების გადაჭრისას;

გ.ვ) სიმრავლის („წერტილთა გეომეტრიული ადგილის“) ცნების გამოყენება გეომეტრიული ობიექტების გამოსახვისას და მათი თვისებების აღსაწერად;

გ.ზ) სივრცით ფიგურასა და მის კვეთებს/გეგმილებს შორის კავშირების დადგენა. სივრცითი ფიგურის კვეთებისა და გეგმილების გამოყენება ამ ფიგურის შესასწავლად;

გ.თ) დედუქციური/ინდუქციური მსჯელობის გამოყენება გეომეტრიულ დებულებათა დასამტკიცებლად.

დ) მიმართულება: მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა

დ.ა) მონაცემთა მოწესრიგებისა და წარმოდგენის ხერხების ადეკვატურად გამოყენება დასმული ამოცანის ამოსახსნელად. მონაცემთა წარმოდგენის ხერხების ინტერპრეტირება;

მონაცემთა მოპოვების ხერხების ადეკვატურად შერჩევა და მათი გამოყენება დასმული ამოცანის გადასაჭრელად;

დ.ბ) მონაცემთა ანალიზი რიცხვითი და გრაფიკული მეთოდების გამოყენებით, შედეგების ინტერპრეტირება და დასკვნების ჩამოყალიბება;

დ.გ) ალბათური მოდელებისა და ალბათობის თვისებების აღწერა, მათი გამოყენება შემთხვევითი მოვლენების აღწერისას.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

### **მუხლი 34. საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა**

#### **1. ალგებრა და ანალიზის საწყისები**

ა) სიმრავლე, მოქმედებები სიმრავლეებზე

ა.ა) ქვესიმრავლე, ორი სიმრავლის ტოლობა, ცარიელი სიმრავლე;

ა.ბ) მოქმედებები სიმრავლეებზე: გაერთიანება, თანაკვეთა, სხვაობა, სიმრავლის დამატება.

ბ) მიმართებები

ბ.ა) სიმრავლეთა დეკარტული ნამრავლი. ბინარული მიმართება. მიმართებათა სახეები: ეკვივალენტობა, დალაგება, ასახვა;

ბ.ბ) დალაგებები რიცხვებში და სიბრტყეზე: ნორმით დალაგება, დალაგებული სიმრავლეების დეკარტული ნამრავლის დალაგება, ლექსიკოგრაფიული დალაგება.

გ) ლოგიკა

გ.ა) ლოგიკური ოპერაციები გამონათქვამებზე: უარყოფა, კონიუნქცია, დიზიუნქცია, იმპლიკაცია. მათი ჭეშმარიტული მნიშვნელობების ცხრილი. გამონათქვამთა ტოლფასობის შემოწმება ჭეშმარიტულ მნიშვნელობათა ცხრილის საშუალებით;

გ.ბ) ზოგადმართებული გამონათქვამები, ლოგიკური გამომდინარეობა; დამტკიცების ცნება; გამონათქვამთა თავსებადი და არათავსებადი ერთობლიობები; გამონათქვამის კონვერსიული (მოპირდაპირე), ინვერსიული (შებრუნებული) და კონტრაპოზიციური გამონათქვამები;

გ.გ) კონტრაპოზიციის კანონი, მათემატიკური დებულებების დასაბუთების მეთოდები: დედუქცია, საწინააღმდეგოს დაშვება;

გ.დ) კონტრმაგალითის აგება და მათემატიკური ინდუქცია. უნივერსალობის და არსებობის კვანტორები.

დ) ასახვები

დ.ა) ასახვის განსაზღვრის არე. ასახვის მნიშვნელობათა სიმრავლე. ასახვის შეზღუდვა განსაზღვრის არის ქვესიმრავლეზე. ასახვის გრაფიკი, სიმრავლის ანასახი და წინასახე;

დ.ბ) ასახვათა კომპოზიცია. ასახვათა ტიპები: ინექცია, სურექცია, ბიექცია, ასახვის შექცევადობა.

დ.გ) სიმრავლეთა ეკვივალენტობა, სიმრავლის თვლადობა.

ე) მთელი რიცხვები

ე.ა) არითმეტიკული მოქმედებები მთელ რიცხვებზე.

ე.ბ) გამყოფი და ჯერადი, მარტივი და შედგენილი რიცხვები, მარტივ რიცხვთა სიმრავლის უსასრულობა;

ე.გ) ნატურალური რიცხვის დაშლა მარტივ მამრავლებად. დაშლის ერთადერთობა (არითმეტიკის ძირითადი თეორემა);

ე.დ) რამდენიმე მთელი რიცხვის უდიდესი საერთო გამყოფისა და უმცირესი საერთო ჯერადის მოძებნა. ევკლიდეს ალგორითმი;

ე.ე) გაყოფადობის ნიშნები და მათი კავშირი პოზიციურ სისტემასთან. ნაშთი, ნაშთთა არითმეტიკა (ჯამი და ნამრავლი).

ვ) რაციონალური რიცხვები

ვ.ა) რაციონალური რიცხვების წარმოდგენა წილადებისა და ათწილადების სახით;

ვ.ბ) რაციონალური რიცხვების შედარება და არითმეტიკული მოქმედებები რაციონალურ რიცხვებზე;

ვ.გ) რაციონალურ რიცხვთა სიმრავლის თვლადობა.

ზ) ირაციონალური რიცხვები. ნამდვილი რიცხვები.

ზ.ა) ნამდვილი რიცხვის წარმოდგენა უსასრულო ათწილადის სახით;

ზ.ბ) ნამდვილი რიცხვების შედარება და არითმეტიკული მოქმედებები ნამდვილ რიცხვებზე.

ირაციონალური რიცხვის ცნება. ირაციონალური რიცხვების მაგალითები;

ზ.გ) არათანაზომადი მონაკვეთები. ირაციონალური რიცხვის ათობითი მიახლოება. ნამდვილ რიცხვთა სიმრავლის არათვლადობა.

თ) რიცხვითი გამოსახულებები და ცვლადის შემცველი გამოსახულებები

თ.ა) მოქმედებათა თანმიმდევრობა გამოსახულებებში, არითმეტიკულ მოქმედებათა თვისებები. გამოსახულების გარდაქმნა და მისი რიცხვითი მნიშვნელობის გამოთვლა. ტოლობები, იგივობები, განტოლებები, უტოლობები და მათი თვისებები.

თ.ბ) რიცხვის ჩაწერის პოზიციური სისტემები. რიცხვის გამოსახვა სხვადასხვა პოზიციურ სისტემაში. ერთ პოზიციურ სისტემაში გამოსახული რიცხვის გამოსახვა მეორე პოზიციურ სისტემაში.

ი) რიცხვითი ღერძი

ი.ა) ნამდვილი რიცხვის გამოსახვა რიცხვით ღერძზე. წერტილის კოორდინატი რიცხვით ღერძზე;

ი.ბ) რიცხვთა ღია და ჩაკეტილი შუალედები. რიცხვის მოდული, მოდულის ძირითადი თვისებები და გეომეტრიული აზრი.

კ) პროპორცია

კ.ა) პროპორციის თვისებები, პროპორციის უცნობი წევრის პოვნა, რიცხვის დაყოფა მოცემული შეფარდებით;

კ.ბ) სიდიდეებს შორის პირდაპირპროპორციული და უკუპროპორციული დამოკიდებულება

რამდენიმე რიცხვის საშუალო არითმეტიკული, საშუალო გეომეტრიული და საშუალო ჰარმონიული, ოქროს კვეთა.

ლ) პროცენტი

ლ.ა) რიცხვის პროცენტი და ნაწილი, რიცხვის პროცენტისა და ნაწილის პოვნა;

ლ.ბ) რიცხვის პოვნა მისი პროცენტით ან ნაწილით, რიცხვის ჩაწერა პროცენტის სახით.

მ) ხარისხი

მ.ა) ხარისხი, ხარისხი ნატურალური, მთელი და რაციონალური მაჩვენებლით, ნამრავლის, ფარდობისა და ხარისხის ახარისხება. ტოლფუძიანი ხარისხების ნამრავლი და შეფარდება;

მ.ბ)  $n$ -ური ხარისხის ფესვი, არითმეტიკული ფესვი, არითმეტიკული ფესვის თვისებები.

ნ) მრავალწევრები

ნ.ა) მრავალწევრების შეკრება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა;

ნ.ბ) ბეზუს თეორემა;

ნ.გ) ევკლიდეს ალგორითმი, მრავალწევრის დაშლა მამრავლებად;

ნ.დ) შემოკლებული გამრავლების ფორმულები. ნიუტონის ბინომი.

ო) ლოგარითმი

ო.ა) რიცხვის ლოგარითმი, ძირითადი ლოგარითმული იგივეობა. ლოგარითმის თვისებები. ნატურალური ლოგარითმი

პ) კოორდინატთა სისტემა

პ.ა) მართკუთხა კოორდინატთა სისტემა სიბრტყეზე და სივრცეში, წერტილის კოორდინატები. ნამდვილ რიცხვთა წყვილის (სამეულის) გამოსახვა საკოორდინატო სიბრტყეზე (სივრცეში).

ჟ) ფუნქცია. ფუნქციის გრაფიკი

ჟ.ა) ფუნქციის განსაზღვრის არე. ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე;

ჟ.ბ) ფუნქციის ზრდადობა, კლებადობა, ლუწობა, კენტობა, პერიოდულობა;

ჟ.გ) რთული ფუნქცია (ფუნქციათა კომპოზიცია), შექცეული ფუნქცია.

ჟ.დ) ფუნქციის გრაფიკის ცნება, გრაფიკის ზოგიერთი ტრანსფორმაცია ( $y = f(x) + a$ ,  $y = f(x + a)$ ,  $y = -f(x)$ ,  $y = f(-x)$ ,  $y = |f(x)|$ ,  $y = f(|x|)$ ).

ჟ.ე) კავშირი ფუნქციის თვისებებსა და მისი გრაფიკის თვისებებს შორის. ფუნქციის მოცემა ცხრილის, ფორმულისა და გრაფიკის საშუალებით.

ჟ.ვ) ელემენტარული ფუნქციები: მრავალწევრები, წილადწრფივი და რაციონალური, ხარისხოვანი, მაჩვენებლიანი, ლოგარითმული.

რ) ტრიგონომეტრიული ფუნქციები

რ.ა) კუთხის ზომა, კუთხის გრადუსული და რადიანული ზომა. კავშირი კუთხის რადიანულ და გრადუსულ ზომებს შორის;

რ.ბ) ტრიგონომეტრიული ფუნქციები: სინუსი, კოსინუსი, ტანგენსი და კოტანგენსი, მათი გრაფიკები. შექცეული ტრიგონომეტრიული ფუნქციები;

რ.გ) ტრიგონომეტრიული ფუნქციების პერიოდულობა. უმცირესი პერიოდის მოძებნა. ტრიგონომეტრიული ფუნქციების ლუწობა და კენტობა;

რ.დ) ძირითადი დამოკიდებულებები ერთი და იმავე არგუმენტის ტრიგონომეტრიულ ფუნქციებს შორის;

რ.ე) დაყვანის ფორმულები. ალგებრული მოქმედებები ტრიგონომეტრიულ ფუნქციებზე.

ს) მატრიცები

ს.ა) მატრიცათა შეკრება და გამრავლება, ტრანსპოზიცია;

ს.ბ) დეტერმინანტი, მინორები და ალგებრული დამატებები, დეტერმინანტის თვისებები, დეტერმინანტის გამოთვლის ხერხები (ლაპლასის გაშლა);

ს.გ) მატრიცის შებრუნებადობა. შებრუნებული მატრიცის მოძებნა.

ტ) განტოლება, უტოლობები, განტოლებათა და უტოლობათა სისტემები.

ტ.ა) განტოლების ამონახსნი, ტოლფასი განტოლებები და განტოლებათა სისტემები.

ტ.ბ) წრფივი, კვადრატული, რაციონალური, მაჩვენებლიანი, ლოგარითმული, ირაციონალური, ტრიგონომეტრიული, მოდულის შემცველი განტოლებები და უტოლობები;

ტ.გ) წრფივ განტოლებათა სისტემის ამოხსნის ხერხები (უცნობის გამორიცხვის ხერხი, ალგებრული შეკრება, კრამერის თეორემა);

ტ.დ) ორი ცვლადის შემცველ წრფივ და კვადრატულ განტოლებათა სისტემები. ტოლფასი განტოლებები და განტოლებათა სისტემები;

ტ.ე) პარამეტრის შემცველი განტოლებები და განტოლებათა სისტემები;

ტ.ვ) წრფივ ორუცნობიან უტოლობათა სისტემა, მის ამონახსნთა სიმრავლის გამოსახვა საკოორდინატო სიბრტყეზე;

ტ.ზ) წრფივი დაპროგრამების ამოცანა (გეომეტრიული ამოხსნა);

ტ.თ) ამოცანების ამოხსნა განტოლებისა და განტოლებათა სისტემის გამოყენებით.

უ) რიცხვითი მიმდევრობები

უ.ა) რიცხვითი მიმდევრობა, როგორც ნატურალური არგუმენტის ფუნქცია. მიმდევრობის სახეები: მონოტონური, ზრდადი, კლებადი, მუდმივი შემოსაზღვრული, შემოუსაზღვრელი, კრებადი, განშლადი;

უ.ბ) არითმეტიკული პროგრესია: არითმეტიკული პროგრესიის  $n$ -ური წევრისა და პირველი  $n$  წევრის ჯამის გამოსათვლელი ფორმულები;

უ.გ) გეომეტრიული პროგრესია: გეომეტრიული პროგრესიის  $n$ -ური წევრისა და პირველი  $n$  წევრის ჯამის გამოსათვლელი ფორმულები;

უ.დ) მიმდევრობის მოცემის რეკურენტული ხერხი. ფიბონაჩის მიმდევრობა;

უ.ე) მიმდევრობის ზღვარი, რიცხვითი მიმდევრობის კრებადობა. კრებად მიმდევრობათა არითმეტიკული თვისებები. უსასრულოდ მცირე და უსასრულოდ დიდი მიმდევრობები;

უ.ვ) თეორემა ზრდადი (კლებადი), ზემოდან (ქვემოდან) შემოსაზღვრული მიმდევრობის კრებადობის შესახებ. ნეპერის რიცხვი;

უ.ზ) უსასრულოდ კლებადი გეომეტრიული პროგრესიის კრებადობა და ჯამის გამოსათვლელი ფორმულა.

ფ) ფუნქციის ზღვარი. ფუნქციის უწყვეტობა.

ფ.ა) ფუნქციის ზღვარი წერტილში. წერტილში ფუნქციის ზღვრის არითმეტიკული თვისებები;

ფ.ბ) ფუნქციის უწყვეტობა წერტილში. უწყვეტი ფუნქციის ცნება. ძირითად ელემენტარულ ფუნქციათა უწყვეტობა;

ფ.გ) სეგმენტზე განსაზღვრულ უწყვეტ ფუნქციათა გლობალური თვისებები: ბოლცანო-კოშის თეორემა შუალედური მნიშვნელობის შესახებ;

ფ.დ) ვაიერშტრასის თეორემა მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობების მიღწევადობის შესახებ.

ქ) ფუნქციის წარმოებული.

ქ.ა) ფუნქციის წარმოებული წერტილში. მისი გეომეტრიული და ფიზიკური შინაარსი;

ქ.ბ) არითმეტიკული მოქმედებები ფუნქციებზე და წარმოებული. ფუნქციათა კომპოზიციის წარმოებული, შექცეული ფუნქციის წარმოებული;

ქ.გ) ელემენტარულ ფუნქციათა წარმოებულები;

ქ. დ) წარმოებადი ფუნქციის გრაფიკის წერტილში მხები წრფის განტოლება. ფერმას თეორემა.

ღ) ფუნქციის გამოკვლევა

ღ.ა) ფუნქციის მონოტონურობის შუალედების დადგენა;

ღ.ბ) ფუნქციის გამოკვლევა ლოკალურ ექსტრემუმზე. სეგმენტზე განსაზღვრული წარმოებადი ფუნქციის უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობის მოძებნა;

ღ.გ) ფუნქციის ასიმპტოტების მოძებნა;

ღ.დ) ფუნქციის გრაფიკის სქემატური გამოსახვა.

ყ) ინტეგრალი

ყ.ა) ფუნქციის პირველადი და განუსაზღვრელი ინტეგრალი. განუსაზღვრელი ინტეგრალები ძირითადი ელემენტარული ფუნქციებისათვის;

ყ.ბ) რიმანის განსაზღვრული ინტეგრალი. მისი გეომეტრიული შინაარსი. რიმანის განსაზღვრული ინტეგრალის ძირითადი თვისებები: წრფივობა, ადიციურობა, ნაწილობითი ინტეგრება, ცვლადის გარდაქმნა განსაზღვრულ ინტეგრალში. ნიუტონ-ლაიბნიცის ფორმულა;

ყ.გ) მრუდწირული ტრაპეციის ფართობის გამოთვლა განსაზღვრული ინტეგრალის გამოყენებით;

ყ.დ) წარმოებულისა და ინტეგრალის ფიზიკური შინაარსი (სიჩქარე, გავლილი მანძილი, სიმძლავრე, მუშაობა).

შ) კომპლექსური რიცხვები

შ.ა) კომპლექსური რიცხვების ჩაწერა ალგებრული და ტრიგონომეტრიული სახით;

შ.ბ) კომპლექსური რიცხვების გეომეტრიული ინტერპრეტაცია. კომპლექსური რიცხვის მოდული, არგუმენტი;

შ.გ) კომპლექსური რიცხვის შეუღლებული რიცხვი. არითმეტიკული მოქმედებები კომპლექსურ რიცხვებზე და მათი გეომეტრიული ინტერპრეტაცია;

შ.დ) კვადრატული სამწევრის კომპლექსური ფესვები;

შ.ე) ალგებრის ძირითადი თეორემა. ვიეტის თეორემა  $n$ -ური ხარისხის მრავალწევრებისათვის;

შ.ვ) კომპლექსური რიცხვის ნატურალური ხარისხი (მუავრის ფორმულა).  $n$ -ური ხარისხის ფესვი კომპლექსური რიცხვიდან.

ჩ) კომბინატორიკის ელემენტები.

ჩ.ა) გადანაცვლებათა, ჯუფთებათა და წყობათა რაოდენობების გამოსათვლელი ფორმულები;

ჩ.ბ) ბინომური კოეფიციენტების თვისებები, პასკალის სამკუთხედი და ნიუტონის ბინომი.

ც) გრაფები

ც.ა) ძირითადი ცნებები გრაფთა თეორიიდან: წვერო, წიბო, რკალი, მარყუჟი, მოსაზღვრე წვეროები და წიბოები, წიბოს და წვეროს ინციდენტურობა. მარშრუტი, ციკლი;

ც.ბ) ორიენტირებული და არაორიენტირებული გრაფები, ხე, წვეროს ინდექსი, მარშრუტის სიგრძე;

ც.გ) გრაფების მოცემის ხერხები: ინციდენტურობის და მოსაზღვრეობის ცხრილებით, სიით. გრაფების იზომორფულობა;

ც.დ) გრაფის ეილერის მახასიათებელი;

ც.ე) გრაფის უნიკურსალურობა, ბმული გრაფის უნიკურსალურობის აუცილებელი და საკმარისი ნიშანი;

ც.ვ) ეილერის ციკლები და გზები, მათი არსებობის კრიტერიუმები.

ც.ზ) კომივოიაჟერის ამოცანა (ამოცანის ფორმულირება და მარტივი კერძო შემთხვევების განხილვა).

გ ე ო მ ე ტ რ ი ა

ა) გეომეტრიის საწყისი ცნებები

ა.ა) საწყისი ცნებები, გეომეტრიის აქსიომატური ბუნება. აქსიომები და ძირითადი გეომეტრიული ობიექტები;

ა.ბ) წერტილი, წრფე, სხივი, მონაკვეთი, ტეხილი. მანძილი ორ წერტილს შორის. მონაკვეთის სიგრძე, ტეხილის სიგრძე. მანძილის თვისება (სამკუთხედის უტოლობა);

ა.გ) კუთხე, კუთხის გრადუსული ზომა, მართი, მახვილი, ბლაგვი და გაშლილი კუთხეები. კუთხის ბისექტრისა. მისი თვისება;

ა.დ) მონაკვეთის შუამართობი. მონაკვეთის შუამართობის თვისება;

ა.ე) მოსაზღვრე და ვერტიკალური კუთხეები. მოსაზღვრე კუთხეების ჯამი. ვერტიკალური კუთხეების ტოლობა;

ა.ვ) წრფეების ურთიერთგანლაგება. წრფეთა პარალელობა. ორი წრფის მესამე წრფით გადაკვეთისას მიღებული კუთხეები. ორი პარალელური წრფის მესამეთი გადაკვეთისას მიღებული კუთხეების თვისებები. წრფეთა პარალელობის ნიშნები;

ა.ზ) კუთხე ორ წრფეს შორის. წრფეთა მართობულობა. მართობი, დახრილი და გეგმილი. მანძილი წერტილიდან წრფემდე;

ბ) მრავალკუთხედი

ბ.ა) გვერდი, წვერო, კუთხე, დიაგონალი, პერიმეტრი;

ბ.ბ) ამოზნექილი ფიგურის განსაზღვრება. ამოზნექილი მრავალკუთხედის კუთხეების ჯამი.

გ) სამკუთხედი

გ.ა) სამკუთხედის გვერდი, კუთხე, წვერო, მედიანა, ბისექტრისა, სიმაღლე და მათი თვისებები;

გ.ბ) სამკუთხედის სახეები: მართკუთხა, მახვილკუთხა, ბლაგვკუთხა, ტოლფერდა, ტოლგვერდა და მათი თვისებები;

გ.გ) სამკუთხედის კუთხეების ჯამი. სამკუთხედის გარე კუთხის თვისება;

გ.დ) დამოკიდებულება სამკუთხედის გვერდებსა და კუთხეებს შორის;

გ.ე) სამკუთხედის შუახაზის თვისებები;

გ.ვ) სამკუთხედების ტოლობის ნიშნები;

გ.ზ) მსგავსი სამკუთხედები. სამკუთხედების მსგავსების ნიშნები. მსგავსი სამკუთხედების პერიმეტრებისა და ფართობების შეფარდება;

გ.თ) სინუსებისა და კოსინუსების თეორემები. სამკუთხედის ამოხსნა;

გ.ი) სამკუთხედზე შემოხაზული წრეწირი და სამკუთხედში ჩახაზული წრეწირი. მათი რადიუსების გამოსათვლელი ფორმულები.

დ) მართკუთხა სამკუთხედი.

დ.ა) მართკუთხა სამკუთხედების ტოლობის ნიშნები;

დ.ბ) პითაგორას თეორემა;

დ.გ) ტრიგონომეტრიული თანაფარდობები მართკუთხა სამკუთხედის კუთხეებსა და გვერდებს შორის;

დ.დ) თანაფარდობები ჰიპოტენუზაზე დაშვებულ სიმაღლეს, კათეტებს, ჰიპოტენუზაზე კათეტების გეგმილებსა და ჰიპოტენუზას შორის;

დ.ე) მართკუთხა სამკუთხედზე შემოხაზული წრეწირის თვისება.

ე) პროპორციები გეომეტრიაში

ე.ა) თალესის თეორემა;

ე.ბ) მონაკვეთის დაყოფა მოცემული პროპორციით;

ე.გ) ოქროს კვეთა, მონაკვეთების არითმეტიკული საშუალო, გეომეტრიული საშუალო და ჰარმონიული საშუალო.

ვ) პარალელოგრამი.

ვ.ა) პარალელოგრამის გვერდების, კუთხეებისა და დიაგონალების თვისებები;

ვ.ბ) პარალელოგრამობის ნიშნები;

ვ.გ) რომბის დიაგონალების თვისებები, მართკუთხედის დიაგონალების თვისებები. რომბისა და მართკუთხედის სიმეტრიის ღერძები, კვადრატის და მისი თვისებები.

ზ) ტრაპეცია

ზ.ა) ტრაპეციის ელემენტები. ტრაპეციის შუახაზის თვისება. ტოლფერდა ტრაპეციის თვისებები.

თ) წრეწირი და წრე

თ.ა) ცენტრი, რადიუსი, დიამეტრი, ქორდა, რკალი, სექტორი, სეგმენტი, მხები;

თ.ბ) რიცხვი  $\pi$ . რკალის გრადუსული და რადიანული ზომა;

თ.გ) წრეწირისა და წრეწირის რკალის სიგრძის გამოსათვლელი ფორმულები;

თ.დ) ცენტრული და ჩახაზული კუთხეები და მათი თვისებები. კუთხე ორ ქორდას, ერთი წერტილიდან გამოსულ ორ მხებს, მხებსა და მკვეთს, ორ მკვეთს შორის;

თ.ე) წრეწირის მხების თვისება. ქორდის მართობული დიამეტრის თვისება. ურთიერთგადამკვეთი ქორდების თვისებები;

თ.ვ) თეორემები წრეწირისადმი ერთი წერტილიდან გავლებული ორი მხების, მხებისა და მკვეთის, ორი მკვეთის შესახებ.

ი) წესიერი მრავალკუთხედები.

ი.ა) წესიერ მრავალკუთხედებში ჩახაზული და მათზე შემოხაზული წრეწირები;

ი.ბ) დამოკიდებულება წესიერი მრავალკუთხედის გვერდსა და ჩახაზული და მასზე შემოხაზული წრეწირების რადიუსებს შორის;

ი.გ) წესიერ მრავალკუთხედთა სიმეტრიები.

კ) ბრტყელი ფიგურის ფართობი.

კ.ა) ბრტყელი ფიგურის ფართობი და მისი თვისებები;

კ.ბ) კვადრატის, მართკუთხედის, სამკუთხედის, პარალელოგრამის, რომბის, ტრაპეციის და წესიერი მრავალკუთხედის ფართობთა გამოსათვლელი ფორმულები;

კ.გ) წრიული სექტორისა და წრის ფართობის გამოსათვლელი ფორმულები.

ლ) ძირითადი გეომეტრიული აგებები ფარგლითა და სახაზავით.

ლ.ა) სამკუთხედის აგება მისი ელემენტების მიხედვით;

ლ.ბ) მოცემული კუთხის ტოლი კუთხის აგება. კუთხის ბისექტრისის აგება;

ლ.გ) მონაკვეთის შუამართობის აგება. მოცემულ წერტილზე მოცემული წრფის მართობული წრფის გავლება;

ლ.დ) მოცემულ წერტილზე მოცემული წრფის პარალელური წრფის გავლება;

ლ.ე) მონაკვეთის გაყოფა მოცემული შეფარდებით;

მ) გეომეტრიული გარდაქმნები.

მ.ა) ღერძული და ცენტრული სიმეტრიები, მობრუნება, პარალელური გადატანა. ჰომოთეტია. მათი გამოსახვა კოორდინატებში;

მ.ბ) მსგავსების გარდაქმნა. გეომეტრიული გარდაქმნების კომპოზიციები;

ნ) წერტილი, წრფე და სიბრტყე სივრცეში.

ნ.ა) გადამკვეთი, პარალელური და აცდენილი წრფეები;

ნ.ბ) წრფეთა პარალელურობის ნიშანი;

ნ.გ) კუთხე აცდენილ წრფეებს შორის. მანძილი აცდენილ წრფეებს შორის;

ნ.დ) წრფისა და სიბრტყის მართობულობის ნიშანი. წრფისა და სიბრტყის პარალელურობის ნიშანი;

ნ.ე) კუთხე წრფესა და სიბრტყეს შორის;

ნ.ვ) ორწახნაგა კუთხე. ორწახნაგა კუთხის ზომა. კუთხე სიბრტყეებს შორის;

ნ.ზ) სიბრტყეთა პარალელურობის ნიშანი. ორი სიბრტყის მართობულობის ნიშანი;

ნ.თ) მართობი და დახრილი. მანძილი წერტილიდან სიბრტყემდე. სამი მართობის თეორემა;



ნ.ი) პარალელური დაგეგმილება სიბრტყეზე. კავშირი ბრტყელი ფიგურის ფართობსა და ამ ფიგურის სიბრტყეზე გეგმილის ფართობს შორის;

ნ.კ) მრავალწახნაგა. წვერო, წიბო, წახნაგი. კავშირი მათ რაოდენობებს შორის (ეილერის თეორემა);

ნ.ლ) წესიერი მრავალწახნაგები (პლატონისეული სხეულები);

ო) პრიზმა

ო.ა) პრიზმის ფუძე, გვერდითი წახნაგი, გვერდითი წიბო, სიმაღლე, დიაგონალი;

ო.ბ) პრიზმის კერძო სახეები (მართი პრიზმა, წესიერი პრიზმა, მართი პარალელეპიპედი, მართკუთხა პარალელეპიპედი, კუბი).

პ) პირამიდა

პ.ა) პირამიდის წვერო, გვერდითი წიბო, ფუძე, გვერდითი წახნაგი, სიმაღლე;

პ.ბ) წესიერი პირამიდა. აპოთემა. წაკვეთილი პირამიდა.

ჟ) ბრუნვითი სხეულები

ჟ.ა) ცილინდრი. მისი ელემენტები. ცილინდრის ღერძული კვეთა;

ჟ.ბ) კონუსი, მისი ელემენტები. წაკვეთილი კონუსი;

ჟ.გ) ბირთვი, სფერო. მათი ელემენტები. ბირთვის კვეთა სიბრტყით. სფეროს მხები სიბრტყე;

ჟ.დ) წრფის გარშემო მრავალკუთხედის ბრუნვის შედეგად მიღებული ფიგურები.

რ) სხეულის მოცულობა და ზედაპირის ფართობი.

რ.ა) სივრცითი სხეულის მოცულობა და მისი თვისებები;

რ.ბ) კუბის, პარალელეპიპედის, პრიზმის გვერდითი და სრული ზედაპირის ფართობებისა და მოცულობების გამოთვლა;

რ.გ) პირამიდის, ცილინდრის, კონუსის, წაკვეთილი პირამიდის და წაკვეთილი კონუსის გვერდითი და სრული ზედაპირის ფართობთა და მოცულობათა გამოთვლა;

რ.დ) ბირთვის მოცულობის და ზედაპირის ფართობის გამოსათვლელი ფორმულები.

ს) შლილები და კვეთები

ს.ა) კუბის, მართკუთხა პარალელეპიპედის, მართი პრიზმის, პირამიდის, ცილინდრის და კონუსის შლილები და კვეთები;

ს.ბ) კუბის, მართკუთხა პარალელეპიპედის, მართი პრიზმის, პირამიდის, ცილინდრის და კონუსის აღდგენა მათი შლილების საშუალებით;

ს.გ) კუბის, მართკუთხა პარალელეპიპედის, მართი პრიზმის, პირამიდის, ცილინდრის და კონუსის კვეთების აგება.

ტ) გეომეტრიული გარდაქმნები სივრცეში

ტ.ა) ღერძული და ცენტრული სიმეტრიები. სიმეტრია სიბრტყის მიმართ. პარალელური გადატანა. მობრუნება წრფის მიმართ. ჰომოთეტია. მსგავსების გარდაქმნა;

ტ.ბ) გეომეტრიული გარდაქმნების (ღერძული და ცენტრული სიმეტრია, სიმეტრია სიბრტყის მიმართ, პარალელური გადატანა, ჰომოთეტია) გამოსახვა კოორდინატებში;

ტ.გ) კუბის, პარალელეპიპედის, წესიერი პრიზმის, წესიერი პირამიდის, კონუსის, სფეროს და ბირთვის სიმეტრიები.

უ) ვექტორები

უ.ა) ვექტორები და მოქმედებები ვექტორებზე: შეკრება, სკალარზე გამრავლება. ვექტორთა სკალარული და ვექტორული გამრავლება, მათი ძირითადი თვისებები;

უ.ბ) კოლინეარული და კომპლანარული ვექტორები;

უ.გ) ვექტორებისა და ვექტორებზე მოქმედებების გამოსახვა კოორდინატებში. ვექტორის გამლა საკოორდინატო ორტების მიმართ.

ფ) ანალიზური გეომეტრიის ელემენტები სიბრტყეზე

ფ.ა) ორ წერტილს შორის მანძილის გამოსახვა დეკარტულ კოორდინატებში. მონაკვეთის გაყოფა მოცემული პროპორციით;

ფ.ბ) წრფის განტოლება ზოგადი სახით. ორ წერტილზე გამავალი წრფის განტოლება.

ფ.გ) საკუთხო კოეფიციენტი (დახრილობა). კუთხე ორ წრფეს შორის. წრფეთა პარალელურობის და მართობულობის პირობები;

ფ.დ) მანძილი წერტილიდან წრფემდე;

ფ.ე) კონუსური კვეთები: ელიფსი, ჰიპერბოლა და პარაბოლა. მათი კანონიკური განტოლებები. ფოკუსები, ნახევარღერძები, ექსცენტრისიტეტი, დირექტრისა.

ქ) ანალიზური გეომეტრიის ელემენტები სივრცეში

ქ.ა) ორ წერტილს შორის მანძილის გამოსახვა დეკარტულ კოორდინატებში. მონაკვეთის გაყოფა მოცემული პროპორციით;

ქ.ბ) წრფის განტოლება სივრცეში. ორ წერტილზე გამავალი წრფის განტოლება;

ქ.გ) სიბრტყის ზოგადი სახის განტოლება სივრცეში;

ქ.დ) კუთხე ორ სიბრტყეს შორის. ორი სიბრტყის პარალელურობის და მართობულობის პირობები;

ქ.ე) წრფისა და სიბრტყის პარალელურობისა და მართობულობის პირობები;

ქ.ვ) მანძილი წერტილიდან სიბრტყემდე;

ქ.ზ) სფეროს განტოლება.

ღ) ელემენტარული წარმოდგენები არაევკლიდური გეომეტრიების შესახებ

ღ.ა) ელიფსური გეომეტრიის რიმან-კლაინის მოდელი (გეომეტრია სფეროზე);

ღ.ბ) ჰიპერბოლური (ლობაჩევსკის) გეომეტრიის პუნკარეს მოდელი (ფსევდო სფეროზე და წრეზე), პარაბოლური (ევკლიდური), ელიფსური (გეომეტრია სფეროზე) და ჰიპერბოლური (გეომეტრია წრეზე);

ღ.გ) გეომეტრიების ზოგიერთი განმასხვავებელი ელემენტარული ნიშანი (სამკუთხედის შიგა კუთხეების ჯამი, მოცემული წრფის გარეთ მდებარე წერტილზე მოცემული წრფის პარალელური წრფის გავლების შესაძლებლობა, მართკუთხედის ცნების არსებობა, საკერის ოთხკუთხედის ზედა კუთხეების კლასიფიკაცია).

ყ) ზომის ერთეულები.

ყ.ა) სიგრძის, ფართობის, მოცულობის, მასის, დროის და სიჩქარის ერთეულები.

შ) მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა

შ.ა) მონაცემთა წარმოდგენა;

შ.ბ) სია, ცხრილი, პიქტოგრამა;

შ.გ) დიაგრამა: წერტილოვანი, ხაზოვანი, სვეტოვანი, წრიული, ფოთლებიანი ღეროების მსგავსი დიაგრამა, ჰისტოგრამა, პოლიგონი, ოგივა, დაგროვილ ფარდობით სიხშირეთა დიაგრამა.

ჩ) მონაცემთა მახასიათებლები.

ჩ.ა) ცენტრალური ტენდენციის საზომები (საშუალო, მედიანა, მოდა). მონაცემთა გაფანტულობის საზომები (გაბნევის დიაპაზონი, საშუალო კვადრატული გადახრა);

ჩ.ბ) სიხშირეთა განაწილება; დაგროვილი სიხშირე; დაგროვილი ფარდობითი სიხშირე; მონაცემთა პოზიციის მახასიათებელი – რანგი;

ჩ.გ) დაწყვილებული მონაცემები, გაფანტულობის დიაგრამა, კორელაცია, უმცირეს კვადრატთა მეთოდი.

ძ) ალბათობა

ძ.ა) ელემენტარული ხდომილობათა სივრცე; ხდომილობა; ოპერაციები ხდომილო ბეზზე.

ძ.ბ) არათავსებადი ხდომილობები, ალბათობის კლასიკური განსაზღვრება. ალბათობის გამოთვლა კომბინატორიკის გამოყენებით.

მ.გ) ხდომილობათა ჯამის ალბათობის გამოთვლა. პირობითი ალბათობა. ორი ხდომილობის ნამრავლის ალბათობა. დამოუკიდებელი ხდომილობები.

მ.დ) სრული ალბათობის ფორმულა, ბაიესის ფორმულა.

მ.ე) დისკრეტული შემთხვევითი სიდიდე და მისი განაწილების ფუნქცია.

მ.ვ) დისკრეტული შემთხვევითი სიდიდის რიცხვითი მახასიათებლები: მათემატიკური ლოდინი, დისპერსია.

მ.ზ) განმეორებითი ცდები. ბინომური განაწილება. გეომეტრიული ალბათობა..

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

### **მუხლი 35. სწავლების მეთოდები**

ა) სასწავლო პროცესის დაგეგმვა

ა.ა) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით სასწავლო მასალის შერჩევა და საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა გამოთვლების, მოდელირების, მსჯელობა-დასაბუთების, კომუნიკაციისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების განსავითარებლად; დასახული მიზნების შესაბამისი, სხვადასხვა ტიპისა და სირთულის დავალებების შერჩევა ან შედგენა.

ა.ბ) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით მოკლევადიანი საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა გამოთვლების, მოდელირების, მსჯელობა-დასაბუთების, კომუნიკაციისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების განსავითარებლად; დასახული მიზნების შესაბამისი, გასხვავებული სირთულის სავარჯიშოების შერჩევა ან შედგენა;

ა.გ) გრძელვადიანი სასწავლო პროცესის დაგეგმვა გამოთვლების, მოდელირების, მსჯელობა - დასაბუთებისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განსავითარებლად;

ა.დ) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა, ამ მიზნების შესაბამისი დავალებების შერჩევა თუ შედგენა. მოსალოდნელი პროდუქტის (მაგალითად: მათემატიკური მოდელის, გამოთვლების შედეგის, თეორემის დამტკიცების, საპრეზენტაციო მასალის) შინაარსისა და მიზნების რუკის შედგენა, რომელშიც აისახება პრობლემის განსაზღვრა, მისი ჩამოყალიბება მათემატიკურ ენაზე. შესაბამისი მოდელის შედგენა, საჭირო მონაცემების განსაზღვრა და მოპოვება, მოდელის გამოყენებით პრობლემის გადაჭრა, მოდელის შეფასება და მისი კორექცია შეფასების შედეგების გათვალისწინებით. ამ რუკაზე დაფუძნებით შუალედური და მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა და მათი შესაბამისი განსხვავებული ტიპისა და სირთულის სავარჯიშოების შერჩევა ან შედგენა, რომლებიც მოსწავლეებს ეტაპობრივად მოამზადებს დასახული მიზნის განსახორციელებლად;

ა.ე) სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი ჯგუფური სამუშაოს დაგეგმვა (მაგ.: პროექტი, აქტივობა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ინტერდისციპლინური აქტივობები/პროექტები): მიზნების განსაზღვრა, სხვა დისციპლინებთან დაკავშირება/ინტეგრირება, მიზნების შესაბამისი დავალების შერჩევა, მონაწილეთა რაოდენობისა და მათი ფუნქციების განსაზღვრა, განხორციელების ეტაპების, გზებისა და საშუალებების დადგენა;

ა.ვ) მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად ისეთი დავალებების განსაზღვრა, შექმნა და გამოყენება, რომლებიც შეესაბამება სასწავლო მასალას, მოსწავლის მოთხოვნილებას, ავითარებს მოსწავლის ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარს;

ა.ზ) ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც წარმოაჩენს ტექნოლოგიების (კალკულატორი, ელექტრონული ცხრილები, მათემატიკური კომპიუტერული პროგრამები, გრაფიკული პროგრამები) გამოყენების დადებით მხარეებს და მათ როლს პრობლემების გადაჭრაში;

ა.თ) ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც წარმოაჩენს მათემატიკის როლს წარმატებული სამსახურებრივი კარიერის წარმართვაში;

ა.ი) მაგალითების შერჩევა მათემატიკური ცოდნისა და უნარების გამოსაყენებლად (მათ შორის რეალურ ვითარებასთან დაკავშირებული მაგალითები).

ბ) სასწავლო პროცესის წარმართვა

ბ.ა) ახალი ცნებების, ობიექტებისა და პროცედურების შემოტანისას მოსწავლის არსებული ცოდნის განსაზღვრა. სწავლების პროცესის თანმიმდევრულად ისე წარმართვა, რომ მოსწავლე ეფექტურად ახერხებდეს უკვე არსებული ცოდნის გამოყენებას კომპლექსურ ვითარებაში;

ბ.ბ) სხვადასხვა სახის აქტივობისა და სწავლების ფორმის გამოყენება მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით;

ბ.გ) კავშირის დამყარება მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებას, აგრეთვე, მათემატიკასა და სხვა დისციპლინებს შორის;

ბ.დ) სასწავლო მასალის გადაცემისას შესაფერისი სტრატეგიისა და ტექნიკის (მაგ.: კანონზომიერების ამოცნობა, ვიზუალური წარმოდგენა, ფორმულა) გამოყენება;

ბ.ე) შეკითხვების დასმის სტრატეგიის გამოყენება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს არგუმენტების წარმოდგენასა და დებულების დასაბუთებაში. სასწავლო პროცესში დამხმარე მასალის (მაგ.: თვალსაჩინოებების, ტექნოლოგიების) შერჩევა და ეფექტურად გამოყენება, მოსწავლის მიერ დამხმარე მასალის გამოყენებისათვის ხელშეწყობა;

ბ.ვ) საზოგადოების განვითარებაში მათემატიკის როლის წარმოჩენისას სხვადასხვა რესურსის შერჩევა;

ბ.ზ) სასწავლო მასალაში მოცემული მათემატიკური კონცეფციებისა და იდეების ევოლუციური და ისტორიული განვითარების გაცნობა მოსწავლეთათვის.

გ) შეფასება

გ.ა) განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით: მოსწავლის კომპეტენციის შემოწმება ცოდნის ათვისების სამივე დონეზე (I. პროცედურის წვდომა; II. პროცედურაში გავარჯიშება; III. პროცედურის დაუფლება), კონკრეტული პრობლემებისა და მათი წარმომშობი მიზეზების გამოვლენა და სათანადო აქტივობების დაგეგმვა ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად. განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება ცოდნის ათვისების მესამე ფაზაში;

გ.ბ) სასწავლო მიზნებისა და შეფასების სტრატეგიების ურთიერთშეთანხმება: მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების და ხერხების შერჩევა/შემუშავება, კომპლექსური დავალებების შესაფასებლად სათანადო კრიტერიუმების სქემების (რუბრიკების) შემუშავება და თითოეულის წონის განსაზღვრა დასახული პრიორიტეტული მიზნების გათვალისწინებით;

გ.გ) შეფასების წარმოება მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად: სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი კრიტერიუმების შერჩევა-შემუშავება (შემოქმედებითობა, თანამშრომლობის უნარი, ორგანიზებულობა და სხვა); გ.დ) მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომებსა და მასალის არასწორ/არასრულყოფილ გააზრებაში კანონზომიერებების აღმოჩენა. კორექციის შესატანად შესაფერისი პროცედურების გამოყენება და სასწავლო პროცესის ადეკვატური მოდიფიკაცია;

გ.ე) მოსწავლის ფაქტობრივი ცოდნისა და მაღალი დონის სააზროვნო კომპეტენციების შესაფასებლად ადეკვატური ხერხების შექმნა და გამოყენება;

გ.ვ) საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის შეფასება; შეფასებისა და თვითშეფასების მონაცემების გამოყენება მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ბ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

## თავი XV

**საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი**

**მუხლი 36. საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები**

- ა) მოვლენის არსის განსაზღვრა და მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების წარმოჩენა.
- ბ) კვლევის საგნის განსაზღვრა და მისი შესწავლის ეტაპების გამოყოფა.
- გ) ობიექტის ან მოვლენის შესასწავლად მონაცემების სხვადასხვა წყაროდან/საშუალებით (მაგ. ექსპერიმენტი, უშუალო დაკვირვების ან საინფორმაციო წყაროებიდან) მოპოვება.
- დ) მონაცემების კლასიფიცირება (დახარისხება) სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით და მონაცემების სხვადასხვა სახით (ფორმით, ხერხით) წარმოდგენა.
- ე) კვლევის შედეგების ანალიზი და შეფასება.
- ვ) სტრუქტურების და პროცესების მოდელირება.
- ზ) პრაქტიკულ სამუშაოებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების განსაზღვრა და პრევენცია.
- თ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპების განხილვა ზოგად ისტორიულ ჭრილში.
- ი) საბუნებისმეტყველო სფეროში არსებული ცოდნის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში.
- კ) საბუნებისმეტყველო პრობლემების მდგრადი განვითარების კუთხით განხილვა.
- ლ) მეცნიერული აღმოჩენების შედეგების დადებითი და უარყოფითი გავლენის შეფასება.
- მ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დაკავშირება სხვა სასწავლო დისციპლინებთან.
- ნ) მეცნიერული ტერმინოლოგიით მეტყველება (წერითი და ზეპირი).
- ო) საბუნებისმეტყველო პრობლემების გადაჭრისას სათანადო მათემატიკური ოპერაციების გამოყენება.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 აპრილის ბრძანება №57/ნ - ვებგვერდი, 04.05.2011 წ.*

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

**მუხლი 37. საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული ცოდნა**

**1. საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებელმა იცის:**

- ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლის ობიექტები და მიზნები;
- ბ) ბუნებისმეტყველების ადგილი მეცნიერებათა სისტემაში;
- გ) საბუნებისმეტყველო იდეების ჩამოყალიბების (ფორმირების) ისტორია;
- დ) საბუნებისმეტყველო მეცნიერული ცნებები და ტერმინები;
- ე) კვლევის მეთოდები;
- ვ) კვლევა და მისი ეტაპები. ცდა (დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები, მონაცემები, საკონტროლო ცდა, განმეორებითი ცდა, ცდის ოქმი). მონაცემების მოპოვების გზები (ცდა/ექსპერიმენტი, დაკვირვება, გამოკითხვა (კითხვარი), ინფორმაციის მოძიება (ინტერნეტი, სამეცნიერო ლიტერატურა და სხვა).

**2. ბ ი ო ლ ო გ ი ა**

- ა) ბიოლოგიის საგანი და ცოცხალი მატერიის თვისებები.
  - ა.ა) ბიოლოგიის კვლევის საგანი და სიცოცხლის არსი. ცოცხალი მატერიის ორგანიზაციული დონეები ცოცხალი მატერიის კრიტერიუმები. ბიოლოგიის ადგილი მეცნიერებათა სისტემაში. ბიოლოგიის კვლევის მეთოდები. ბიოლოგიურ მეცნიერებათა სისტემა
  - ბ) სიცოცხლის წარმოშობა დედამიწაზე (კრეაციონისტული, თვითჩასახვის ჰიპოთეზა სტაციონარული მდგომარეობის, პანსპერმიის და ბიოქიმიური ევოლუციის ჰიპოთეზები, ეუკარიოტული უჯრედის წარმოშობის ჰიპოთეზები).
  - გ) ორგანიზმთა მრავალფეროვნება და სისტემატიკა.

გ.ა) ბიოლოგიური მრავალფეროვნება. სისტემატიკა (სახეობის კრიტერიუმები, ორგანიზმთა სისტემა). დომენი პროკარიოტები (სამეფო მონერები: არქეები, ეუბაქტერიები, ოქსიფოტობაქტერიები).

გ.ბ) დომენი ეუკარიოტები (სამეფო პროტოკტისტები; სამეფო სოკოები; სამეფო უმაღლესი მცენარეები: ხავსნაირები, გვიმრანაირები, შიშველთესლოვნები, ფარულთესლოვნები; სამეფო ცხოველები: ნაწლავღრუიანები, ბრტყელი ჭიები, მრგვალი ჭიები, რგოლოვანი ჭიები, მოლუსკები, ფეხსახსრიანები, კანეკლიანები, ქორდიანები).

გ.გ) საქართველოს წითელ ნუსხასა და წითელ წიგნში შეტანილი ზოგიერთი სახეობები.

დ) უჯრედი - ელემენტარული ცოცხალი სისტემა.

დ.ა) უჯრედული თეორია, მისი ჩამოყალიბების მოკლე ისტორია და ძირითადი დებულებები.

უჯრედის ქიმიური ორგანიზაცია (წყალი; მინერალური მარილები, ნახშირწყლები; ლიპიდები; ცილები; ნუკლეინის მჟავები; ადენოზინტრიფოსფორმჟავა).

დ.ბ) უჯრედის მორფოლოგიური ორგანიზაცია (პროკარიოტული და ეუკარიოტული უჯრედები; უჯრედული მემბრანები: პლაზმური მემბრანის აგებულება და ქიმიური შედგენილობა; უჯრედის ბირთვი; ციტოპლაზმა; ენდოპლაზმური ბადე; რიბოსომა; გოლჯის აპარატი; ლიზოსომა; პეროქსისომა; ვაკუოლი; მიტოქონდრია; პლასტიდები; უჯრედის ცენტრი; ჩანართები; წამწამები და შოლტები).

დ.გ) უჯრედის სასიცოცხლო ციკლი, მიტოზი.

დ.დ) სიცოცხლის არაუჯრედული ფორმები - ვირუსები: სტრუქტურული ერთეულები, ფუნქციები.

ე) ქსოვილები

ე.ა) ცხოველებისა და ადამიანების ქსოვილები (ეპითელიური, შემაერთებელი, კუნთოვანი, ნერვული). უმაღლესი მცენარეების ქსოვილები (წარმომშობი, მფარავი, მექანიკური, გამტარი, ძირითადი, გამომყოფი).

ვ) ნივთიერებათა და ენერჯის ცვლა

ვ.ა) ენერგეტიკული ცვლა (უჯრედული სუნთქვა, დუღილი). ფოტოსინთეზი; ქემოსინთეზი; ცილის ბიოსინთეზი.

ზ) ორგანიზმთა გამრავლება და ინდივიდუალური განვითარება

ზ.ა) გამრავლება – ორგანიზმთა ძირითადი სასიცოცხლო თვისება, სიცოცხლის უწყვეტობის უზრუნველყოფის პროცესი. უსქესო გამრავლება. სქესობრივი გამრავლება. სასქესო უჯრედების ჩამოყალიბება ცხოველებში. მეიოზი. განაყოფიერება ცხოველებში

ზ.ბ) სასქესო უჯრედების ჩამოყალიბება და ორმაგი განაყოფიერება ყვავილოვან მცენარეებში. სქესობრივი გამრავლების არარეგულარული ტიპები. ონტოგენეზი (ემბრიონული და პოსტემბრიონული განვითარება ცხოველებში)

ზ.გ) ორგანიზმის სასიცოცხლო ციკლი (ზრდა, რეგენერაცია, დაბერება და სიკვდილი).

თ) გენეტიკის საფუძვლები

თ.ა) მემკვიდრულობის კანონზომიერებები და მემკვიდრეობის პრინციპები. მენდელის მიერ დადგენილი კანონზომიერებანი (ჰიბრიდოლოგიური მეთოდი; მონოჰიბრიდული შეჯვარება; პირველი თაობის ჰიბრიდთა ერთგვარობის კანონი; დათიშვის კანონი; ალელიზმი; ფენოტიპი და გენოტიპი, გამეტათა სიწმინდის წესი; არასრული დომინირება; გამაანალიზებელი შეჯვარება; ალელურ გენთა ურთიერთქმედების ფორმები; მრავლობითი ალელიზმი). მონოჰიბრიდული შეჯვარების ციტოლოგიური მექანიზმი. დიჰიბრიდული შეჯვარება (გენთა დამოუკიდებლად მემკვიდრეობის კანონი).

თ.ბ) არაალელურ გენთა ურთიერთქმედება (კომპლემენტურობა, ეპისტაზი, პოლიმერია, პლეიოტროპიზმი). მემკვიდრეობითობის ქრომოსომული თეორია; სქესის განსაზღვრის

ქრომოსომული მექანიზმი. სქესთან შეჭიდულობა. გენტა შეჭიდულობა და კროსინგოვერი. გენტა ხაზობრივი განლაგება ქრომოსომაში. ციტოპლაზმური მემკვიდრეობა. ცვალებადობის კანონზომიერებანი (არამემკვიდრული; მემკვიდრული; კომბინაციური; მუტაციური: გენური, ქრომოსომული და გენომური მუტაციები; ინდუცირებული მუტაგენები). მემკვიდრეობითობის მოლეკულური საფუძვლები (ნუკლეინის მჟავების როლი მემკვიდრეობაში). გენის აგებულება, მისი მოქმედების რეგულაცია, რეპარაცია.

თ.გ) გენური ინჟინერია. უჯრედული ინჟინერია. ადამიანის გენეტიკის თავისებურება და კვლევის მეთოდები (გენეალოგიური, ტყუპთა, დერმატოგლიფიკის, პოპულაციური, ბიოქიმიური, ციტოგენეტიკური, მოლეკულური ბიოლოგიისა და სომატურ უჯრედთა გენეტიკის მეთოდები).

თ.დ) ნიშან-თვისებების მემკვიდრეობა ადამიანში (რეზუს ფაქტორი) გენეტიკა და მედიცინა (მემკვიდრული პათოლოგიების პროფილაქტიკა; მემკვიდრული დაავადებანი; გენური დაავადებები; ქრომოსომული დაავადებები).

თ.ე) გენეტიკა და სელექცია (ჯიშთა მრავალფეროვნება; სელექციის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები).

ი) ადამიანის ორგანიზმის ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებანი

ი.ა) ორგანოები და ორგანოთა სისტემები, მათი აგებულება და ფუნქციები.

ი.ბ) კვება და საჭმლის მომნელებელი სისტემა (ვიტამინები; საჭმლის მონელება პირის ღრუში, კუჭში, წვრილ და მსხვილ ნაწლავებში; შეწოვა);

ი.გ) სუნთქვა და სუნთქვის სისტემა (ჰაერგამტარი გზები, ფილტვები; გაზთა ცვლა ფილტვებსა და ქსოვილებში);

ი.დ) სისხლი და სისხლის მიმოქცევის სისტემა (გული, სისხლძარღვები, სისხლის მიმოქცევის დიდი და მცირე წრეები); ლიმფური სისტემა;

ი.ე) იმუნიტეტი (თანდაყოლილი და ადაპტური იმუნიტეტი; თანდაყოლილი იმუნიტეტის ბარიერები; ბრძოლა ინფექციებთან. ანტისხეულები და იმუნური პასუხი. მძიმე ინფექციური დაავადებები და მათი პრევენცია. შიდსის გავრცელება მსოფლიოსა და საქართველოში).

მოდრაობა და საყრდენ-მამოდრავებელი სისტემა (ჩონჩხი და კუნთები);

ი.ვ) ნერვული სისტემა - კოორდინაცია და პასუხი გაღიზიანებაზე. (ნეირონი; ნერვული იმპულსის გავრცელება, სინაფსი; ნერვული სისტემის ანატომიური და ფუნქციური თავისებურებანი; ნერვული რეგულაციის რეფლექსური პრინციპი).

ი.ზ) შეგრძნების ორგანოები (რეცეპტორთა ზოგადი მიმოხილვა, ყნოსვის, სმენის, მხედველობის, გემოს, შეხების და კუნთური შეგრძნების ორგანოები);

ი.თ) ენდოკრინული სისტემა (ჰიპოთალამუსი, ჰიპოფიზი, ფარისებრი, პარაფარისებრი, კუჭქვეშა, თირკმელზედა და სასქესო ჯირკვლები).

ი.ი) ფსიქიკა და ქცევა; ემოცია და მოტივაცია; ძილი და სიზმარი; მეხსიერება;

ი.კ) კანი;

ი.ლ) გამომყოფი სისტემა;

ი.მ) გამრავლების ორგანოები და ინდივიდუალური განვითარება;

ი.ნ) ჰომეოსტაზი;

ი.ო) ჰიგიენა და ჯანმრთელობა. ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობა ადამიანისათვის.

კ) ევოლუცია

კ.ა) ევოლუციური თეორიის განვითარების ისტორია (ლამარკი, დარვინ-უოლესი);

კ.ბ) მიკროევოლუციის კანონზომიერებანი (პოპულაცია ევოლუციური პროცესის ელემენტარული ერთეული; პოპულაციის გენეტიკური დახასიათება). მიკროევოლუციის მამოდრავებელი ფაქტორები (მუტაციური პროცესი, გენტა დრეიფი, გენტა ნაკადი, იზოლაცია). ბუნებრივი გადარჩევა, მისი წანამდღვრები და ძირითადი ფორმები (მასტაბილიზებული, მამოდრავებელი, დიზრუპტული,

სქესობრივი). ადაპტაცია - ბუნებრივი გადარჩევის შედეგი (მფარველობითი, დანაწევრებითი, გამაფრთხილებელი შეფერილობები; მიმიკრია). სახეობათა წარმოქმნა (ალოპატრიული, სიმპატრიული). მაკროევოლუციის კანონზომიერებანი და მისი დამამტკიცებელი არგუმენტები (მოლეკულური ბიოლოგიის, უჯრედული ბიოლოგიის, შედარებითი ემბრიოლოგიის, შედარებითი ანატომიის, ბიოგეოგრაფიის და პალეონტოლოგიის არგუმენტები). პროგრესული ევოლუციის ძირითადი მიმართულებები (ალოგენეზი, აროგენეზი, კატაგენეზი). ბიოლოგიური ევოლუციის ძირითადი კანონზომიერებები (დივერგენცია, კონვერგენცია, პარალელიზმი).

- კ.გ) ევოლუციის ძირითადი წესები;
- კ.დ) ბიოლოგიური პროგრესი და რეგრესი;
- კ.ე) ანთროპოგენეზი, მისი ეტაპები.

ლ) ეკოლოგია

ლ.ა) ეკოლოგია და ეკოსისტემები. ეკოსისტემების ძირითადი ფაქტორები. კვებითი დონეები ეკოსისტემებში. ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთქმედება ეკოსისტემაში: ურთიერთდამოკიდებულება ორგანიზმებს შორის. პოპულაციის რიცხოვნობაზე მოქმედი ფაქტორები. ნივთიერებების წრებრუნვა ბუნებაში, მკვდარი ორგანიზმების დაშლა. ბიოსფერო, როგორც გლობალური ეკოლოგიური სისტემა (მისი ევოლუცია და სტრუქტურა).

მ) ადამიანი და გარემო

მ.ა) ანთროპოგენური ზემოქმედება ბიოსფეროზე. ბიოტექნოლოგია და ეკოლოგიური პრობლემები (გენური ინჟინერია, უჯრედული ინჟინერია). ბიოტექნოლოგიის გამოყენება მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში, მრეწველობასა და გარემოს დაცვით ღონისძიებებში. გენეტიკური ინჟინერიის ეთიკური პრობლემები;

მ.ბ) გლობალური და ლოკალური ეკოლოგიური პრობლემები. ატმოსფეროს, წყლის და ნიადაგის დაბინძურება. ადამიანის დადებითი მოქმედება გარემოზე: ბუნების დაცვა; უსაფრთხო წყალი და საკვები. ადამიანის მიერ ეკოსისტემების მართვა. ინდივიდუალური და საერთო დაცვა დაავადებებისგან. საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციების მნიშვნელობა.

ნ) მათემატიკური აპარატი

ნ.ა) ნამდვილ რიცხვებზე მოქმედებების შესრულება სხვადასხვა ხერხით. რაოდენობების შედარების და შეფასების სხვადასხვა ხერხი. ფიზიკურ სიდიდეთა საზომი ერთეულები და მათი ერთმანეთთან კავშირი. ალბათობის თეორიის ელემენტები (გენეტიკურ ამოცანებთან კავშირში). ფუნქციათა თვისებები. მონაცემთა წარმოდგენის ფორმები (სია, ცხრილები, გრაფიკები, დიაგრამები).

**3. ქიმია**

ა) ქიმიის შესწავლის ობიექტები:

ა.ა) ქიმიური ელემენტი. ნივთიერება. ქიმიური რეაქცია.

ბ) ქიმიური ელემენტი

ბ.ა) წარმოდგენების განვითარება ატომის აღნაგობის შესახებ. ატომთა მოდელები. ატომის თანამედროვე მოდელი. ატომბირთვის შედგენილობა. ნუკლონები. სტაბილური და რადიონუკლიდები. ბუნებრივი და ხელოვნური რადიოაქტიურობა. ბირთვული რეაქციები - ბირთვული სინთეზი და ბირთვული გაყოფა.

ბ.ბ) ატომის ელექტრონული გარსი. ენერგეტიკული დონეები და ორბიტალები. ელექტრონის კვანტური რიცხვები. ატომის ელექტრონული კონფიგურაცია: უმცირესი ენერგიის პრინციპი, პაულის პრინციპი, ჰუნდის წესი, კლეიკოვსკის წესები.

ბ.გ) ქიმიური ელემენტის სიმბოლო, ატომის მასა, ფარდობითი ატომური მასა, იზოტოპური შედგენილობა. მოლური წილი. ქიმიური ელემენტის მახასიათებლები: ვალენტობა, ჟანგვის რიცხვი, ატომური (კოვალენტური, იონური, ვან დერ ვაალსური) რადიუსი, იონიზაციის ენერგია, ელექტრონისადმი სწრაფვა, ელექტროუარყოფითობა.



ბ.დ) ქიმიური ელემენტების კლასიფიკაციის ისტორია. პერიოდულობის კანონი და ელემენტთა პერიოდული სისტემა. პერიოდული სისტემა და ატომის აღნაგობა. ელემენტების და მათი ნაერთების ფორმებისა და თვისებების პერიოდული ცვლილება

ბ.ე) s, p, d, f ელემენტები.

გ) ნივთიერება. ნარევი. ხსნარი

გ.ა) ნივთიერების ქიმიური არსი, აგებულების ატომურ-მოლეკულური თეორია. ნივთიერების სტრუქტურული ნაწილაკები - ატომები, იონები, მოლეკულები. ნივთიერების ქიმიური ფორმულა. ნივთიერების ფარდობითი მოლეკულური მასა. ნივთიერების რაოდენობა და მისი ერთეული - მოლი. მოლური მასა. ნივთიერების შედგენილობის მუდმივობის კანონი.

გ.ბ) ქიმიური ბმის არსი. არაპოლარული და პოლარული კოვალენტური ბმები. კოვალენტური ბმის წარმოქმნა ელექტრონების გაზიარებით და დონორ-აქცეპტორული მექანიზმით. არაპოლარული და პოლარული მოლეკულები. დიპოლური მომენტი. ატომური ორბიტალების ჰიბრიდიზაცია, კავშირი ჰიბრიდიზაციის ტიპსა და მოლეკულის გეომეტრიულ ფორმას შორის. მოლეკულური ორბიტალების მეთოდი. კოვალენტური ბმის თვისებები (ბმის სიგრძე, ჯერადობა, გეზურობა). იონური ბმა. მეტალური ბმა. ატომური, იონური, მოლეკულური, მეტალური კრისტალები. წყალბადური ბმის თავისებურებანი. ვან დერ ვალსის ძალები - მოლეკულებს შორის ორიენტაციული ინდუქციური და დისპერსიული ურთიერთქმედება.

გ.გ) მყარი, თხევადი და აირადი ნივთიერებების აღნაგობა. აირების კანონები: იდეალური აირის მდგომარეობის განტოლება, ავოგადროს კანონი, აირის მოლური მოცულობა, ფარდობითი სიმკვრივე.

გ.დ) ნივთიერებებთან მუშაობის უსაფრთხოების წესები და უსაფრთხოების ნიშნები.

გ.ე) ჰომოგენური და ჰეტეროგენული ნარევეები. შენადნობები. ნარევის კომპონენტებად დაყოფის ხერხები: აორთქლება, დალექვა, გაფილტვრა, გამოხდა (დისტილაცია), ქრომატოგრაფია.

გ.ვ) ქიმიური ანალიზის მეთოდები: გრავიმეტრია, ტიტრიმეტრია, ფოტომეტრია.

გ.ზ) ხსნარი, როგორც დისპერსიული სისტემა. მყარი, თხევადი და აირადი ხსნარები კონცენტრირებული, განზავებული, უჯერი, ნაჯერი, ზენაჯერი ხსნარები. კრისტალიზაცია. ჭეშმარიტი და კოლოიდური ხსნარები. სუსპენზიები. ემულსიები.

გ.თ) ნივთიერების წყალში ხსნადობა. ხსნადობის კოეფიციენტი. მყარი ნივთიერებისა და აირის ხსნადობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე. ხსნადობის მრუდები.

გ.ი) ხსნარში გახსნილი ნივთიერების შემცველობის გამოსახვის ხერხები: მასური წილი და მოლური კონცენტრაცია.

დ) ქიმიური რეაქციის მიმდინარეობის კანონზომიერებები

დ.ა) ქიმიური რეაქციის არსი, მიმდინარეობის პირობები, გარეგნული ნიშნები. ქიმიური რეაქციის ტოლობა. რეაქციის დროს მასის მუდმივობის კანონი. გამოთვლები ქიმიური ტოლობის გამოყენებით.

დ.ბ) ქიმიური რეაქციის სითბური ეფექტი. ენთალპია. ენთალპიის ცვლილება რეაქციის დროს. ეგზოთერმული და ენდოთერმული რეაქციები და ენერჯის დიაგრამები. თერმოქიმიური ტოლობები და გამოთვლები ამ ტოლობების გამოყენებით.

დ.გ) ქიმიური რეაქციის კინეტიკური განტოლება. რეაქციის სიჩქარის ექსპერიმენტულად განსაზღვრის ხერხები. რეაქციის მოლეკულურობა და რიგი. რეაქციის სიჩქარეზე მოქმედი ფაქტორები - მორეაგირე ნივთიერებების ბუნება, შეხების ზედაპირის ფართობი, კონცენტრაცია, წნევა, ტემპერატურა, კატალიზატორი. მოქმედ მასათა კანონი. ვანტჰოფის წესი. აქტივაციის ენერჯია. ჰომოგენური და ჰეტეროგენული კატალიზი. კატალიზური რეაქციების მექანიზმები. ინჰიბიტორები. ფერმენტები. ფერმენტული რეაქციების თავისებურებანი.

დ.დ) რეაქციის შექვევადობა. პირდაპირი და შებრუნებული რეაქციები. ქიმიური წონასწორობა. წონასწორობის მუდმივა. წონასწორობის კონცენტრაციები. ლე შატელიეს პრინციპი. ქიმიურ წონასწორობაზე მოქმედი ფაქტორები - კონცენტრაცია, წნევა, ტემპერატურა.

დ.ე) რეაქციები ელექტროლიტთა ხსნარებში. ელექტროლიტური დისოციაცია. სუსტი, საშუალო და ძლიერი ელექტროლიტები. დისოციაციის ხარისხი და მუდმივა. იონური მიმოცვლის რეაქციები. ფუძურ-მჟავური წონასწორობა. წყლის იონური ნამრავლი. ინდიკატორები და ხსნარის pH. შეუღლებული ფუძურ-მჟავური წყვილები. მარილთა ჰიდროლიზი. ჰიდროლიზის ხარისხი და მუდმივა. ბუფერული ხსნარები.

დ.ვ) ჟანგვა-აღდგენის რეაქციის ზოგადი დახასიათება. ჟანგვისა და აღდგენის ნახევარრეაქციები. ტიპური მჟანგავები და აღმდგენები. ჟანგვა-აღდგენის რეაქციების ტოლობების შედგენა ელექტრონული ბალანსის მეთოდით. ჟანგვა-აღდგენის რეაქციების კლასიფიკაცია და რაოდენობრივი დახასიათება სტანდარტული ელექტროდული პოტენციალებით.

დ.ზ) ნალღობისა და წყალხსნარის ელექტროლიზი. კათოდსა და ანოდზე მიმდინარე ნახევარრეაქციები. ელექტროლიზი ხსნადი და უხსნადი ანოდით. ელექტროლიზის რაოდენობრივი დახასიათება ფარადეის კანონებით. ელექტროლიზის პრაქტიკული გამოყენება. გალვანური ელემენტის მუშაობის პრინციპი. აკუმულატორები.

დ.თ) დაშლის, შეერთების, ჩანაცვლების, მიმოცვლის ქიმიური რეაქციები. წვის, ჟანგვის, კოროზიის პროცესები.

ე) არაორგანულ ნაერთთა კლასიფიკაცია

ე.ა) მარტივი და რთული ნივთიერებები. ალოტროპია. მეტალები და არამეტალები პერიოდულ სისტემაში. მეტალთა ქიმიური აქტიურობის მწკრივი, მათი მიღების ხერხები, ზოგადი ფიზიკური და ქიმიური თვისებები. არამეტალების ზოგადი თვისებები და მიღების ხერხები.

ე.ბ) არაორგანულ ნაერთთა ძირითადი კლასები - ოქსიდები, მჟავები, ფუძეები, მარილები: შედგენილობა, კლასიფიკაცია, მიღების ხერხები, ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, გამოყენება. კავშირი არაორგანულ ნაერთთა კლასებს შორის.

ე.გ) კომპლექსური ნაერთები.

ე.დ) არაორგანულ ნაერთთა ტერმინოლოგია და ნომენკლატურა.

ვ) სხვადასხვა ჯგუფის ელემენტთა დახასიათება

ვ.ა) წყალბადი, ჰალოგენები, ჟანგბადი, გოგირდი, აზოტი, ფოსფორი, ნახშირბადი, სილიციუმი, ნატრიუმი, კალიუმი, მაგნიუმი, კალციუმი, ალუმინი, რკინა, მანგანუმი. მათი მნიშვნელოვანი ნაერთები, თვისებები, გამოყენება.

ზ) ორგანული ნაერთები

ზ.ა) ორგანული ნაერთების აღნაგობის თეორია, ჰომოლოგია. სტრუქტურული და სტერეოიზომერია. სივრცული, ინდუქციური და მეზომერული ეფექტები. ორგანული რეაქციები (ჩანაცვლების, მიერთების, ელიმინირების, იზომერიზაციის) და მათი მექანიზმები - რადიკალური, ელექტროფილური და ნუკლეოფილური. ორგანული ნაერთების კლასიფიკაცია და საერთაშორისო ნომენკლატურა.

თ) ორგანულ ნაერთთა კლასები

თ.ა) ალკანები: ჰომოლოგიური რიგი, აღნაგობა, ნომენკლატურა, მიღება, ფიზიკური და ქიმიური თვისებები, გამოყენება.

თ.ბ) ალკენები: ჰომოლოგიური რიგი, აღნაგობა, მიღება, ფიზიკური და ქიმიური თვისებები, გამოყენება. მარკოვნიკოვის წესი.

თ.გ) ალკინები: ზოგადი დახასიათება. აცეტილენი - აღნაგობა, მიღება, ფიზიკური და ქიმიური თვისებები, გამოყენება.

თ.დ) არენები: ბენზოლი - აღნაგობა, მიღება, თვისებები და გამოყენება. ტოლუოლი. ატომთა ურთიერთგავლენა ტოლუოლის მაგალითზე.

თ.ე) ალკადიენები. კლასიფიკაცია, აღნაგობა, იზომერია, ნომენკლატურა. ბუტადიენ-1,3-ის ძირითადი ქიმიური თვისებები (მიერთება, პოლიმერიზაცია). ალკადიენების გამოყენება.

ზოგადი ცნობები ციკლოალკანებზე.

ი) ნახშირწყალბადების წარმოებულების ზოგადი დახასიათება.

ი.ა) ალკანოლები - ჰომოლოგიური რიგი, მიღება, ფიზიკური და ქიმიური თვისებები, გამოყენება. ეთილენგლიკოლი და გლიცერინი. ფენოლი. მათი თვისებები და გამოყენება.

ი.ბ) ალდეჰიდები: ჰომოლოგიური რიგი, მიღება, ფიზიკური და ქიმიური თვისებები, გამოყენება.

ი.გ) კეტონები: აცეტონი.

ი.დ) კარბონმჟავები: ჰომოლოგიური რიგი, მიღება, ფიზიკური და ქიმიური თვისებები, გამოყენება. ჭიანჭველმჟავა, ძმარმჟავა. წარმოდგენა პალმიტინის და სტეარინის მჟავებზე.

ი.ე) ესტერები: ესტერიფიკაციის და ჰიდროლიზის რეაქციები.

ი.ვ) ცხიმები: თხევადი და მყარი ცხიმები, თვისებები და გამოყენება.

კ) ნახშირწყლები: მონო-, დი- და პოლისაქარიდების წარმომადგენლები: გლუკოზა, მისი ციკლური ფორმები და ქიმიური თვისებები; ფრუქტოზა, საქაროზა, სახამებელი და ცელულოზა, მათი ზოგადი დახასიათება.

ლ) ამინები: თვისებები და გამოყენება.

მ) ამინომჟავები: აღნაგობა და თვისებები. პეპტიდური ბმა.

ნ) ცილები: აგებულება, როლი ბუნებაში.

ო) მაღალმოლეკულური ნაერთების ზოგადი დახასიათება: პოლიმერი, მონომერი, ელემენტარული რგოლი, პოლიმერიზაციის ხარისხი. პოლიმერიზაციის და პოლიკონდენსაციის რეაქციები.

პ) ბუნებრივი და სინთეზური ორგანული ნაერთები

პ.ა) წარმოდგენა ორგანულ ენერგორესურსებზე: აირადი, თხევადი, მყარი სათბობი; მათი გადამუშავება. საწვავის წვის პროდუქტები.

ჟ) მათემატიკური აპარატი

ჟ.ა) ნამდვილ რიცხვებზე მოქმედებების შესრულება სხვადასხვა ხერხით. რაოდენობების შედარებისა და შეფასების სხვადასხვა ხერხი, ფიზიკურ სიდიდეთა სხვადასხვა ერთეულის ერთმანეთთან კავშირი. ფუნქციათა თვისებები.

ჟ.ბ) მონაცემთა წარმოდგენის ფორმები (ცხრილები, გრაფიკები, დიაგრამები).

#### **4. ფიზიკა**

ა) კინემატიკის საფუძვლები

ა.ა) მოძრაობის სახეები (წრფივი, მრუდწირული, რხევითი, ბრუნვითი). ტრაექტორია, გადაადგილება, წრფივი თანაბარი მოძრაობის სიჩქარე, საშუალო და მყისი სიჩქარე, მოძრაობის ფარდობითობა, სიჩქარეთა შეკრება. წრფივი თანაბარაჩქარებული მოძრაობა. აჩქარება, სიჩქარე და გადაადგილება თანაბარაჩქარებული მოძრაობის დროს. მრუდწირული მოძრაობა, სიჩქარე და აჩქარება მრუდწირული მოძრაობის დროს.

ბ) ურთიერთქმედება მექანიკაში

ბ.ა) სხეულთა ურთიერთქმედება, ძალა. სიმძიმის, ხახუნის (უძრაობის და სრიალის), დრეკადობის ძალები, ჰუკის კანონი. ნიუტონის კანონები, მასა – ინერტულობის საზომი. მასა და წონა. სიმკვრივე. მსოფლიო მიზიდულობის კანონი. სხეულის იმპულსი, იმპულსის მუდმივობის კანონი, რეაქტიული მოძრაობა. სიმძიმის ცენტრი, წონასწორობა (მდგრადი, არამდგრადი, განურჩეველი). ძალის მომენტი, მარტივი მექანიზმები. მექანიკური მუშაობა და სიმძლავრე. ცვლადი ძალის მუშაობა. პოტენციური და კინეტიკური ენერგიები, ერთი სახის ენერგიის გადასვლა მეორეში, ენერგიის მუდმივობის კანონი მექანიკაში. ტექნოლოგიური პროცესების განვითარება (საფრენი აპარატები, მანქანები და სხვა), კავშირი მექანიკის კანონებთან.

გ) მექანიკური რხევები და ტალღები

გ.ა) მექანიკური რხევა, ჰარმონიული რხევის განტოლება, რხევის მახასიათებელი პარამეტრები. თავისუფალი რხევა, იძულებითი რხევა, რხევის მიღება, რეზონანსი. განივი და გრძივი ტალღა, ტალღის სიგრძე, ტალღის სიჩქარე. არეკვლა, დიფრაქცია, ინტერფერენცია. ბგერა, ბგერის წყაროები, ბგერის წარმოქმნა, გავრცელება და აღქმა. ბგერითი სიგნალების გადაცემა და მიღება ორგანიზმებში, სმენის ორგანოები. ექოს წარმოქმნა. ხმამაღლობა, ტონის სიმაღლე. ულტრაბგერა და ინფრაბგერა. დოპლერის ეფექტი.

დ) ჰიდრო და აეროსტატიკა, ჰიდროდინამიკა

და) წნევა. აირის წნევა, წნევა სითხეებში, პასკალის კანონი. ჰიდრავლიკური მანქანა. ატმოსფერული წნევა, ტორიჩელის ცდა. ამომგდები ძალა, არქიმედეს კანონი, სხეულთა ცურვის პირობები. სითხეთა დინება, ბერნულის კანონი. ლამინარული და ტურბულენტური დინება. კაპილარული მოვლენები, ზედაპირული დაჭიმულობა, სიბლანტე.

ე) ოპტიკა

ე.ა) სინათლის სხივის გავრცელების კანონზომიერებები, არეკვლა, გარდატეხა, სრული შინაგანი არეკვლა, შთანთქმა, დისპერსია. სხივთა სვლა ჩაზნექილ და ამოზნექილ ლინზებში, ბრტყელ, ჩაზნექილ და ამოზნექილ სარკეებში. გამოსახულების აგება ლინზაში და ბრტყელ სარკეში. თხელი ლინზის ფორმულა, ლინზის გამადიდებლობა. თანამედროვე ოპტიკური სისტემები, მათი მუშაობის პრინციპი. მხედველობა და მხედველობის ორგანოები, ახლომხედველობა და შორსმხედველობა, მხედველობის გაუმჯობესების გზები. ფოტომეტრია, სინათლის ძალა, განათებულობა. სინათლის გავრცელების სიჩქარე (სხვადასხვა მეცნიერის მიერ ჩატარებული გაზომვები). სინათლის ტალღური ბუნება, სინათლის ელექტრომაგნიტური თეორია. ფოტოეფექტი, ფოტონები, სინათლის კვანტური ბუნება.

ვ) სითბური მოვლენები

ვ.ა) მოლეკულურ-კინეტიკური თეორიის ძირითადი დებულებები. მოლეკულურ-კინეტიკური თეორიის ძირითადი განტოლება, ტემპერატურა. ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობები, გადასვლა ერთი აგრეგატული მდგომარეობიდან მეორეში. ფიზიკური მახასიათებლების ცვლილება ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობების ცვლილების დროს. თბოგამტარები და თბოიზოლატორები, თბორეგულაციის მექანიზმები ორგანიზმებში. ნივთიერებათა სითბური გაფართოება, წყლის ანომალია. სითბოს რაოდენობა, კუთრი სითბოტევადობა. გამყარება-დნობა, აორთქლება-კონდენსაცია, დუღილი, დუღილის ტემპერატურა, ნაჯერი ორთქლი, ნაჯერი ორთქლის წნევის დამოკიდებულება ტემპერატურაზე. დნობის და ორთქლადქცევის კუთრი სითბო, დნობისა და ორთქლადქცევისათვის საჭირო სითბოს რაოდენობა. წვის სითბო, სითბური ძრავები (შიგაწვის ძრავა, ტურბინა), ძრავის მქკ. სითბური ენერჯის გადაცემის გზები (კონვექცია, გამოსხივება, გამტარებლობა).

ზ) იდეალური აირი

ზ.ა) იდეალური აირის მდგომარეობის განტოლება, იდეალური აირის კანონები. შინაგანი ენერჯია. თერმოდინამიკის I და II კანონი, შექცევადი და შეუქცევადი პროცესები, ენტალპია. აბსოლუტური ტემპერატურა, აბსოლუტური ნული.

თ) მყარი სხეულის თვისებები

თ.ა) მყარი სხეულის მექანიკური თვისებები. დეფორმაცია, დეფორმაციის სახეები. სიმტკიცე, სიმტკიცის ზღვარი.

ი) ელექტროსტატიკა

ი.ა) ორგვარი ელექტრული მუხტი. მუხტის მუდმივობის კანონი. სხეულთა დამუხტვა გავლენით და ხახუნით. ელექტრული ველი, ელ. ველის ძალწირები. დამუხტული სხეულების ურთიერთქმედება. ელ. მოვლენები ბუნებაში. კულონის კანონი, დიელექტრიკული შეღწევადობა.

ელ. ველის დაძაბულობა, სუპერპოზიციის პრინციპი. ელ. ველის პოტენციალი, პოტენციალთა სხვაობა. ელექტროტევადობა, კონდენსატორი, ბრტყელი კონდენსატორის ელექტროტევადობა.

კ) ელექტრული დენი

კ.ა) ელექტრული დენი. ელექტროგამტარები და იზოლატორები. დენის წყაროები. სტანდარტული ელექტროდული პოტენციალი. გალვანური ელემენტი. დენის ძალა, ძაბვა, გამტარის წინაღობა, წინაღობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე. ომის კანონი წრედის უზნისათვის. გამტართა პარალელური და მიმდევრობითი შეერთება. დენის მუშაობა და სიმძლავრე. დენის წყაროს ემმ, ომის კანონი სრული წრედისათვის. დენის სითბური და ქიმიური მოქმედება. ელექტრული დენი სითხეში, აირში და ვაკუუმში. ელექტროლიტური დისოციაციის თეორია, დისოციაციის ხარისხი და მუდმივა. ელექტროლიზის კანონები, ელექტროქიმიური ეკვივალენტი. ნახევარგამტარი, ელ. დენი ნახევარგამტარში.

ლ) მაგნიტური ველი

ლ.ა) მაგნიტური ველი, ველის ძალწირები, დენის მაგნიტური მოქმედება, დენიანი გამტარების ურთიერთქმედება. მაგნიტური ველის ინდუქცია, მაგნიტური ნაკადი, ამპერის ძალა. ლორენცის ძალა. ცვლადი დენი, ცვლადი დენის გენერატორი. ელ. მაგნიტური ინდუქციის მოვლენა, ლენცის წესი. თვითინდუქცია, ინდუქციურობა. ტრანსფორმატორი, ელ. ენერჯის გადაცემა და განაწილება. მაგნიტური ველის ენერჯია. რხევითი კონტური, ენერჯის გარდაქმნა რხევით კონტურში. ცვლადი ელექტრული ველი, ელექტრომაგნიტური ტალღა, ელექტრომაგნიტური ტალღების სკალა.

მ) ფარდობითობის თეორია

მ.ა) ფარდობითობის თეორიის ძირითადი ელემენტები, მისი შექმნის მნიშვნელობა. თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემების მოქმედების პრინციპი. ლაზერის მოქმედების პრინციპი.

ნ) ატომური და ბირთვული ფიზიკა.

ნ.ა) რეზონანსის ცდა, ატომის პლანეტარული მოდელი, პერიოდულობის კანონი და პერიოდული სისტემა. ბორის პოსტულატები. ატომის ბირთვის აღნაგობა, პროტონისა და ნეიტრონის აღმოჩენა. ბუნებრივი რადიოაქტივობა. და გამოსხივება. რადიოაქტიური გამოსხივების ბიოლოგიური ზემოქმედება, რადიოაქტიური დაშლის კანონი, ნახევარდაშლის პერიოდი. იზოტოპები. ბირთვული ძალები, ბირთვული რეაქტორი. ჯაჭვური რეაქცია. თერმობირთვული რეაქციები. ელემენტარულ ნაწილაკთა და ურთიერთქმედებათა თანამედროვე კლასიფიკაცია.

ო) მათემატიკური აპარატი.

ო.ა) მოქმედებები ნამდვილ რიცხვებზე. ფიზიკურ სიდიდეთა სხვადასხვა ერთეულის ერთმანეთთან კავშირი. რაოდენობების შედარების და შეფასების სხვადასხვა სტრატეგია. მოქმედებები ვექტორებზე. რიცხვითი მიმდევრობების, მწკრივებისა და ფუნქციათა თვისებები. დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის საფუძვლები. მონაცემთა წარმოდგენის ფორმები (ცხრილები, გრაფიკები, დიაგრამები).

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 აპრილის ბრძანება №57/6 - ვებგვერდი, 04.05.2011 წ.*

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/6 - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

**მუხლი 38. სწავლების მეთოდები**

ა) სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

ა.ა) ბუნებისმეტყველების საგნობრივ პროგრამაზე დაყრდნობით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო მიზნების, შესაბამისი ამოცანებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა;

ა.ბ) ბუნებისმეტყველების საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული ისეთი სასწავლო გეგმის შედგენა, სადაც მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა და რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნას, ინტერესებს, შესაძლებლობებს, შეხედულებებსა და გამოცდილებას,

ა.გ) ბუნებისმეტყველების საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების ეფექტური სტრატეგიების განსაზღვრა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეებში გააზრებული და საფუძვლიანი ცოდნის შექმნასა და უნარ-ჩვევების გამომუშავება-განვითარებაზე;

ა.დ) მიზნის შესაბამისი შეფასების ისეთი ტიპებისა და ფორმების შერჩევა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება არა მარტო გამოვლინდეს მოსწავლეთა შესაძლებლობანი და შეფასდეს მათი ცოდნა და უნარ-ჩვევები, არამედ ხელი შეეწყოს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;

ა.ე) შეფასების სხვადასხვა ფორმებისთვის (ექსპერიმენტის, ცდის ჩატარება, პროექტის მომზადება, რეფერატი, საველე სამუშაოები და სხვა) კრიტერიუმების განსაზღვრა და შესაბამისი ცხრილებისა და სქემების შედგენა;

ა.ვ) სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის საბუნებისმეტყველო საგნების და სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან თანამშრომლობა და ერთობლივი სტრატეგიების შემუშავება – ინტეგრირებული გაკვეთილებისა და სხვადასხვა არასაკავითილო აქტივობების ერთობლივი დაგეგმვა;

ა.ზ) სასწავლო პროცესისათვის იმ ტიპის აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც მოსწავლეებს განუვითარებს სწორ დამოკიდებულებას და პირად პასუხისმგებლობას გარემომცველი სამყაროს მიმართ, რათა მათ ჰქონდეთ სურვილი და უნარი მისი დაცვისა და აღდგენის.

ა.თ) პრაქტიკული აქტივობების დაგეგმვისას უსაფრთხოების წესების ცოდნა და გამოყენება.

ბ) სასწავლო პროცესის წარმართვა:

ბ.ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლის მოტივაციის ამაღლების სტრატეგიების გამოყენება;

ბ.ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისთვის პრიორიტეტული აქტივობების განხორციელება როგორც სასკოლო გარემოში, ასევე მის გარეთ (მუზეუმი, საწარმო, ზოოლოგიური და ბოტანიკური პარკი, კვლევითი ინსტიტუტი, ბუნებრივი გარემო);

ბ.გ) აქტივობების იმგვარად წარმართვა, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ კვლევითი უნარი, და შეძლონ როგორც სხვათა, ასევე საკუთარი კვლევების კრიტიკული შეფასება;

ბ.დ) მოსწავლეთა შორის საბუნებისმეტყველო საკითხებზე დისკუსიების ხელშეწყობა;

ბ.ე) საბუნებისმეტყველო საგნების სწავლის პროცესში ყველა მოსწავლის (მათი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით) მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა (ჯგუფურ მუშაობებში და პროექტებში მონაწილეობა, სხვადასხვა ღონისძიებების ერთობლივი დაგეგმვა და განხორციელება და სხვ.);

ბ.ვ) საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას საგანთაშორისი კავშირების დამყარება, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ცოდნის ტრანსფერი – ერთ საგანში მიღებული ცოდნის სხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადატანა და გამოყენება;

ბ.ზ) სწავლებისას საკითხის გამოყენებითი ასპექტის დემონსტრირება, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება;

ბ.თ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლა-სწავლების პროცესის იმგვარად წარმართვა, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარი;

ბ.ი) სასწავლო პროცესის იმგვარად წარმართვა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში სემიოტიკური კომპეტენციის განვითარებას – ფორმულის, განტოლების, დიაგრამის, სქემის და ა.შ. საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრების, ინტერპრეტირების და ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის უნარის განვითარება;

ბ.კ) სასწავლო პროცესში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისთვის აუცილებელი მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების მოძიება/შექმნა და გამოყენება, ასევე მოსწავლეთათვის მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ბ.ლ) სასწავლო პროცესის იმგვარად წარმართვა, რომელიც მოსწავლეებს გამოუმუშავებს და განუვითარებს პრაქტიკულ სამუშაოებთან დაკავშირებულ უსაფრთხოების წესების დაცვის უნარ-ჩვევებს.

გ) შეფასება:

გ.ა) სასწავლო მიზნის შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე შეფასება;

გ.ბ) შეფასების სქემების გამოყენება;

გ.გ) მოსწავლეთა პროგრესისა და მიღწევების მონიტორინგი;

გ.დ) მოსწავლეთა საჭიროებების, პროგრესისა და მიღწევების აღნუსხვა და ანგარიშის სახით წარმოდგენა;

გ.ე) შეფასებისა და თვითშეფასების მონაცემების გამოყენება მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

## თავი XVI

### თავი XVI

**საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი**

**მუხლი 39. საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები**

#### 1. ისტორია

ა) მიმართულება: ისტორიული დრო

ა.ა) დროში ორიენტირება;

ა.ბ) ქრონოლოგიური ერთეულების სისტემის გამოყენება;

ბ) მიმართულება: ისტორიული ინტერპრეტაცია

ბ.ა) ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განსხვავებული ინტერპრეტაციის ანალიზი და შეფასება;

გ) მიმართულება: ისტორიული კვლევა

გ.ა) ისტორიული (პირველადი და მეორადი) წყაროების ანალიზი;

გ.ბ) ისტორიული კვლევის დაგეგმვა და ჩატარება.

დ) მიმართულება: კომუნიკაცია

დ.ა) მსჯელობა სხვადასხვა ეპოქაში საქართველოსა და მსოფლიოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალურ - ეკონომიკური და კულტურულ - რელიგიური მოვლენების შესახებ;

დ.ბ) მსჯელობა თანამედროვე ეპოქასა და წარსულში განსხვავებული კულტურების ურთიერთობისა და ურთიერთგავლენის შესახებ;

დ.გ) მსჯელობა საქართველოსა და მსოფლიოში პოლიტიკური, სოციალურ - ეკონომიკურ და კულტურულ-რელიგიური პროცესების ურთიერთმიმართების შესახებ;

დ.დ) მიმოხილვითი თხზულების დაწერა ისტორიულ თემატიკაზე;

დ.ე) ისტორიული თემის დაწერა საკუთარი კვლევის საფუძველზე.

#### 2. გეოგრაფია

ა) მიმართულება: დრო და სივრცე

ა.ა) რუკის ენის გაგება; რუკის, სხვა თვალსაჩინოებების (სქემა, დიაგრამა, ფოტო, ცხრილი, გრაფიკი) და გეოგრაფიული ხელსაწყოების გამოყენებით ინფორმაციის მოძიება;

ა.ბ) სივრცეში ორიენტაცია – ჰორიზონტის მხარეები, გრადუსთა ბადე; ადგილის მდებარეობის განსაზღვრა;

ა.გ) ლეგენდის გამოყენებით სიმბოლოების აღქმა;

ა.დ) მასშტაბის აღქმა - მასშტაბის გამოყენებით ადგილის და მანძილების გაზომვა და შედარება, კარტოგრაფიული პროექციების განსხვავება;

ა.ე) რუკებიდან და სხვა თვალსაჩინოებებიდან (ფოტოები, გრაფიკები, ცხრილები, დიაგრამები და სხვა) მოპოვებული ინფორმაციის დაკავშირება გეოგრაფიულ ცოდნასთან და ამის საფუძველზე ადგილის, მოვლენისა და პროცესების დახასიათება, კანონზომიერებების დადგენა;

ა.ვ) რელიეფის, ჰიდროსფეროს ( შიგა წყლების და მსოფლიო ოკეანის), ატმოსფერული მოვლენების, ბუნებრივი რესურსების, განსახლებების, მოსახლეობის დემოგრაფიული მახასიათებლების, სოციალური და ეკონომიკური სისტემების, სატრანსპორტო სისტემის შესახებ ინფორმაციის მოძიება-ანალიზი;

თვალსაჩინოებების თემატური ანალოგების შედგენა.

ბ) მიმართულება: გეოგრაფიული კვლევა

ბ.ა) თემატიკის შესაბამისი გეოგრაფიული კვლევის (მათ შორის საველეს) დაგეგმვა;

პრობლემის, გეოგრაფიული კვლევის მიზნის, მისი გადაჭრის გზებისა და მიმართულების განსაზღვრა;

ბ.ბ) გეოგრაფიული კვლევისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება, მონაცემთა ორგანიზება;

ბ.გ) გეოგრაფიული კვლევის განსახორციელებლად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი და დამუშავება;

ბ.დ.) გეოგრაფიული პრობლემის გადაჭრა, კვლევის შედეგების არგუმენტირებულად წარმოჩენა;

ბ.ე) გეოგრაფიული თემის სტრუქტურული ორგანიზაცია.

გ) მიმართულება: გეოგრაფიული ინტერპრეტაცია

გ.ა) გეოგრაფიული ტერმინებისა და ცნებების ადეკვატური გამოყენება;

გ.ბ) გეოგრაფიული ფაქტების მოსაზრებისგან განსხვავება;

გ.გ) გავრცელებული გეოგრაფიული სტერეოტიპების კონტრარგუმენტაცია;

გ.დ) გეოგრაფიული ინფორმაციის საფუძველზე პროგნოზების გაკეთება და მოდელების შექმნა (გეოგრაფიულ კონტექსტში);

გ.ე) სხვადასხვა ფორმატში (წერთი, ზეპირი, ვიზუალური) წარმოდგენილი ინფორმაციის გააზრება და აღქმად ფორმატში წარმოჩენა.

დ) მიმართულება: კომუნიკაცია

დ.ა) რუკებისა და სხვა თვალსაჩინოებების გამოყენებით საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა; გეოგრაფიული კვლევის შედეგების წარმოჩენისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამოვლენა;

დ.ბ) მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე მსჯელობა;

გეოგრაფიული თემის დაწერა;

დ.გ) გეოგრაფიული დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით სამუშაოს დანაწილება, განხილვა და სხვ.;

დ.დ) დამუშავებული გეოგრაფიული თემის პრეზენტაცია.

### **3. სამოქალაქო განათლება**

ა) მიმართულება: კვლევა

ა.ა) საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი შესაძლებლობების, ადგილისა და მნიშვნელობის განაალიზება;



ა.ბ.) საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და პროცესების ამოცნობა და მრავალმხრივი გაანალიზება;

ა.გ) საზოგადოებრივი, რელიგიური, საგანმანათლებლო, სამართლებრივი, სახელმწიფო და ეკონომიკური ინსტიტუტების ფუნქციებისა და მნიშვნელობის გაანალიზება. დემოკრატიული პრაქტიკის ანალიზი საზოგადოების ინტერესებთან, ტრადიციებთან და ღირებულებებთან მიმართებაში.

ა.დ) სამოქალაქო ცხოვრების, პოლიტიკისა და სახელმწიფოს მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი;

ა.ე) საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების საფუძვლების ანალიზი;

საზოგადოებრივი ინტერესების განხორციელებისათვის სამოქალაქო მონაწილეობითი პროცესების მნიშვნელობის ანალიზი ;

ა.ვ) სახელმწიფოს კონსტიტუციური დემოკრატიის ჯანსაღი ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის მოქალაქეთა შესაძლებლობების შესწავლა და განსაზღვრა

ბ) მიმართულება: შეფასება

ბ.ა) საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებთან მიმართებაში პოზიციის გამომუშავება და არგუმენტირებულად დაცვა;

ბ.ბ) საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებთან მიმართებაში სხვადასხვა მიდგომისა თუ პოზიციის კრიტიკულად შეფასება;

ბ.გ) მოვლენების, პროცესებისა და პოზიციების შეფასებისას შესაბამისი კრიტერიუმების გამოყენება.

ბ.დ) კონსტიტუციის საფუძველზე მოქმედი ხელისუფლების საქმიანობაში დემოკრატიის მიზნების, ღირებულებებისა და პრინციპების ასახვის შეფასება;

ბ.ე) ქვეყნის დემოკრატიაში მოქალაქეების როლის, მათი პირადი პოლიტიკური და ეკონომიკური ვალდებულებების შეფასება;

გ) მიმართულება: კომუნიკაცია

გ.ა) საზოგადოებრივი ინტერესების განსახორციელებლად მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

გ.ბ) საზოგადოებრივ საკითხებზე მსჯელობისას სხვადასხვა არგუმენტისა და გამოხატვის ფორმების მიზნობრივად გამოყენება;

გ.გ) იმ პროცესებსა თუ გადაწყვეტილებებში ინფორმირებულად და ეფექტურად მონაწილეობა, რომლებიც ეხება მოსწავლეებისა და საკუთარ პიროვნულ განვითარებას, მშობლებისა და სკოლის, საზოგადოების ინტერესებს.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

## **მუხლი 40. საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული ცოდნა**

### **1. ისტორია**

ა) ისტორიის შესავალი:

ა.ა) ისტორიის შესწავლის საგანი და ამოცანები;

ა.ბ) ისტორიის დამხმარე დისციპლინები - არქეოლოგია, ეთნოლოგია, წყაროთმცოდნეობა, ისტორიოგრაფია, ნუმისმატიკა, ისტორიული გეოგრაფია, ჰერალდიკა, გენეალოგია, ეპიგრაფიკა;

ა.გ) ისტორიის პერიოდიზაცია;

ა.დ) მსოფლიოსა და საქართველოში ისტორიული აზრის განვითარება (ძველი სამყაროსა და შუა საუკუნეების მემკვიდრეობები, ახალი ეპოქის ისტორიკოსები, XIX-XX საუკუნეების ისტორიკოსები).

ბ) დრო და კალენდარი:

ბ.ა) ისტორიული დროის ერთეულები: წელი, საუკუნე, ათასწლეული, წელთაღრიცხვის სისტემა; კალენდარი და დროის აღრიცხვის სისტემები (იულიუსის და გრიგორიანული კალენდრები, ქორონიკონი, ჰიჯრა).

ბ.ბ) ისტორიის პერიოდიზაცია.

გ) პრეისტორიული ეპოქა:

გ.ა) ადამიანის წარმოშობა და განვითარება; მისი განსახლება მსოფლიოში;

გ.ბ) პალეოლითი;

გ.გ) ნეოლითური რევოლუცია;

გ.დ) სპილენძ - ბრინჯაოს ეპოქა;

გ.ე) უძველესი რელიგიური წარმოდგენები;

გ.ვ) ხელოვნება პირველყოფილ საზოგადოებაში;

გ.ზ) პრეისტორიული ეპოქის ადამიანი საქართველოს ტერიტორიაზე.

დ) ძველი აღმოსავლეთი:

დ.ა) რა არის სახელმწიფო? თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ;

დ.ბ) დამწერლობის გაჩენა, დამწერლობის ტიპები;

დ.გ) ძველი ეგვიპტე;

დ.დ) შუამდინარეთი (შუმერ - აქადის სახელმწიფოები, ბაბილონი, ასურეთი);

დ.ე) ხეთების სამეფო;

დ.ვ) ურარტუ;

დ.ზ) ფინიკია;

დ.თ) იუდეა და ისრაელი - იუდაიზმი;

დ.ი) აქემენიანთა იმპერია - ზოროასტრიზმი;

დ.კ) ძველი ჩინეთი - კონფუციანობა;

დ.ლ) ძველი ინდოეთი - ინდუიზმი, ბუდიზმი.

დ.მ) ადგილმდებარეობა, სახელმწიფო მმართველობის სისტემა, სოციალური სისტემა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკა, განათლება, კულტურა და რელიგია)

ე) ქართველი ხალხის წარმომავლობის საკითხი

ე.ა) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა უძველესი გაერთიანებები. დიაოხი და კოლხა.

ე) ძველი საბერძნეთი, ელინიზმი და რომი:

ე.ა) საბერძნეთის მდებარეობა, ბუნებრივი პირობები, კრეტა- მიკენი; არქაული ეპოქა - დიდი ბერძნული კოლონიზაცია; კლასიკური ეპოქა - ათენი; სპარტა; ბერძენ-სპარსელთა ომები; პელოპონესის ომი; ბერძნული პოლისის კრიზისი;

ე.ბ) სახელმწიფო სისტემა;

ე.გ) სოციალ - ეკონომიკური სისტემები;

ე.დ) განათლება;

ე.ე) ძველი ბერძნული რელიგია (დემეტეების პანთეონი, სპორტული თამაშები).

ე.ვ) ძველი ბერძნული კულტურა (თეატრი, არქიტექტურა, ქანდაკება, ფერწერა, ლიტერატურა, მეცნიერება, ფილოსოფია, ისტორიოგრაფია).

ე.ზ) ალექსანდრე მაკედონელის იმპერია და მისი დაცემა.

ე.თ) ელინისტური ეპოქა.

ე.ი) იტალიის მდებარეობა, ბუნებრივი პირობები; ეტრუსკები; რომის დაარსება - მეფობის ეპოქა; რომის რესპუბლიკა (მმართველობის სისტემა, სოციალ-ეკონომიკური სისტემა, პატრიციები და პლებეები; დაპყრობითი ომები, რესპუბლიკის კრიზისი, სამოქალაქო ომები);

ე.კ) რომის იმპერია ახ. წ. I - II საუკუნეებში - პრინციპატი:

ვ.ლ) იმპერატორის ხელისუფლება და მმართველობის სისტემა; სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, საგარეო და საშინაო პოლიტიკა: ოქტავიანე, კალიგულა. ნერონი, ვესპასიანე. რომი ახ. წ. II საუკუნეში - ძლიერების მწვერვალი: ტრაიანე, ადრიანე, ანტონიუს პიუსი, მარკუს ავრელიუსი;

ვ.მ) ქრისტიანული რელიგია:

ვ.ნ) ქრისტიანობის წარმოშობა. ქრისტიანული რელიგიური მოძღვრება. ქრისტიანობის გავრცელება და მისი დევნა;

ვ.ო) რომის იმპერია ახ. წ. III – V საუკუნეებში - დომინატი:

ვ.პ) დიოკლეტიანეს რეფორმები და დომინატის დამყარება. კონსტანტინეს რეფორმები. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება; რომის იმპერიის ორად გაყოფა; რომი და ბარბაროსები; დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა);

ვ.ჟ) კულტურა ძველ რომში (არქიტექტურა, ლიტერატურა, რელიგია. „პური და სანახაობა“, ისტორიოგრაფია).

ზ) საქართველო ანტიკურ ხანაში:

ზ.ა) ეგრისის სამეფო ძვ. წ. VI-III სს. და ბერძნული ახალშენები.

ზ.ბ) ქართლის (იბერიის) სამეფო-სახელმწიფო მმართველობის სისტემა, საზოგადოებრივი (სოციალური) ურთიერთობები, საგარეო პოლიტიკა (ურთიერთობა ელინისტურ სახელმწიფოებთან, რომთან და პართიასთან).

ზ.გ) ანტიკური ხანის ქართული კულტურა და რელიგია.

თ) სასანიანთა ირანი - ტერიტორია, სახელმწიფო მმართველობის სისტემა, ბიზანტიასთან ურთიერთობა, სასანიანთა ირანის კავკასიური პოლიტიკა. რელიგიური ექსპანსია.

ი) ბიზანტიის იმპერია IV- XV:

ი.ა) სახელმწიფო მმართველობის სისტემა; იუსტინიანე დიდი და “რომის სამართლის კრებული;” ურთიერთობა ბარბაროსულ სახელმწიფოებთან. ირან-ბიზანტიის ომები. იბერია და ეგრისი ირან-ბიზანტიის დაპირისპირებაში;

ი.ბ) არაბები და ბიზანტიის იმპერია; ჰერაკლე კეისარი. ხატთაყვანისმცემლობა და ხატმებრძოლეობა; განხეთქილება მსოფლიო ქრისტიანულ ეკლესიაში;

ი.გ) თურქ-სელჩუკები და ბიზანტია;

ი.დ) ბიზანტია და ჯვაროსნები.

ი.ე) ბიზანტიის დასუსტება და დაცემა (XII-XVსს.).

ი.ვ) ბიზანტიური კულტურა: არქიტექტურა, იკონოგრაფია, მეცნიერება, განათლება, მწერლობა.

კ) არაბები - მუჰამედი და ისლამი; სახალიფოს ჩამოყალიბება; არაბთა დაპყრობები; სუნიტები და შიიტები. მუსლიმთა რელიგიური პოლიტიკა; სახალიფოს კრიზისი;

მუსლიმური კულტურა (არქიტექტურა, ლიტერატურა, მეცნიერება)

ლ) თურქ - სელჩუკები - სელჩუკთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება. სელჩუკთა დაპყრობები. სახელმწიფოს დასუსტება და დაშლა.

მ) მონღოლები - მონღოლთა სახელმწიფოს შექმნა - ჩინგიზ ყაენი. მონღოლთა დაპყრობები, მონღოლთა სახელმწიფოები.

ნ) ოსმალები - ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება. რელიგიური პოლიტიკა. დაპყრობითი ომები. ევროპისა და ოსმალთა ურთიერთობა. ოსმალეთის იმპერიის დასუსტება.

ო) ჩინეთი - VII – XV სს.

პ) ინდოეთი - VII – XV სს.

ჟ) დასავლეთ ევროპა შუა საუკუნეებში (V - XIV სს.):

ჟ.ა) ხალხთა დიდი გადასახლება; ფრანკების სამეფო (მეროვინგები. „სალიკური სამართალი“, კაროლინგების იმპერია: კარლოს დიდი, „კაროლინგული რენესანსი“; ფრანკების იმპერიის დაცემა;

- ჟ.ბ) ფეოდალიზმი დასავლეთ ევროპაში;
- პ.გ) რაინდობა;
- ჟ.დ) შუა საუკუნეების ქალაქი;
- ჟ.ე) სოფელი შუა საუკუნეებში;
- ჟ.ვ) ვაჭრობა და ხელოსნობა, მანუფაქტურები;
- ჟ.ზ) ეკლესია შუა საუკუნეებში - კათოლიკობა და მართლმადიდებლობა; ერესი; მსოფლიო საეკლესიო კრებები; რომის პაპი და მართლმადიდებელი პატრიარქები; ეკლესია და სახელმწიფო; განდევნილობა და მონასტრები; კათოლიკური ორდენები.
- ჟ.თ) ჯვაროსნული ლაშქრობები;
- ჟ.ი) წოდებრივ - წარმომადგენლობითი მონარქიების ჩამოყალიბება.
- ჟ.კ) განათლება შუა საუკუნეებში - სკოლები და უნივერსიტეტები.
- ჟ.ლ) შუა საუკუნეების ევროპული ხელოვნება: არქიტექტურა, იკონოგრაფია, მეცნიერება, ლიტერატურა.
- ჟ.მ) ინგლისი - X - XV სს.
- ჟ.ნ) საფრანგეთი - X - XV სს.
- ჟ.ო) საღვთო რომის იმპერია - X - XV სს.
- ჟ.პ) ესპანეთი - VII - XV სს.
- ჟ.ჟ) იტალიის ქალაქები - VII - XV სს.
- რ) რუსეთი X - XVII სს:
- რ.ა) კიევის რუსეთის წარმოშობა. რუსეთის გაქრისტიანება. მონღოლების მიერ რუსეთის დაპყრობა. რუსეთის გაერთიანება მოსკოვის ირგვლივ. III რომის იდეა. ივანე მრისხანე. რუსეთის დაპყრობები და ტერიტორიული გაფართოება.
- ს) საქართველო IV-XIV სს:
- ს.ა) ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება; ვახტანგ გორგასალი; "დიდი ომიანობა"; სომეხ - ქართველთა საეკლესიო განხეთქილება; მეფობის გაუქმება ქართლში. ერისმთავრობის ინსტიტუტი;
- ს.ბ) არაბობა საქართველოში (ჰაბიბ იბნ-მასლამას "დაცვის სიგელი," მურვან ყრუსა და ბუღა თურქის ლაშქრობები, არაბთა მმართველობის სისტემა საქართველოში);
- ს.გ) ადრეფეოდალური ხანის ქართული კულტურა: სამონასტრო ცხოვრება, ასურელი მამები, გრიგოლ ხანძთელი, არქიტექტურა.
- ს.დ) სამეფო-სამთავროების წარმოშობა.
- ს.ე) პატრონჟიმობა საქართველოში.
- ს.ვ) საქართველოს ერთიანი სახელმწიფო.
- ს.ზ) საქართველო XI საუკუნეში - საქართველოს გაერთიანების დასაწყისი - დავით კურაპალატი; ბაგრატ III.
- ს.თ) ბიზანტია და საქართველო - გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი მთაწმინდელი.
- ს.ი) საქართველო და თურქ - სელჩუკები - გიორგი II.
- ს.კ) საქართველოს გაერთიანება - დავით IV აღმაშენებელი; დავითის მემკვიდრეები - დემეტრე I; გიორგი III.
- ს.ლ) თამარ მეფის ეპოქა.
- ს.მ) ქართული კულტურა XII-XIII საუკუნეებში: ქალაქები, განათლება, საერო და სასულიერო მწერლობა, საისტორიო მწერლობა, არქიტექტურა, იკონოგრაფია.
- ს.ნ) მონღოლთა ბატონობა საქართველოში - მონღოლური მმართველობის დამყარება საქართველოში.
- ს.ო) ორმეფობა საქართველოში, ხალხის აღწერა და მონღოლური გადასახადები.

- ს.პ) დემეტრე თავდადებული.
- ს.ჟ) გიორგი V ბრწყინვალე.
- ს.რ) თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში და მისი შედეგები.
- ტ) დასავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა, რუსეთი ახალ დროში (XV-XIX სს.):
- ტ.ა) რენესანსი (მსოფლმხედველობა, მეცნიერება, ხელოვნება);
- ტ.ბ) რეფორმაცია (მარტინ ლუთერი, კალვინიზმი, რეფორმაცია ინგლისში, კონტრრეფორმაცია).
- ტ.გ) კოლუმბამდელი ამერიკის ცივილიზაციები: (მაია, აცტეკები და ინკები).
- ტ.დ) დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები (ვასკო და გამა, კოლუმბი, მაგელანი).
- ტ.ე) აბსოლუტიზმი
- ტ.ვ) საფრანგეთი - (რიშელიე, მაზარინი, ლუი XIV, მერკანტილიზმი);
- ტ.ზ) ინგლისი - თიუდორები;
- ტ.თ) საღვთო რომის იმპერია - ჰაბსბურგები;
- ტ.ი) ესპანეთი - ჰაბსბურგები
- ტ.კ) რუსეთის იმპერია - პეტრე I; ეკატერინე II.
- ტ.ლ) კოლონიალიზმის დასაწყისი.
- ტ.მ) ნიდერლანდების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის.
- ტ.ნ) ინგლისის რევოლუცია (სამოქალაქო ომი, კრომველი, რევოლუციის შედეგები).
- ტ.ო) ორთქლის მანქანა და სამრეწველო გადატრიალება.
- ტ.პ) ამერიკის კოლონიზაცია ინგლისელების მიერ; ომი დამოუკიდებლობისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა, ჯორჯ ვაშინგტონი, 1787 წლის კონსტიტუცია; სამოქალაქო ომი აშშ-ში.
- ტ.ჟ) განმანათლებლობა (ფრანგი განმანათლებლები, ეკონომიკური თეორიები ფიზიოკრატები, ადამ სმიტი);
- ტ.რ) საფრანგეთის დიდი რევოლუცია (აბსოლუტიზმის კრიზისი, მონარქიის დამხობა, იაკობინელთა დიქტატურა, რევოლუციის შედეგები);
- ტ.ს) ნაპოლეონის ეპოქა (ნაპოლეონის აღზევება, ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკა და საომარი კამპანიები; კონტინენტური ბლოკადა, 1812 წლის საომარი კამპანია რუსეთში, ბრძოლა ლაიფციგთან, ვატერლოოს ბრძოლა).
- ტ.ტ) რევოლუციების ხანა ევროპაში.
- ტ.უ) ინდუსტრიული რევოლუცია.
- ტ.ფ) იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი - ინგლისი, რუსეთი, საფრანგეთი, ესპანეთი.
- ტ.ქ) ევროპა XIX საუკუნის მეორე ნახევარში - საფრანგეთის მესამე რესპუბლიკა, გერმანიის გაერთიანება, იტალიის გაერთიანება, ალექსანდრე II-ის რეფორმა.
- ტ.ღ) ურბანიზაცია, სოციალური ცვლილებები; მუშათა მოძრაობა, მარქსიზმი);
- ტ.ყ) დასავლური კულტურა XVI-XIX სს.
- უ) საქართველო XV-XVIII სს:
- უ.ა) ალექსანდრე დიდი; გიორგი VIII და ქვეყნის დაშლა სამეფო-სამთავროებად; ბრძოლა ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ XVI-XVII სს. (ბრძოლა სიხოსტასთან, ამასიის ზავი, ლუარსაბ I და სიმონ I, სამცხე-საათაბაგოსა და აჭარის ოსმალეთის მფლობელობაში გადასვლა, თეიმურაზ I და ლუარსაბ II, გიორგი სააკაძე); ვახტანგ VI; თეიმურაზ II და ერეკლე II; სოლომონ I; საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVI-XVIII სს; ქართული კულტურა XV-XVIII სს;
- ფ) საქართველო XIX საუკუნეში:
- ფ.ა) რუსეთის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმება; აჯანყებები ქართლის მთიანეთში, კახეთში, იმერეთსა და გურიაში, 1832 წლის შეთქმულება; რუსეთის მთავრობის პოლიტიკა

საქართველოში 30-50-იან წლებში; რუსეთ-ირანის ომები და საქართველო; რუსეთ-თურქეთის ომები და საქართველო; ბატონყმობის გაუქმება საქართველოში; 60-70-იან წლების რეფორმები; “თერგდალეულები;” მარქსისტული მოძრაობა საქართველოში; პოლიტიკური მიმდინარეობებისა და პარტიების ჩამოყალიბება; ქართული კულტურა XIX საუკუნეში.

ქ) XX საუკუნე:

ქ.ა) საქართველო და მსოფლიო XX საუკუნის პირველ ნახევარში: I მსოფლიო ომი; რევოლუციები და სამოქალაქო ომი რუსეთში ;

ქ.ბ) პარიზის სამშვიდობო კონფერენცია;

ქ.გ) საქართველო 1918-1921 წლებში;

ქ.დ) საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში (20-იანი წლების დასაწყისის განმათავისუფლებელი აჯანყებები; კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია; პოლიტიკური რეპრესიები...);

ქ.ე) ევროპა პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის, ტოტალიტარული სახელმწიფოები - გერმანია, იტალია, საბჭოთა კავშირი.

ქ.ვ) აშშ - დიდი დეპრესია.

ქ.ზ) დასავლური კულტურა XX საუკუნის პირველ ნახევარში.

ქ.თ) II მსოფლიო ომი და საქართველო; II მსოფლიო ომის შედეგები. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საფუძვლები (შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვა, ომის წარმართვის მეთოდებისა და საშუალებების შეზღუდვა);

ქ.ი) მსოფლიო და საქართველო XX საუკუნის მეორე ნახევარსა და XXI საუკუნის დასაწყისში: ცივი ომი, ცივი ომის დროინდელი კონფლიქტები (მაგ.: კარიბის კრიზისი, ვიეტნამის ომი, ავღანეთის ომი...); “პერესტროიკა” და სსრკ-ის დაშლა; მსოფლიო და საქართველო პოსტსაბჭოთა ეპოქაში.

ქ.კ) XX საუკუნის დასავლური კულტურა.

ქ.ლ) XX საუკუნის ქართული კულტურა.

### **გეოგრაფია**

ა) გეოგრაფიის შესავალი:

ა.ა) გეოგრაფიის შესწავლის საგანი, ამოცანები, ობიექტი და მიზნები;

ა.ბ) გეოგრაფიული იდეების ჩამოყალიბების (ფორმირების) ისტორია; მოგზაურები და მოგზაურობები; დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები; ქართული გეოგრაფიული აზროვნების განვითარება და გეოგრაფიის ფუძემდებლები.

ა.გ) გეოგრაფიული ცნებები და ტერმინები;

ა.დ) გეოგრაფიის და გეოგრაფიული ცოდნის მნიშვნელობა;

ა.ე) თანამედროვე გეოგრაფიული მეცნიერების სისტემა;

ა.ვ) გეოგრაფიული კვლევის მეთოდები: ტრადიციული (აღწერილობითი, შედარებით გეოგრაფიული, კარტოგრაფიული) და თანამედროვე (მათემატიკური, აეროკოსმოსური, გეოინფორმაციული, მოდელირება); გეოგრაფიული პროგნოზირება;

ა.ზ) მდგრადი განვითარების კონცეფცია.

ბ) სივრცეში ორიენტაცია:

ბ.ა) რუკა, რუკის ენა; გლობუსი; ადგილის გეგმა; კომპასი; ჰორიზონტის მხარეები, გრადუსთა ბადე, გრძედი და განედი, ტროპიკები და პოლარული წრეები;

ბ.ბ) დედამიწის წლიური და დღეღამური მოძრაობა;

ბ.გ) სასაათო სარტყელები, თარიღთა ცვლის ხაზი;

ბ.დ) მასშტაბი; კარტოგრაფიული პროექციები; სხვადასხვა ხელსაწყოთი აზომვების ჩატარება (რუკასა და ველზე).

გ) ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები:

გ.ა) ატმოსფეროს აგებულება და შედგენილობა; ამინდი და კლიმატი; ტემპერატურის ცვლილება განედის, სიმაღლის და ოკეანესთან სიახლოვის მიხედვით; ქარები, მათი წარმოშობა და გავრცელების კანონზომიერებები; ნალექები, მათი წარმოშობა და გავრცელების კანონზომიერებები;

გ.ბ) ამინდის პროგნოზი; მეტეოროლოგიური ხელსაწყოების გამოყენების პრინციპი; კლიმატური სარტყელები; კლიმატის გავლენა მიწათმოქმედებაზე, ტრანსპორტზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე; ატმოსფეროსთან დაკავშირებული კატასტროფული მოვლენები; ატმოსფეროს დაცვა.

გ.გ) ჰიდროლოგია: მდინარეები, ტბები, მყინვარები, მიწისქვეშა წყლები, ჭაობები, წყალსაცავები; მათი მდებარეობა, ძირითადი მახასიათებლები და მნიშვნელობა; გავლენა რელიეფზე, კლიმატზე, მოსახლეობაზე, მეურნეობაზე; წყლის რესურსების მოცულობა, გამოყენება, დაცვა. წყალთან დაკავშირებული კატასტროფული მოვლენები;

გ.დ) ზღვებისა და ოკეანეების მდებარეობა და განფენილობა; მარილიანობა, სიღრმე, სრუტეები, ყურეები, მიქცევა-მოქცევა, დინებები, სამეურნეო გამოყენება, დაბინძურება, დაცვა;

გ.ე) დედამიწის შინაგანი აგებულება; ლითოსფეროს ფილების მოძრაობა; დედამიწის ზედაპირის ცვლილება: ვულკანები და მიწისძვრები; რელიეფი, გეოლოგიური პერიოდები (გეოქრონოლოგია), ტექტონიკა, ენდოგენური და ეგზოგენური პროცესები; წიაღისეული რესურსები, რესურსების მდგრადი გამოყენება; აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, რელიეფის ფორმები და ტიპები, მისი გავლენა კლიმატზე, მცენარეებზე, ცხოველებზე, მეურნეობაზე;

გ.ვ) ნიადაგის ტიპები და ნაყოფიერება, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. ბუნებრივი ზონები, სიმაღლებრივი სარტყლოება; სახასიათო ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტები; ბიომრავალფეროვნება, მათი დაცვა, კონსერვაცია.

გ.ზ) გეოგრაფიული გარსი და მისი ძირითადი კანონზომიერებები.

დ) საზოგადოებრივი გეოგრაფია:

დ.ა) გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები;

დ.ბ) ბუნებრივი რესურსები (გავრცელება, მნიშვნელობა, მდგრადი გამოყენება); ბუნებრივი რესურსები და მეურნეობის დარგები; რესურსების კლასიფიკაცია ამოწურვადობის მიხედვით; მიწის, წყლის, აგროკლიმატური, ტყის, მსოფლიო ოკეანის რესურსები;

დ.გ) მოსახლეობა: მსოფლიოს დემოგრაფიული ვითარება (ისტორიული წარსულიდან დღემდე); სხვაობები და მსგავსებები ქვეყნების მიხედვით; მოსახლეობის რასები, ეთნიკური და რელიგიური სტრუქტურა (გავრცელება); შობადობა, მოკვდაობა, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, შრომითი რესურსები;

დ.დ) რეგიონების და ქვეყნების სოციალურ-დემოგრაფიული კლასიფიკაცია (სიცოცხლის ხანგრძლივობის, შობადობის, მოკვდაობის, ჯანდაცვის და განათლების დონის მიხედვით); დემოგრაფიული გადასვლა; დემოგრაფიული პოლიტიკა;

დ.ე) მიგრაცია;

დ.ვ) ურბანიზაცია და განსახლება; მოსახლეობის სიმჭიდროვე; დასახლების ტიპები;

დ.ზ) მეურნეობის დარგები (ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ტრანსპორტი, ვაჭრობა, მრეწველობა, კომუნიკაციები);

დ.თ) პოლიტიკური გეოგრაფია და გეოპოლიტიკა;

დ.ი) მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ფორმირება;

დ.კ) ქვეყნების ტიპოლოგია ტერიტორიის სიდიდის, მოსახლეობის რიცხოვნობის, გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი რესურსების მიხედვით;

დ.ლ) ქვეყნები მმართველობის ფორმის და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით;

დ.მ) ქვეყნები საერთაშორისო სტატუსის და საგარეო პოლიტიკური კურსის მიხედვით;

დ.ნ) მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციები (გაერთიანებები);

დ.ო) ქვეყნები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით (ჰუმანური განვითარების ინდექსი);

დ.პ) რეგიონებად დაყოფის პრინციპები და ძირითადი რეგიონები; გაეროს ქვეყნების ტიპოლოგია;

დ.ჟ) გლობალიზაციის პროცესი და გლობალიზაციის ინდექსი;

დ.რ) კაცობრიობის მდგრადი განვითარების პერსპექტივა;

დ.ს) უმნიშვნელოვანესი გლობალური პრობლემები: პოლიტიკური, სოციალურ- ეკონომიკური, ბუნებრივი და ანთროპოგენური; მათი მახასიათებლები და მოგვარების გზები.

ე) საქართველოს გეოგრაფია:

ე.ა) ტერიტორიის ფორმირება; მდებარეობა (ფიზგეოგრაფიული, გეოპოლიტიკური, სატრანსპორტო-გეოგრაფიული და სხვა) და საზღვრები; საქართველო და კავკასია; ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა და რეგიონები;

ე.ბ) ბუნება (მნიშვნელოვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები: რელიეფი, ჰავა, შიგა წყლები; ნიადაგები; მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო);

ე.გ) ბუნებრივი რესურსები;

ე.დ) მოსახლეობა (გეოგრაფია, აღწერა, დემოგრაფია, მიგრაცია, ურბანიზაცია, დასახლების ტიპები); მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური სტრუქტურა;

ე.ე) სახასიათო ბუნებრივი (ზღვის, მთის, ტყის, ბარის) და ანთროპოგენური (აგრარული, ინდუსტრიული) ლანდშაფტები;

ე.ვ) ინფრასტრუქტურა; მეურნეობის დარგები;

ე.ზ) კულტურული მრავალფეროვნება;

ე.თ) საქართველო და ჰუმანური განვითარების ინდექსი; საქართველოს პარტნიორი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

ე.ი) გარემოსდაცვითი პრობლემები და სტიქიური მოვლენები; ბუნების დაცვა (სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი, დაცული ტერიტორიები, წითელი წიგნი და სხვა).

### **სამოქალაქო განათლება**

ა) საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლები და ძირითადი ცნებები:

ა.ა) სამყაროს, ადამიანისა და საზოგადოების წარმოშობის ძირითადი თეორიები;

ა.ბ) პიროვნული განვითარების კანონზომიერებები;

ა.გ) მდგრადი განვითარების თეორია;

ა.დ) საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ ძირითადი თეორიები;

ე.ა) მოსწავლეთათვის ისეთი დავალებების/ამოცანების შეთავაზება, რომლებიც ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას;

ე.ბ) მოსწავლეთათვის ისეთი დავალებების/ამოცანების შეთავაზება, რომელთა გადაჭრაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას;

ე.გ) სოციალურ-კულტურული და კულტურული თვალსაზრისით მდიდარი რესურსების შერჩევა და მათზე დაფუძნებით ისეთი აქტივობების აგება, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესს გამოიწვევს;

ე.დ) ისეთი აქტივობების შერჩევა ან შედგენა, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გაავლონ პარალელი უცხოურ და მშობლიურ სოციოკულტურულ სამყაროებს შორის, ამოიცნონ და გააანალიზონ მსგავსებები და განსხვავებები, დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულებები.

ვ) პირველი უცხოური ენის და მეორე უცხოური ენის სწავლების სპეციფიკის გათვალისწინება და გამოყენება.

### თავი XVIII

(ამოღებულია)

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

### თავი XIX

(ამოღებულია)

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

### თავი XX

(ამოღებულია)

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

### თავი XXI

## სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

#### მუხლი 55. სპეციალური მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები

##### 1. სასწავლო გარემო

ა) სპეციალური მასწავლებელი ქმნის და/ან ეხმარება საგნის მასწავლებელს/ებს სსსმ მოსწავლისათვის ადეკვატური სასწავლო გარემოს შექმნაში, რომელიც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლის სენსო-მოტორულ, კოგნიტურ, ემოციურ და სოციალურ განვითარებას, სსსმ მოსწავლის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისებას, ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას; მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და ინტეგრირებას სასწავლო პროცესში;

ბ) სპეციალურ მასწავლებელს შეუძლია, ხელი შეუწყოს სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდას;

გ) სპეციალურ მასწავლებელს შეუძლია, დაეხმაროს საგნის მასწავლებელს/ებს, როგორც სსსმ მოსწავლის კლასში ქცევის, ასევე, ზოგადად, კლასის მართვაში;

დ) სპეციალური მასწავლებელი იცნობს და სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში იყენებს კომუნიკაციის დამხმარე და ალტერნატიულ ტექნოლოგიებს (მაგ.: სურათებით კომუნიკაციის სისტემა),

მოსწავლის კომუნიკაციასთან დაკავშირებული სირთულეების დასაძლევად;

ე) სპეციალური მასწავლებელი ეხმარება/ასწავლის კომუნიკაციის სირთულეების მქონე სსსმ მოსწავლეს კომუნიკაციის დამხმარე ან ალტერნატიული საშუალებებით ურთიერთობას და სწავლის პროცესში მათ გამოყენებას;

ვ) სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება საგნის მასწავლებელს/ებს, მშობლებსა და სხვა სპეციალისტებს, გამოიყენონ კომუნიკაციის დამხმარე და ალტერნატიული ტექნოლოგიები იმ მოსწავლეებთან ურთიერთობისას, რომელთაც კომუნიკაციის სირთულეები აქვთ;

ზ) სპეციალურ მასწავლებელს შეუძლია ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია, სსსმ მოსწავლის საჭიროებებისა და სასწავლო ინტერესების შესაბამისად, და იყენებს ამ ცოდნას პრაქტიკულ საქმიანობაში;

თ) სპეციალური მასწავლებელი ბავშვთან, მშობელთან, მეურვესთან, აღმზრდელთან (თუ ბავშვი სკოლა-პანსიონში ირიცხება) მუშაობის პროცესში იყენებს დამოუკიდებელი ცხოვრების პრინციპებს და უსაბუთებს მათ ამ მიდგომის უპირატესობას;

ი) სპეციალურმა მასწავლებელმა იცის, რა გავლენას ახდენს გარემოში არსებული მოლოდინები ბავშვის/მოზარდის აკადემიურ მიღწევასა და ქცევაზე.

## 2. შეფასება

ა) სპეციალური მასწავლებელი ახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ადრეულ იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ან ამ რისკის ქვეშ მყოფი პირის დროულ მიმართვას შესაბამის სპეციალისტთან;

ბ) სპეციალური მასწავლებელი აფასებს მოსწავლის სასწავლო გარემოს, სწავლისა და ქცევის სიძნელეებს და სწავლის სტრატეგიებს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით (მაგ.: მოსწავლეზე დაკვირვება სხვადასხვა საგანმანათლებლო გარემოში; სხვა სპეციალისტისგან და მშობლებისგან/მეურვეისგან/აღმზრდელისგან ინფორმაციის მიღება და/ან ინტერვიუს წარმოება, სასწავლო გარემოს შეფასება და სხვ.);

გ) სპეციალური მასწავლებელი იყენებს სსსმ მოსწავლის შეფასების შედეგებს მოსწავლის საგანმანათლებლო უფლებების დასაცავად;

დ) სპეციალური მასწავლებელი იყენებს სსსმ მოსწავლის შეფასების შედეგებს მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებთან დაკავშირებული სამუშაო გეგმის შესადგენად და განსახორციელებლად;

ე) სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში იყენებს სხვადასხვა სპეციალისტის მიერ ჩატარებული მოსწავლის შეფასების შედეგებს (საგნის მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი და სხვა);

ვ) სპეციალურ მასწავლებელს, მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების საფუძველზე, შეუძლია, რეკომენდაცია გაუწიოს მშობელს/მეურვეს, სკოლას, რომელი კონკრეტული სპეციალისტის ან სპეციალისტთა ჯგუფის ჩართვაა საჭირო ბავშვთან მუშაობის პროცესში;

ზ) სპეციალური მასწავლებელი, სსსმ მოსწავლის შეფასებისას, ითვალისწინებს მოსწავლის ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ, სქესობრივ და სხვა თავისებურებებს (უნიკალობას).

## 3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ა) სპეციალურ მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების საფუძველზე დაადგინოს და არგუმენტირებულად დაასაბუთოს, რომ მოსწავლეს ესაჭიროება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით განათლების მიღება;

ბ) სპეციალურ მასწავლებელს აქვს ადეკვატური მოლოდინი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის აკადემიურ მიღწევასთან დაკავშირებით და ამის მიხედვით ისახავს საგანმანათლებლო მიზნებს;

გ) სპეციალურ მასწავლებელს შეუძლია მართოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მომუშავე გუნდის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის/გადახედვის პროცესი;

დ) სპეციალურ მასწავლებელს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგი;

ე) სპეციალური მასწავლებელი, საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელთან, დამრიგებელთან, სხვა სპეციალისტებთან და მშობლებთან/მეურვესთან ერთად მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებაში;

ვ) სპეციალური მასწავლებელი საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელთან, დამრიგებელთან, სხვა სპეციალისტებთან და მშობლებთან/მეურვესთან ერთად შეიმუშავებს და ახორციელებს მოსწავლის მიერ დასწავლილი უნარების სხვადასხვა გარემოში გამოყენების გეგმას;

ზ) სპეციალური მასწავლებელი ითვალისწინებს ეთნიკურ, რელიგიურ, ლინგვისტურ, სქესობრივ და სხვა თავისებურებებს (უნიკალობას) სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში;

თ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს და იყენებს პრობლემური ქცევის მართვის სტრატეგიებს;

ი) სპეციალური მასწავლებელი იცავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განათლების უფლებებს და ასწავლის სსსმ მოსწავლეს საკუთარი უფლებების დაცვას.

4. სსსმ მოსწავლესთან/მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა

ა) სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად მუშაობს სსსმ მოსწავლესთან ან მოსწავლეთა მცირე ჯგუფთან (რესურსოთახში, კლასში ან კლასის გარეთ), მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარებისა თუ ქცევის გაუმჯობესებისა და დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის მიზნით;

ბ) სპეციალურ მასწავლებელს შეუძლია მოამზადოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი სასწავლო გარემოსთან დაკავშირებული ცვლილებებისთვის.

5. საბაზო აკადემიური უნარების განვითარება

ა) სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, ასწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს წერას, კითხვასა და ანგარიშს;

ბ) სპეციალური მასწავლებელი ასწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს სწავლის დამხმარე სტრატეგიებს.

თანამშრომლობა

ა) სპეციალური მასწავლებელი თანამშრომლობს საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელთან, ფსიქოლოგთან, ოკუპაციურ თერაპევტთან, მედიცინის მუშაკთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა პირებთან, სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში ინტეგრირების მიზნით და, საჭიროების შემთხვევაში, კოორდინირებას უწევს მათ მუშაობას მოსწავლესთან;

ბ) სპეციალური მასწავლებელი ეფექტურად თანამშრომლობს სსსმ მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან; აღმზრდელთან (თუ ბავშვი სკოლა-პანსიონში ირიცხება); აცნობს მშობელს/მეურვეს, აღმზრდელს ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებებს; აძლევს მათ რეკომენდაციებს მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებზე დამატებითი ღონისძიებების მისაღებად;

გ) სპეციალური მასწავლებელი ეხმარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობელს/მეურვეს, აქტიურად ჩაერთოს მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესში და საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში;

დ) სპეციალური მასწავლებელი ითვალისწინებს მშობლის/მეურვეს, ბავშვის ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს;

ე) სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, ესწრება გაკვეთილს და სსსმ მოსწავლეს განუმარტავს საგნის მასწავლებლის ინსტრუქციებს და ეხმარება მას დავალების შესრულებაში;

ვ) სპეციალური მასწავლებელი, სასწავლო პროცესის დაკვირვების შედეგად, რეკომენდაციას უწევს საგნის მასწავლებელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლებისა და ქცევის მართვის სტრატეგიებთან დაკავშირებით;

ზ) სპეციალური მასწავლებელი თანამშრომლობს სკოლის ადმინისტრაციასთან, სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე, დამატებითი მატერიალური და ადამიანური რესურსის ჩართვის მიზნით;

თ) სსსმ მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, სპეციალური მასწავლებელი თანამშრომლობს ახალი სკოლის სპეციალურ მასწავლებელთან, საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა პირებთან, სსსმ მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესში მიღწეული წარმატებებისა და სხვა საჭიროებების გაცნობის მიზნით;

ი) სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, აძლევს რჩევებს განათლების სხვა სფეროების წარმომადგენლებს (სახელობო, პროფესიული და უმაღლესი განათლება), სსსმ მოსწავლის სკოლის შემდგომი განათლებისა და მისი საზოგადოებაში ინტეგრირების მიზნით.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

### **მუხლი 56. სპეციალური მასწავლებლის პროფესიული ცოდნა**

სპეციალურმა მასწავლებელმა იცის:

ა) სპეციალურმა მასწავლებელმა იცის სპეციალური და ინკლუზიური განათლების ისტორიული და ფილოსოფიური საფუძვლები, ინკლუზიური განათლების რაობა; იცის მსგავსება და განსხვავება ინკლუზიურ განათლებასა და სპეციალურ განათლებას შორის;

ბ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს პროფესიულ ცოდნას შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების სოციალურ და სამედიცინო მოდელებს შორის არსებული მსგავსებისა და განსხვავების შესახებ;

გ) სპეციალური მასწავლებელი იცნობს დამოუკიდებელი ცხოვრების ფილოსოფიას;

დ) სპეციალური მასწავლებელი იცნობს საერთაშორისო და სახელმწიფოებრივ დოკუმენტებს, რომლებიც არეგულირებს სპეციალურ და ინკლუზიურ განათლებას საქართველოში;

ე) სპეციალურმა მასწავლებელმა იცის ქვეყანაში დამკვიდრებული ტერმინოლოგია და ზრუნავს სასწავლო პროცესში არაეთიკური ტერმინების (მაგ.: გონებაშეზღუდული; დეფექტური და ა.შ.) აღმოფხვრასა და ადეკვატური პროფესიული ტერმინების დამკვიდრებაზე;

ვ) სპეციალური მასწავლებელი იცნობს სხვადასხვა სახის დარღვევას, რომელიც ხელს უშლის ინდივიდს სწავლასა და დამოუკიდებელ ფუნქციონირებაში; იცის, რა გავლენას ახდენს ეს დარღვევები მოსწავლის სწავლასა და განვითარებაზე (იხ. დანართი 1);

ზ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს პროფესიულ ცოდნას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) მოსწავლის სწავლების მეთოდოლოგიების, სწავლების სტრატეგიებისა და დახმარების ტექნოლოგიების შესახებ;

თ) სპეციალურმა მასწავლებელმა იცის ბავშვის განვითარებაზე მოქმედი ინდივიდუალური (პიროვნული) და გარემო ფაქტორები; იცის, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამ ფაქტორებმა სსსმ მოსწავლის სწავლასა და განვითარებაზე;

ი) სპეციალური მასწავლებელი ფლობს საბაზო აკადემიური უნარების (წერა, კითხვა და ანგარიში) განვითარების მეთოდებსა და სტრატეგიებს, სსსმ მომოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით;

კ) სპეციალურმა მასწავლებელმა იცის პრობლემური ქცევის მართვის სტრატეგიები.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

### **მუხლი 56. მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი**

1. მხედველობის დარღვევის მქონე სპეციალური მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები:

ა) სპეციალურ მასწავლებელს შეუძლია, ოფთალმოლოგთან მჭიდრო თანამშრომლობით, შეაფასოს მხედველობის დარღვევის მქონე ინდივიდის მხედველობა და დაადგინოს, რა სახის ტექნიკური აღჭურვილობა ესაჭიროება მას;

ბ) სპეციალური მასწავლებელი, მოსწავლის მშობელთან, ფსიქოლოგთან და სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობით, აფასებს მხედველობის დარღვევის მქონე პირის აკადემიურ, სოციალურ, ქცევით უნარებს, დამოუკიდებლობის ხარისხსა და საგანმანათლებლო გარემოს;

გ) სპეციალური მასწავლებელი მხარდაჭერას უწევს კლასის მასწავლებელს მხედველობის დარღვევის მქონე პირებისთვის სასწავლო მასალის შერჩევაში, ორგანიზებასა და გამოყენებაში;

დ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს და იყენებს ბრაილის შრიფტის გამოყენების ტექნიკას და შეუძლია მისი სწავლება უსინათლო მოსწავლეებისა და მათი მშობლების/მეურვისთვის;

ე) სპეციალური მასწავლებელი ფლობს კომპენსატორული აუდიოუნარების სწავლების ტექნოლოგიას და იყენებს ამ ცოდნას სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში, როგორც თვალით კითხვის, ან ბრაილის შრიფტის სწავლების დამატებით ტექნიკას;

ვ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლისთვის ხელით წერისა და ხელმოწერის სწავლების სტრატეგიებს და იყენებს ამ ცოდნას სწავლა-აღმზრდელობით საქმიანობაში;

ზ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს და იყენებს კომპიუტერის კლავიატურის გამოყენების სწავლების ტექნოლოგიას მხედველობის დარღვევის მქონე პირებისთვის;

თ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს და იყენებს ადაპტირებული სამეცნიერო აღჭურვილობების (საანგარიშო, ხმოვანი გამომთვლელი მანქანა, ტაქტილური გრაფიკები და სხვ.) გამოყენების სწავლების ტექნოლოგიას მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის;

ი) სპეციალური მასწავლებელი ფლობს და იყენებს ნარჩენი მხედველობისა და სუსტადმხედველ მოსწავლეებთან მხედველობის დახვეწის ტექნოლოგიას, ადაპტირებული ნაბეჭდი მასალისა და ვიზუალური და სხვა ტექნიკური აღჭურვილობების გამოყენებით;

კ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს და იყენებს მხედველობის დარღვევის მქონე პირისთვის სოციალური და საყოფაცხოვრებო უნარების სწავლების მეთოდიკას;

ლ) სპეციალურ მასწავლებელს შეუძლია სპეციალური ტექნოლოგიების გამართვა, გამოყენება და შენახვა;

მ) სპეციალური მასწავლებელი აძლევს რჩევას მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეს, მშობელს/მეურვეს, დროულად მიმართოს შესაბამის სერვისებსა და დაწესებულებებს;

ნ) სპეციალური მასწავლებელი იძლევა პროფესიათა და კავშირებულ რჩევებს უსინათლო და სუსტადმხედველი მოსწავლეებისთვის.

## 2. მხედველობის დარღვევის მქონე სპეციალური მასწავლებლის პროფესიული ცოდნა:

ა) სპეციალური მასწავლებელი ფლობს პროფესიულ ცოდნას უსინათლო და სუსტადმხედველ მოსწავლეთა განათლების ისტორიული და ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ;

ბ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს პროფესიულ ცოდნას მხედველობის დარღვევის მქონე პირების სწავლების მეთოდოლოგიების, სწავლების სტრატეგიების და დახმარების ტექნოლოგიების შესახებ. იცნობს სწავლების მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომებს;

გ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს პროფესიულ ცოდნას ადამიანის მხედველობის სისტემის აგებულებისა და მისი ფუნქციონირების შესახებ; იცნობს ადამიანის მხედველობის სისტემასთან დაკავშირებული დარღვევებისა და დაავადებების თანამედროვე კლასიფიკაციას;

დ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს პროფესიულ ცოდნას მხედველობის დარღვევის გავლენის შესახებ ბავშვის განვითარებასა და სწავლაზე;

ე) სპეციალურმა მასწავლებელმა იცის, როგორ ხდება მხედველობის დარღვევის კომპენსაცია სხვა სენსორული სისტემების საშუალებით და იყენებს ამ ცოდნას პროფესიულ საქმიანობაში;

ვ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს პროფესიულ ცოდნას იმის თაობაზე, თუ რა გავლენას ახდენს გარემო (ფიზიკური, სოციალური, აუდიტორული, ინსტიტუციური) უსინათლო და სუსტადმხედველი მოსწავლის განვითარებასა და სწავლაზე.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

### **მუხლი 57. სმენის დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი**

1. სმენის დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებლის უნარ-ჩვევები:

ა) სპეციალურ მასწავლებელს შეუძლია აუდიოგრამის წაკითხვა და იცის, როგორ ფუნქციონირებს სმენის აპარატი;

ბ) სპეციალურ მასწავლებელს, მშობელთან, კლასის მასწავლებელთან და სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობით, შეუძლია შეაფასოს სმენის დარღვევის მქონე მოსწავლის აკადემიური, სოციალური, ქცევითი/ემოციური უნარები, დამოუკიდებლობის ხარისხი და საგანმანათლებლო გარემო;

გ) სპეციალური მასწავლებელი, სხვა სპეციალისტებთან, მათ შორის, ფსიქოლოგთან და მშობლებთან თანამშრომლობით, იყენებს გარემოს ორგანიზების სხვადასხვა სტრატეგიას, რომელიც ხელს უწყობს სმენის დარღვევის მქონე მოსწავლის განვითარებასა და სწავლას ყველა მოქმედი სენსორული სისტემის საშუალებით;

დ) სპეციალური მასწავლებელი უზრუნველყოფს სმენის დარღვევის მქონე ინდივიდებისთვის სასწავლო მასალის შერჩევას, ორგანიზებასა და გამოყენებას;

ე) სპეციალური მასწავლებელი სმენის დარღვევის მქონე პირის განვითარების ყველა საფეხურზე უზრუნველყოფს მის ეფექტურ კომუნიკაციას საგანმანათლებლო გარემოსთან;

ვ) სპეციალური მასწავლებელი აცნობიერებს და პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებს ცოდნას იმის შესახებ, რომ სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების სტილის (მეთოდებისა და ტექნოლოგიების) შერჩევა უკავშირდება სმენის დარღვევის ფორმასა და ასაკს, როდესაც მოხდა სმენის დაზიანება;

ზ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს ჟესტურ ენას და იყენებს მას საგანმანათლებლო პროცესში, ყრუ მოსწავლეების სწავლებისას;

თ) სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, ასწავლის ჟესტურ ენას ყრუ მოსწავლეს და უწევს რეკომენდაციას მასთან უშუალო კავშირში მყოფ პირს;

ი) სპეციალური მასწავლებელი ფლობს და იყენებს ბილინგვურ მიდგომას სმენის დარღვევის მქონე მოსწავლესთან;

კ) სპეციალური მასწავლებელი იცნობს სწავლების აუდიოვერბალურ/აუდიოორალურ მეთოდს და მიზანმიმართულად იყენებს მას სმენადაქვეითებული მოსწავლეების სწავლებისას;

ლ) სპეციალური მასწავლებელი იცნობს და, საჭიროების შემთხვევაში, იყენებს ტოტალური კომუნიკაციის მეთოდს;

მ) სპეციალურ მასწავლებელს შეუძლია დამხმარე და გამაძლიერებელი ტექნოლოგიების გამართვა, გამოყენება და შენახვა;

ნ) სპეციალური მასწავლებელი აძლევს რჩევას სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეს, ან მის მშობელს/მეურვეს, დროულად ჩაერთოს შესაბამის სერვისებსა და დაწესებულებებში.

ო) სპეციალური მასწავლებელი იძლევა პროფესიათა და კავშირებულ რჩევებს სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის.

2. სმენის დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალურმა მასწავლებელმა იცის:

ა) სპეციალური მასწავლებელი იცნობს ყრუ და სმენადაქვეითებული პირების განათლების ისტორიულ და ფილოსოფიურ საფუძვლებს, ძირითად მოდელებსა და თეორიებს. იცის, რა განსხვავებაა სმენის დარღვევის სამედიცინო, სოციალურ და კულტურულ მოდელებს შორის;



ბ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს პროფესიულ ცოდნას სმენის დარღვევის მქონე პირების სწავლების მეთოდოლოგიების, სწავლების სტრატეგიების და დახმარების ტექნოლოგიების შესახებ. იცნობს სწავლების მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომებს;

გ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს პროფესიულ ცოდნას სმენის ანალიზატორის აგებულებისა და ფუნქციონირების, სმენის დარღვევის თანამედროვე კლასიფიკაციის შესახებ;

დ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს პროფესიულ ცოდნას სმენის დარღვევის მქონე პირის განვითარების კანონზომიერებების, მათ შორის, ენისა და მეტყველების განვითარების შესახებ;

ე) სპეციალური მასწავლებელი ფლობს პროფესიულ ცოდნას იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს სოციალური გარემო სმენის დარღვევის მქონე ინდივიდის განვითარებასა და სწავლაზე;

ვ) სპეციალური მასწავლებელი იცნობს ყრუთა კულტურასა და ისტორიას და ფლობს ინფორმაციას ჟესტური ენებისა და ამ ენაზე მეტყველი საზოგადოებების შესახებ;

ზ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს პროფესიულ ცოდნას ყრუ ადამიანის ლინგვისტური უფლებების შესახებ და იმის შესახებ, რომ ყრუ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ჟესტურ ენაზე მეტყველი გარემო.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

### **მუხლი 58. საშუალო და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი**

1. საშუალო და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებლის უნარ-ჩვევები:

ა) სპეციალური მასწავლებელი აფასებს საშუალო და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლის აკადემიურ, სოციალურ უნარებს, დამოუკიდებლობის ხარისხსა და საგანმანათლებლო გარემოს;

ბ) სპეციალური მასწავლებელი იყენებს სხვა სპეციალისტების მიერ ჩატარებული ინტელექტის ტესტებისა და ადაპტური ფუნქციონირების მონაცემებს საშუალო და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლესთან მუშაობის დაგეგმვისა და წარმართვის დროს;

გ) სპეციალური მასწავლებელი უზრუნველყოფს საშუალო და მძიმე ინტელექტუალური და განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, სასწავლო მასალის შეჩვენას, ორგანიზებასა და გამოყენებას;

დ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს და იყენებს საშუალო და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირებისთვის ასაკისა და შესაძლებლობების შესაბამისი წერა-კითხვის (მათ შორის, ფუნქციური კითხვის) და ანგარიშის სწავლების ინდივიდუალიზებულ მეთოდებს;

ე) სპეციალური მასწავლებელი ფლობს და იყენებს საშუალო და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირების ადაპტური ქცევისა და სოციალური უნარების სწავლების მეთოდიკას და ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

ვ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს და იყენებს საშუალო და მძიმე ინტელექტუალური დარღვევისა და კომბინირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლის კლასში ჩართვის სტრატეგიებს;

ზ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს და იყენებს საშუალო და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლის პრობლემური ქცევის შეფასების, პრევენციისა და მართვის მრავალფეროვან ტექნიკას, მათ შორის, გამოყენებით ქცევით ანალიზს;

თ) სპეციალური მასწავლებელი შეუძლია, რეკომენდაცია გაუწიოს სხვა სპეციალისტს საშუალო და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლესთან პროფესიული უნარების განვითარებაზე მუშაობის პროცესში;

ი) სპეციალური მასწავლებელი აძლევს რჩევას საშუალო და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეს, მშობელს/მეურვეს, დროულად მიმართოს შესაბამის სერვისებსა და დაწესებულებებს, მათ შორის, პროფესიულ და სახელობო განათლების ცენტრებს.

2. საშუალო და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალურმა მასწავლებელი ფლობს:

ა) პროფესიულ ცოდნას საშუალო და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირთა განთლების ისტორიული და ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ;

ბ) პროფესიულ ცოდნას საშუალო და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირთა განათლების თანამედროვე თეორიების შესახებ;

გ) პროფესიულ ცოდნას საშუალო და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირების შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, მოტორული და ქცევითი თავისებურებების შესახებ;

დ) სპეციალური მასწავლებელი იცნობს საშუალო და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის იდენტიფიკაციისა და დიაგნოსტიკების ინსტრუმენტებსა და კრიტერიუმებს;

ე) სპეციალური მასწავლებელი იცნობს სხვადასხვა დარღვევის ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც უკავშირდება საშუალო და მძიმე ინტელექტუალურ დარღვევას (დაუნის სინდრომი, მყიფე სინდრომი თუ სხვა ქრომოსომული და მეტაბოლური პროცესებით გამოწვეული დარღვევები; ცერებრული დამბლა და სხვა);

ვ) პროფესიულ ცოდნას საშუალო და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირების სწავლების მეთოდოლოგიების, სწავლების სტრატეგიების და დახმარების ტექნოლოგიების შესახებ. იცნობს სწავლების მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომებს.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

### **მუხლი 59. ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი**

1. ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებლის უნარ-ჩვევები:

ა) სპეციალურ მასწავლებელს შეუძლია, შეაფასოს ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლის აკადემიური, სოციალური, ქცევითი უნარები, დამოუკიდებლობის ხარისხი და საგანმანათლებლო გარემო;

ბ) სპეციალური მასწავლებელი იყენებს სხვა სპეციალისტების მიერ ჩატარებული შეფასების შედეგებს ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლესთან მუშაობის დაგეგმვისა და წარმართვის დროს;

გ) სპეციალური მასწავლებელი ფლობს და იყენებს ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლის პრობლემური ქცევის შეფასებისა და მართვის მრავალფეროვან ინდივიდუალურ და ჯგუფურ მეთოდებს, მათ შორის, გამოყენებით ქცევით ანალიზს;

დ) სპეციალურ მასწავლებელს შეუძლია ასწავლოს ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლეს საკუთარი ქცევის მართვის, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებისა და პრობლემის გადაჭრის სტრატეგიები;

ე) სპეციალური მასწავლებელი ხელს უწყობს თანმიმდევრული საკლასო რუტინის/წესების შექმნასა და დაცვას ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე პირებისათვის;

ვ) სპეციალური მასწავლებელი უზრუნველყოფს ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის სასწავლო მასალის შერჩევას, ორგანიზებასა და გამოყენებას;

ზ) სპეციალური მასწავლებელი რეკომენდაციას უწევს ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლის მშობელს/მეურვეს, აღმზრდელს, მოსწავლის ქცევის მართვის სტრატეგიებთან დაკავშირებით;

თ) სპეციალურ მასწავლებელს შეუძლია, რეკომენდაცია გაუწიოს სხვა სპეციალისტს ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლისთვის პროფესიული უნარების განვითარების პროცესში;

ო) სპეციალური მასწავლებელი აძლევს რჩევას ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლეს, მშობელს/მეურვეს, დროულად მიმართოს შესაბამის სერვისებსა და დაწესებულებებს.

2. ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი ფლობს:

ა) პროფესიულ ცოდნას ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლეთა განათლების ისტორიული და ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ;

ბ) სპეციალური მასწავლებელი იცნობს ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლეთა განათლების შესახებ არსებულ თეორიებს;

გ) პროფესიულ ცოდნას ქცევითი და ემოციური დარღვევის ფორმებისა და ეტიოლოგიის შესახებ;

დ) პროფესიულ ცოდნას ქცევითი და ემოციური დარღვევის გავლენის შესახებ ბავშვის განვითარებასა და სწავლა-სწავლებაზე;

ე) პროფესიულ ცოდნას ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე პირების სწავლების მეთოდოლოგიების, სწავლების სტრატეგიების და დახმარების ტექნოლოგიების შესახებ. იცნობს სწავლების მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომებს;

ვ) პროფესიულ ცოდნას ქცევითი და ემოციური დარღვევების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის ეტიკის ნორმების შესახებ.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 მარტის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.03.2011 წ.*

## თავი XXII

### დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის სტანდარტი

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

#### მუხლი 60. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები

ა) მიმართულება: ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

ა.ა) მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება ჯანსაღი ცხოვრების წესის როლსა და მოზარდის ანატომიურ – ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას შორის;

ა.ბ) პირადი ჰიგიენის, დაზღვევა-დახმარების, თვითდაზღვევისა და უსაფრთხოების წესების (სპორტულ დარბაზში და სპორტულ მოედანზე ვარჯიშისას და საზოგადოდ) დაცვა;

ა.გ) საკუთარი მოძრაობების მართვის ხერხების სისტემური ათვისება და ამ გზით ცხოვრებაში აუცილებელი მოძრაობითი შემძლეობის, ჩვევებისა და მათთან დაკავშირებული ცოდნის შექმნა და პრაქტიკაში რაციონალური გამოყენება;

ა.დ) მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება ჯანსაღი ცხოვრების წესის (ჯანმრთელობის გაკაჟება, ფიზიკური განვითარება, ორგანიზმის ფუნქციურ შესაძლებლობათა გაფართოება, მოძრაობითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება) როლსა და საზოგადოებაში პიროვნების წარმატებული ინტეგრაციის (შრომისმოყვარეობა, ზნეობრივი ნორმებისადმი ერთგულება, პატრიოტიზმი, სიმამაცე, შეუპოვრობა, მიზანსწრაფულობა) პროცესს შორის;

ა.ე) განსაკუთრებული შემთხვევის დროს ადეკვატურად რეაგირება და პირველადი დახმარების აღმოჩენის უნარი.

ა.ვ) მოზარდის საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში შესაძლო საფრთხეების ანალიზი (იცნობს უსაფრთხოების წესებს, სხვადასხვა მოქმედების ხერხებს და ფლობს შესაძლო კრიტიკული სიტუაციიდან გამოსვლის საშუალებებს).

ბ) მიმართულება: მოძრაობა და მოტორული უნარ-ჩვევები

ბ.ა) ფიზიკურ აქტივობაში მონაწილეობისათვის აუცილებელი მოძრაობითი მოქმედებების შესრულების ხერხების წარმოჩენა (მთლიანად ან ელემენტებად, შენელებულ ან ჩვეულებრივ ტემპში);

ბ.ბ) ცალკეული მოძრაობების იზოლირება და ერთმანეთთან შედარება, მათი შეგნებულად მართვა, საკუთარი შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენება, ფიზიკური მუშაობის მცირე დროში შესრულება;

ბ.გ) მოძრაობის და სპორტული თამაშების წესების ცოდნა და პრაქტიკული გამოყენება;

ბ.დ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდების ინტეგრაცია თანატოლებთან და მათი ჩართვა გუნდურ თამაშებსა და ინდივიდუალურ მოძრაობით მოქმედებებში.

გ) მიმართულება: აქტიური მონაწილეობა

გ.ა) ორგანიზმის გაკაჟებისა და ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის აუცილებელი ფიზიკური აქტივობების დანერგვა და განვითარება;

გ.ბ) სპორტულ-გამაჯანსაღებელი (ტურისტული) ლაშქრობა-ექსკურსიების დროს სავალდებულო წესების, სპეციალური ნორმებისა და მოთხოვნების ცოდნა და პრაქტიკული გამოყენება;

გ.გ) კლასიკურ აქტივობების (შრომითი, სპორტული, სამხედრო-პატრიოტული, საზოგადოებრივი და სხვა) აღწერა და გამოყენება.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/6 - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

### **მუხლი 61. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა**

ა) ცხოვრების ჯანსაღი წესის არსი, მისი მთავარი პრინციპები, მათი დანერგვისა და დაცვის აუცილებლობა, შრომით, საოჯახო-საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობა-მონაწილეობა;

ბ) ფიზიკური აღზრდის მიზანი, და ამოცანები ;

გ) ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საწყისი ცნებები: ფიზიკური აღზრდა, ფიზიკური მომზადება, ფიზიკური კულტურა, ფიზიკური სრულყოფა, ფიზიკური განვითარება, სპორტი, სპორტული წრთვნა;

დ) მოტორული (მოძრაობითი) უნარ-ჩვევების საფუძვლები, რაციონალური ტანადობის განვითარების და კუნთური მასის ზრდის მასტიმულირებელი ვარჯიშები, მათი პრაქტიკული მნიშვნელობა, სარგებლიანობა, რიგითობა, სიხშირე რიტმი, მოცულობა და ა.შ. (ინდივიდუალური და ჯგუფური ვარჯიშების კომპლესები მოძრაობითი უნარიანობის განვითარების შესაძლებლობათა მიხედვით);

ე) სპორტის და ოლიმპიური თამაშების საინტერესო ფაქტები, ქართველ სპორტსმენტთა სპორტული მიღწევები და სხვა;

ვ) მოძრაობითი მოქმედებების სწავლების საშუალებები და მეთოდები; სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოზარდებთან მუშაობის სპეციფიკა;

ზ) მოძრაობის თამაშების ჩატარების მეთოდიკა; თამაშის მომზადება, თამაშის დაწყება და მისი ხელმძღვანელობა, თამაშის ორგანიზებულად დამთავრება;

თ) ფიზიკური ვარჯიშები- ფიზიკური აღზრდის ძირითადი სპეციფიკური საშუალება (შინაარსი და ფორმა).ფიზიკურ ვარჯიშთა ტექნიკა; მოძრაობის მახასიათებლები, მოძრაობითი მოქმედებების ტექნიკურად შესრულების ზოგადი წესები, ფიზიკურ ვარჯიშთა კლასიფიკაცია, ვარჯიშთა ეფექტურობის დამოკიდებულობა მათი გამოყენების პირობებზე;

ი) ფიზიკური აღზრდის მეთოდების სტრუქტურული საფუძვლები (დატვირთვა და დასვენება, როგორც ფიზიკური აღზრდის მეთოდების სპეციფიკური კომპონენტები; ზუსტად რეგლამენტებული

ვარჯიშის მეთოდები; თამაშობითი და შეჯიბრებითი მეთოდები; სიტყვიერი და თვალსაჩინო ზემოქმედების საშუალებათა გამოყენების მეთოდები);

კ) სპორტულ გამაჯანსაღებელი (მაგ. ტურისტული) ლაშქრობა-ექსკურსიების მნიშვნელობა და ორგანიზება (ლაშქრობის ხასიათი, მისი სირთულე და სახეობა, მარშრუტის მანძილი, გზისა და რელიეფის ხასიათი, წლის პერიოდი, კლიმატური პირობები, მოსწავლეთა რაოდენობა და მათი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება, უზრუნველყოფა საქურველ-კაზმულობით, კვების პროდუქტებით, სატრანსპორტო საშუალებით და სხვა);

ლ) ფიზიკური აღზრდის მეთოდური პრინციპები ( დიდაქტიკური პრინციპები);

მ) სპორტული ტერმინოლოგია;

ნ) სწავლების პროცესის წინაპირობები და ეტაპები (სწავლების პირველდაწყებითი ეტაპი, გაღრმავებული სწავლების ეტაპი, ცოდნის განმტკიცებისა და შემდგომი სრულყოფის ეტაპი);

ო) ფიზიკური თვისებები (ძალა, გამძლეობა, სისწრაფე, სიმარჯვე, კოორდინაციული და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა უნარიანობა); ამოცანები, საშუალებები და მათი განვითარების მეთოდები;

ჟ) გაკვეთილის განსაზღვრელი ნიშნები; ამოცანების დასახვა გაკვეთილზე; გაკვეთილის სტრუქტურა (ნაწილები); დატვირთვის რეგულირებისა და მოვარჯიშეთა ორგანიზაციის მეთოდიკა; საინტერესო და სახალისო გაკვეთილის განსაზღვრელი პირობები; სასწავლო გეგმის მიხედვით გაკვეთილების დაგეგმვა და აღრიცხვა;

რ) ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გადახრების მქონე მოსწავლეებთან მეცადინეობების თავისებურებები;

ს) ინდივიდუალური მიდრეკილებისა და თანდაყოლილი მონაცემების სწორი შეფასება და შესაბამისი სპორტის სახეობის შერჩევა ;

ტ) ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური, ინტელექტუალური და ფსიქოლოგიური მომზადება;

უ) რაციონალური კვება; საკვების მნიშვნელობა ბავშვთა ზრდა-განვითარების, ჯანმრთელობის განმტკიცებისა და შრომისუნარიანობის ამაღლებაში; საკვების რაციონის ფიზიოლოგიური მოთხოვნები, საკვების შემადგენლობა (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) და კალორიულობა; საჭირო ვიტამინების სადღეღამისო ნორმები; კვების რეჟიმი, სპორტული დიეტა;

ქ) ბუნებრივი გარემოს გამაჯანსაღებელი ძალები(მზე, ჰაერი, წყალი) და ჰიგიენური ფაქტორები, როგორც ფიზიკური აღზრდის საშუალება. ბუნებრივი ფაქტორების მიზანშეწონილი გამოყენებით ფიზიკური ვარჯიშობის პროცესში ორგანიზმის გაკაჟება და სხვა რთულ პირობებთან ორგანიზმის შეგუება. პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენა; ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ჰიგიენა; სხეულის მოვლის წესები და პროცედურები; ჰიგიენური მოთხოვნები სპორტული ტანსაცმლისა და სპორტული ფეხსაცმელების მიმართ; ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამეცადინო ადგილის, სპორტული ინვენტარის, სპორტული დარბაზისა და სათავსოების ჰიგიენის დაცვა;

ღ) ტრავმატიზმის პროფილაქტიკა, რეგულარული სამედიცინო შემოწმების მნიშვნელობა; პირველადი სამედიცინო დახმარება და მისი ორგანიზაცია;

ყ) მავნე ჩვევების გავლენა ადამიანის ფსიქიკასა და ხასიათზე (აპათია, აგრესია, დეპრესია, მეხსიერების დაქვეითება, ყურადღების გაფანტვა და სხვა);

შ) თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მავნე ზემოქმედება;

ძ) ადამიანთა ურთიერთობა, თანაცხოვრების პრინციპების დაცვა, უმწეოთა მიმართ თანაგრძნობა; ტოლერანტობა (უნარშეზღუდული ადამიანების, საპირისპირო სქესის, უფროსი ასაკის პირთა, ეროვნების, რელიგიის და ა. შ. წარმომადგენელთა მიმართ).

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

## მუხლი 62. სწავლების მეთოდები

ა) სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

ა.ა) ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროგრამაზე დაყრდნობით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო მიზნების, შესაბამისი ამოცანებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა;

ა.ბ) ისეთი სასწავლო გეგმის შედგენა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ და გენდერულ თავისებურებებს, მათ შემძლებლობით უნარიანობას, ინტერესებსა და მოთხოვნილებებს, არსებულ მატერიალურ რესურსებს; უსაფრთხოების წესების დაცვას;

ა.გ) ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროგრამის შესაბამისი სწავლა-სწავლების ეფექტური სტრატეგიების განსაზღვრა: სიტყვიერი და თვალსაჩინო ზემოქმედების საშუალებები - დიდაქტიკური თხრობა, საუბარი, განსჯა, ინსტრუქტირება, თანხმობები განმარტება, ძახილები და მიმართვები, სიტყვიერი შეფასება, სიტყვიერი ანგარიში და ურთიერთგანმარტება, თვითახსნა და თვითბრძანება, ნატურალური და შუალობითი დემონსტრირება, საგნობრივ-მოდელური და მაკეტური დემონსტრირება, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით დემონსტრირება და სხვა.

ა.დ) მოძრაობათა სწავლების პროცესის თავისებურებათა იმ კანონზომიერებების განსაზღვრა, რომელთა მიხედვით ხორციელდება მოძრაობითი შემძლებლობის, ჩვევებისა და მასთან დაკავშირებული ცოდნის მიზანდასახული ჩამოყალიბება; ფიზიკური ვარჯიშების ტექნიკის დასწავლის, განმტკიცებისა და სრულყოფის ოპტიმალური გზების შერჩევა;

ა.ე) სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ორი ძირითადი მიმართულების-ზოგადმოსამზადებლის და სპეციალიზებული ურთიერთკავშირის გათვალისწინება;

ა.ვ) მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისი სხვადასხვა ტიპისა და სირთულის დავალებების (ვარჯიშები, მოძრაობითი მოქმედებები, სიტუაციური ამოცანები) შერჩევა/შედგენა;

ა.ზ) ჰიგიენური და უსაფრთხოების წესების შესწავლისათვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა:

ბ) კომპლექსური ხასიათის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოძრაობითი და მოტორული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის აუცილებელი აქტივობების დაგეგმვა:

ბ.ა) მოსწავლის სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის განვითარებისათვის შესაბამისი გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა;

ბ.ბ) ამ მიზნების შესაბამისი კომპლექსური ვარჯიშების შერჩევა/შემუშავება; უხეში შეცდომების აცილების მიზნით სპეციალური ტრენაჟორების, დამხმარე საშუალებების, სპორტული იარაღებისა და ინვენტარის გამოყენება;

ბ.გ) მოსალოდნელი შედეგის შინაარსისა და მიზნების რუკის შედგენა, რომელშიც აისახება შედეგის მისაღწევად საჭირო ვარჯიშები (თავის, კისრის, გულ-მკერდის, მუცლის, ქვემო და ზემო კიდურების კუნთები, სასუნთქი აპარატი და სხვა), მათი თანმიმდევრობა, ინტენსივობა და ა.შ.;

ბ.დ) ამ რუკაზე დაყრდნობით სხვადასხვა ტიპისა და სირთულის ვარჯიშების შერჩევა/შემუშავება, რომლებიც მოსწავლეებს ეტაპობრივად განუვითარებს კომპლექსურ, სასიცოცხლო მნიშვნელობის მოძრაობით და მოტორულ უნარ-ჩვევებს;

ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივ პროგრამაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩასართავად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა;

გ) სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი კომპლექსური ხასიათის ჯგუფური აქტივობების დაგეგმვა:

გ.ა) გუნდური თამაშების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი (ტურისტული) ლაშქრობების, სპორტული შეჯიბრებების შერჩევა/შემუშავება;

გ.ბ) სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის სხვა საგნისა და საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებთან თანამშრომლობა და მოძრაობითი აქტივობების ერთობლივი დაგეგმვა.

გ.გ) დაგეგმილ აქტივობათა განხორციელებისათვის საჭირო დროის განსაზღვრა, თითოეული აქტივობის მსვლელობის ეტაპების დაგეგმვა და სწავლების ორგანიზების სათანადო ფორმების შერჩევა: ინდივიდუალური, ჯგუფური, გუნდური, მთელი კლასის მონაწილეობით მუშაობა;

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

### **მუხლი 63. სასწავლო პროცესის წარმართვა**

ა) დაგეგმილი გაკვეთილების პრაქტიკაში განხორციელება: (პირდაპირი ინსტრუქცია, კოოპერირებული შესწავლა, დისციპლინათმორისი ინსტრუქციები), რათა მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა მოტივაცია და წარმატებულობა;

ბ) მრავალფეროვანი აქტივობებისა და სტრატეგიების გამოყენება მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლების მიზნით - სახალისო პრობლემური სიტუაციების, მოსწავლის ინტერესებთან და პირად გამოცდილებასთან დაკავშირებული პრობლემების, საკითხების, ვარჯიშთა კომპლექსების გამოყენება;

გ) ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს ყოველი მოსწავლის ჩაბმას აქტივობებში (მათ შორის არასათანადო ფიზიკური მდგომარეობის მქონე და სპეციალური საჭიროების მქონე მოზარდების): დიფერენცირებული მოთხოვნების წყენება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით;

დ) შესაბამისი რესურსების (სპორტული ინვენტარი, სპორტული იარაღები, მოწყობილობები, კომპიუტერი, ვიდეომასალა, ექსპერტების მოწვევა და სხვა) შერჩევა და ამა თუ იმ სამომდრო და მოტორული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის აუცილებელი მოქმედებებისა თუ ვარჯიშების შესასრულებლად ნათელი და ამომწურავი ინსტრუქციების მიცემა.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

### **მუხლი 64. შეფასება**

ა) განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით; ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და სქემების შედგენა და გამოყენება;

ბ) მოსწავლეთა პროგრესისა და მიღწევების მონიტორინგის წარმართვა;

გ) მოსწავლეთა საჭიროებების, პროგრესისა და მიღწევების აღნუსხვა, ანალიზი და ანგარიშის სახით წარმოდგენა;

დ) მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად შეფასების მონაცემების გამოყენება;

საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის შეფასება;

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

### **მუხლი 65. ფიზიკური აღზრდის სწავლების შედეგად მოსწავლის პიროვნული განვითარების უზრუნველყოფა**

ა) მოსწავლეთათვის ისეთი აქტივობების/ამოცანების (პრობლემური საყოფაცხოვრებო სიტუაციური ამოცანების გადაჭრა, ვარჯიშების კომპლექსების შემუშავებაში, სპორტულ ღონისძიებებში, ინტერდისციპლინარულ აქტივობებში მონაწილეობა, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტული ლაშქრობების და სხვა ღონისძიებების დაგეგმვაში მონაწილეობა) შეთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, ფიზიკური და ფსიქიკური უნარების განვითარებას და ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

ბ) ისეთი აქტივობების შერჩევა/შედგენა, რომელიც ასახავს რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციას და საშუალებას მისცემს მოზარდებს, დაუკავშირონ საკუთარი გამოცდილება არსებულ სოციოკულტურულ გარემოსა და საზოგადოებაში დამკვიდრებულ სხვადასხვა ტიპის ცხოვრების წესს; ამოიცნონ და გააანალიზონ მსგავსება-განსხვავებები, დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულებები, გამოიტანონ დასკვნები და მოახდინონ შეფასებები.

გ) მოსწავლეების მოთხოვნილებებზე (კონკრეტული მოსწავლისა და კლასის შესაძლებლობებზე, მიღწევებზე, წარუმატებლობის მიზეზებზე) ორიენტირებული კვლევის წარმოება. ამ მიზნიდან გამომდინარე, კოლეგებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მაქსიმალურ მიღწევას; ჯანმრთელობაზე მისი ზემოქმედების შესწავლა-სწავლების პროცესისთვის საჭირო გაკვეთილების დაგეგმვა იმგვარად, რომ გამოიწვიოს მოსწავლეთა მაქსიმალური დაინტერესება, მოტივაციის აღძვრა; ხელი შეუწყოს დასახული მიზნების თანმიმდევრულად მიღწევას, კლასის ორგანიზებას, მართვას, მოსწავლეთა შემოწმებისა და შეფასებისათვის საჭირო ხერხებისა და მეთოდების წარმატებით გამოყენებას.

დ) იმ საშუალებების, მეთოდებისა და ხერხების თანმიმდევრულად გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლების აუცილებელ ეფექტს.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

### თავი XXIII

#### დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის სტანდარტი

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

#### მუხლი 66. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები

ა) მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა.ა) ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენება ნამუშევარში იდეის, შინაარსის, ხასიათის, განწყობილების გადმოსაცემად (კომპოზიციური განაწილება, ფერი, კოლორიტი, ფაქტურა, განათება; შესრულების მანერა: მონასმი, ხაზი, ფორმა; დეტალი: პოზა, ქესტი, გამომეტყველება, აქსესუარები და ა.შ.);

ა.ბ) ნამუშევრის შექმნისას კომპოზიციური განაწილების პრინციპების (მთლიანობა, წონასწორობა, პერსპექტივა, პროპორცია, ხედვის წერტილი, ჰორიზონტის ხაზი, თავშეყრის წერტილი, წინა და უკანა პლანი, მასშტაბი, სიმეტრია,) გამოყენება;

ა.გ) ნამუშევრის შექმნისას ცივი და თბილი, კონტრასტული ფერების, ფერთა გრადაციის გამოყენება (კოლორიტი, ფერის ინტენსივობა, ნახევარტონი, ფერი (ძირითადი, შედგენილი და სხვა);

ა.დ) სხვადასხვა მხატვრული ხერხის (შუქ-ჩრდილი, შტრიხი, ლაქა, ბლიკი და ა.შ.) საშუალებით საგანთა მოცულობის გამოსახვა;

ა.ე) სხვადასხვა მხატვრული ხერხის (შუქ-ჩრდილი, კონტრასტი, კომპოზიციური განაწილება, სხვადასხვაგვარი მონასმი, ფაქტურა, ლაქა, კოლორიტი და ა.შ.) და ეფექტების გამოყენებით ასოციაციების, ემოციების, იდეების გადმოსაცემა;

ა.ვ) სხვადასხვა ტექნიკის, პროცედურის (ტრადიციული ხელსაქმის სხვადასხვა სახეობის, ფერწერის, გრაფიკის, კოლაჟის, აპლიკაციის და ა.შ.) გამოყენება;

ა.ზ) კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება დიზაინის შესაქმნელად, პრეზენტაციის ჩასატარებლად;



ა.თ) სასკოლო რესურსის შექმნა (თეატრალური რეკვიზიტები სასკოლო სპექტაკლებისთვის, სასკოლო სტენდები, წიგნების აკინძვა, რუკები და სხვ.) და ადეკვატური გამოყენება;

ა.ი) ექსპერიმენტის ჩატარება ნამუშევრის შექმნისას (ხელოვნების ელემენტების, პრინციპების, სხვადასხვა მასალის, ტექნიკისა და პროცედურის გამოყენებით);

ა.კ) შემოქმედებითი იდეების პროდუცირების უნარი (მოსწავლის სტანდარტის მოთხოვნების და მოსწავლეთა შესაძლებლობების შეთავსებით სხვადასხვა ტიპის თემების, აქტივობების, პროექტების ორგანიზება, ლოგიკური, შედეგზე ორიენტირებული თანმიმდევრობის დაგეგმვა და განხორციელება);

ა.ლ) მოსწავლეებისთვის უსაფრთხო, კომფორტული, შემოქმედებითი და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემეცნებისა და შემოქმედების მოტივირებას;

ა.მ) სასწავლო რესურსების ორგანიზება; მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, თვითგამოხატვის საშუალების მიცემა, საინტერესო ამოცანების და აქტივობების შეთავაზება და სხვა);

ა.ნ) მოსწავლეების დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობის ორგანიზება (მოსწავლეთა ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა, ფუნქციების ადეკვატურად განაწილება, მეწყვილეთა ურთიერთდახმარების წახალისება).

ბ) მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში:

ბ.ა) ხელოვნების ნიმუშის, ავტორის, ეპოქის ამოცნობა;

ბ.ბ.) სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების (მაგ.: ძველი აღმოსავლეთი, ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები, XV–XIX საუკუნეების დასავლეთ ევროპა) გარჩევა - ანალიზი, მსჯელობა სხვადასხვა ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებზე, (კომპოზიციური განაწილება, კოლორიტი, ხაზი, ფორმა, შესრულების მანერა), თემატიკაზე, ეპოქათა შორის გავლენაზე და შემოქმედის ინდივიდუალობაზე. (ამ კუთხით ეგვიპტური, ანტიკური, შუა საუკუნეებისა და სხვა ეპოქის ხელოვნების შედარებითი ანალიზი, ნამუშევრის შინაარსის დაკავშირება ისტორიულ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ კონტექსტთან (მაგ. დელაკრუას „თავისუფლება ბარიკადებზე“);

ბ.გ) სხვადასხვა მხატვრული სტილი, სტილისთვის დამახასიათებელი ნიშნების (ფორმა – მოცულობითი/ბრტყელი, გარემო – რეალური/ირეალური, პროპორციები, მასშტაბი – რეალური/უტრირებული, დარღვეული, და სხვ.) და ძირითადი მიმდინარეობების გარჩევა-ანალიზი; მსჯელობა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების უახლეს კონცეფციებზე და ფორმებზე (ტექნოლოგია, თეორიები, გამომსახველობითი ხერხები, მასალა, რა ცვლილებები ხდებოდა ხელოვნებაში (ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, არქიტექტურა, დიზაინი და ა.შ.) და რომელი მიმდინარეობები არსებობდა XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე);

ბ.დ) სახვითი ხელოვნების დარგებისა და ჟანრების ამოცნობა-დახასიათება, მსჯელობა მათი წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შესახებ;

ბ.ე) სხვადასხვა ეპოქაში არსებული დომინანტური ხელოვნების დარგების ეპოქალური ანალიზი;

ბ.ვ) მსჯელობა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგებზე, მათი წარმოშობისა და განვითარების ისტორიაზე, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების დამზადების ტექნოლოგიასა და მასალაზე;

ბ.ზ) მსჯელობა-ანალიზი ქართული ხელოვნებისა და კულტურის შესახებ;

ბ.თ) კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტში გააზრების უნარი;

ბ.ი) ხელოვნების ნაწარმოების შინაარსის ამოცნობა და დაკავშირება ცხოვრებისეულ, ლიტერატურულ, ისტორიულ, რელიგიურ სიუჟეტებთან; ნაწარმოების შინაარსისა თუ დეტალების სხვა საგნებში განვლილ სასწავლო მასალასთან დაკავშირება;

გ) მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია:

გ.ა) ხელოვნების ნიმუშის ანალიზი და შეფასება;

გ.ბ) მსჯელობა ხელოვნების ნაწარმოების იდეის, შინაარსის, დანიშნულების, ფუნქციის შესახებ. ხელოვნების ნაწარმოების (ფერწერული ტილო, გრაფიკული ნამუშევარი, ფილმი, წარმოდგენა, პლაკატი, ნახატი, ქანდაკება, მემორიალი და სხვა) ამ კუთხით ანალიზი.

გ.გ) მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ არის გამოყენებული ხელოვნების ელემენტები და პრინციპები ნამუშევარში იდეის, შინაარსის, ხასიათის, განწყობილების გადმოსაცემად (კომპოზიციური განაწილება, ფერი, კოლორიტი, ფაქტურა, განათება; შესრულების მანერა: მონასმი, ხაზი, ფორმა; დეტალი: პოზა, ჟესტი, გამომეტყველება, აქსესუარები და ა.შ.);

გ.დ) მსჯელობა სხვადასხვა მხატვრული სტილისა და ძირითადი მიმდინარეობების შესახებ (გოთური, რომანული, მანიერიზმი, ბაროკო, როკოკო, კლასიციზმი, რეალიზმი, იმპრესიონიზმი, ავანგარდიზმი (ფოვიზმი, ფუტურიზმი და სხვა)).

გ.ე) მოსწავლის წახალისება აზრის, იდეის გამოთქმისთვის; მოსწავლეთა თემატურ დისკუსიაში ჩაბმა და მათი აზრის ადეკვატური შეფასება.

გ.ვ) სათანადო ტერმინოლოგიის გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში განმარტება.

გ.ზ) სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა–ორგანიზება: კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა, საკლასო და სასკოლო გამოფენა, თემატური პრეზენტაცია, ზეიმი, სპექტაკლი, ექსკურსიები მუზეუმებში, გალერეებში, ქალაქგარეთ.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/6 - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

## **მუხლი 67. დაწყებითი და საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პროფესიული ცოდნა**

ა) სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები:

ა.ა) ხაზი, შტრიხი, მონასმი, ფერი (ძირითადი, შედგენილი, კონტრასტული ფერები, კოლორიტი, ფერის ინტენსივობა, ნახევარტონი), შუქ-ჩრდილი, ფაქტურა, ფორმა, მოცულობა; პროპორციები; კომპოზიციური განაწილების საფუძვლები: მთლიანობა, სივრცე (ხედვის წერტილი, ჰორიზონტის ხაზი, პერსპექტივა, თავშეყრის წერტილი, წინა და უკანა პლანი) სიმეტრია, რიტმი, წონასწორობა, კონტრასტი.

ბ) ტექნიკა და პროცედურა:

ბ.ბ.) ფერწერის, გრაფიკის სხვადასხვა ტექნიკა, ძერწვა, აპლიკაცია, ქაღალდის პლასტიკა, მოზაიკა, კოლაჟი, კონსტრუქცია, ანაბეჭდი, კომპიუტერული ტექნოლოგიები; დეკორატიულ-გამოყენებითი საგნების დამზადება ქაღალდის, თიხის, ქსოვილის, ხის, ლითონის და სხვა (მაგ. ბუნებრივი) მასალით.

გ) საქართველოს ხელოვნება და კულტურა:

გ.ა) ინფორმაცია ქართული ხელოვნების შესახებ (საქართველოს ისტორიული და კულტურული ძეგლების შესახებ, სახვითი ხელოვნების ქართველ მოღვაწეებსა და მათ შემოქმედებაზე); ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, არქიტექტურა, კედლის მხატვრობა, კერამიკა, მინანქარი, ოქრომჭედლობა, ჭედურობა და სხვ. ამ ჭრილში საქართველოს სხვადასხვა კუთხის თავისებურება, ხალხური რეწვა.

დ) მსოფლიოს ხალხთა ხელოვნება და კულტურა:

დ.ა) სხვადასხვა ეპოქის ხელოვნება (პირველყოფილიდან პოსტმოდერნიზმამდე), სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგების ანალიზი;

დ.ბ) ეპოქის ისტორიული, სოციალური, რელიგიური და პოლიტიკური კონტექსტი და მისი გავლენა მომდევნო პერიოდის ხელოვნებაზე;

დ.გ) თანამედროვე ხელოვნების კონცეფციები, მიმდინარეობები და ფორმები (ტექნოლოგიები, თეორიები, გამომსახველობითი ხერხები, მასალა) ხელოვნების როლი საზოგადოების ცხოვრებაში.

დ. დ) სხვადასხვა მხატვრული სტილი და ძირითადი მიმდინარეობები ხელოვნებაში:

დ.ე) ბიზანტიური, გოთური, რომანული, ბაროკო, როკოკო, მოდერნი; კლასიციზმი, რეალიზმი, რომანტიზმი, იმპრესიონიზმი, აბსტრაქციონიზმი, კუბიზმი, ფოვიზმი, ფუტურიზმი და სხვა.

ე) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების უახლესი კონცეფციები და ფორმები:

ე.ა) ტექნოლოგია, თეორიები, გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ცვლილებები ხელოვნებაში (ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, არქიტექტურა, დიზაინი და ა.შ.) და რომელი მიმდინარეობები ცვლიდა ერთმანეთს XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე.

ე.ბ) სახვითი ხელოვნების დარგების და ჟანრების წარმოშობისა და განვითარების ისტორია.

ე.გ) ხელოვნების ისტორიის ელემენტარული საფუძვლები; კონკრეტული ჟანრის სხვადასხვა ეპოქის ან ავტორის ნამუშევართა შედარებითი ანალიზი.

ე.დ) გამოყენებითი ხელოვნების დარგები.

ე.ე) მატერიალური კულტურის ისტორიის ელემენტარული საფუძვლები; ცალკეული დარგების განვითარების ისტორია, დანიშნულება, სპეციფიკა, მასალა, ისტორიული და თანამედროვე ნიმუშები.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

## **მუხლი 68. სწავლების მეთოდები**

ა) სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

ა.ა.) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა და სასწავლო პროცესის დაგეგმვა; დასახული მიზნების შესაბამისი, სხვადასხვა ტიპისა და სირთულის მქონე დავალებების და სავარჯიშოების შერჩევა ან შედგენა, რათა მოსწავლეები ეტაპობრივად მოემზადონ დასახული გრძელვადიანი მიზნის განსახორციელებლად;

ა.ბ) სასწავლო მიზნის განხორციელებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების (პრაქტიკული, საინტერპრეტაციო, ანალიზის, კვლევის, საპრეზენტაციო, საკომუნიკაციო და სხვ.) დადგენა და ხელოვნების საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული ისეთი სასწავლო გეგმის შედგენა, სადაც მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა და რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნას, ინტერესებს, შესაძლებლობებს, შეხედულებებსა და გამოცდილებას;

ა.გ) აქტივობების დაგეგმვა, რომელიც ხელს უწყობს: მოსწავლეთა შემოქმედებით საქმიანობას, ხელოვნების ნიმუშების აღქმის უნარის ჩამოყალიბებას, ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლას, გარემოს ესთეტიკური აღქმისა და მოწესრიგების უნარების გამომუშავება-განვითარებას;

ა.დ) სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი ჯგუფური სამუშაოს დაგეგმვა (მაგ.: პროექტი, აქტივობა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ინტერდისციპლინური აქტივობები/პროექტები), მიზნების განსაზღვრა, სხვა საგნებთან კავშირის დადგენა, მიზნების შესაბამისი იდეის/თემისა და დავალების შერჩევა, მონაწილეთა რაოდენობისა და ფუნქციების, განხორციელების ეტაპების, გზებისა და საშუალებების განსაზღვრა;

ა.ე) გაკვეთილისათვის შერჩეული სავარჯიშოების/დავალებების განსახორციელებლად საჭირო დროის განსაზღვრა, თითოეული აქტივობის მსვლელობის ეტაპების დაგეგმვა და სწავლების ორგანიზების სათანადო ფორმების შერჩევა: ჯგუფური, წყვილური, ინდივიდუალური, მთელი კლასის მონაწილეობით მუშაობა; შეფასების მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრა.

ბ) სასწავლო პროცესის წარმართვა:

ბ.ა) გაკვეთილების ჩატარება გეგმის მიხედვით;

ბ.ბ) ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას გასაცნობი მასალის მიმართ: მასალის და აქტივობის შერჩევასა და მოსწავლეთა შესაძლებლობისა და ინტერესების გათვალისწინება, წინმსწრები სამოტივაციო აქტივობების შემუშავება – ვარაუდების გამოთქმა, მოსწავლის პირად გამოცდილებასთან შინაარსის/ინფორმაციის დაკავშირება, მოსწავლის ცოდნის გააქტიურება, საინტერესო ამოცანების დასმა, აზრის გამოთქმის, მსჯელობის წახალისება და სხვა;

ბ.გ) მოსწავლეთა მოტივირება სხვადასხვა სახის აქტივობაში ჩასაბმელად: მოსწავლის ინტერესებთან და მის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებული თემების/ საკითხების შერჩევა, თვითგამოხატვისა და არჩევანის (თემა, მასალა, გამომსახველობითი ხერხები და სხვ.) საშუალების მიცემა, საინტერესო დავალებების შეთავაზება და სხვა;

ბ.დ) ხელოვნების საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების ისეთი ეფექტური სტრატეგიების გამოყენება, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეებისათვის ამოცანების/პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარ-ჩვევის განვითარებაზე;

ბ.ე) მოსწავლეებისთვის გრძელვადიანი პროექტის დაგეგმვა და ეტაპობრივად განხორციელება: მიზნის განსაზღვრა, იდეების გენერაცია-დახარისხება, დაგეგმვა, მოდელზე დაკვირვება, საჭირო მასალის თავმოყრა/მოძიება, ჩანახატის, ესკიზის შექმნა მომავალი ნამუშევრისათვის, შედეგის გაუმჯობესება-გადამუშავება, თვითშეფასების/თანაშეფასების, მეწყვილესთან აზრის გაცვლის, ურთიერთდახმარების გზით და სხვა;

ბ.ვ) ისეთი ხერხების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ თითოეული მოსწავლის ჩაბმას საკლასო აქტივობებში: დიფერენცირებული მოთხოვნების წაყენება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, სხვადასხვა ტიპის და სირთულის ამოცანების დასმა, კლასში პასუხების/მოსაზრებების შედარება-გაანალიზების ხელშეწყობა, საკამათო საკითხებზე დისკუსიის წახალისება და სხვა;

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

### **მუხლი 69. შეფასება**

ა) განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით: მოსწავლის კომპეტენციის შემოწმება ცოდნის ათვისების სამივე დონეზე (I. ოპერაციის წვდომა; II. ოპერაციის გავარჯიშება; III. ოპერაციის დაუფლება), კონკრეტული პრობლემების წარმომშობი მიზეზების გამოვლენა და სათანადო აქტივობების დაგეგმვა მათ აღმოსაფხვრელად;

ბ) განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება ცოდნის ათვისების მესამე დონეზე;

გ) მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად სასწავლო პროცესში შეფასების მრავალფეროვანი კომპონენტების გამოყენება;

დ) სასწავლო მიზნებისა და შეფასების სტრატეგიების ურთიერთშეთანხმება: მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების და ხერხების შერჩევა/შემუშავება;

ე) მოსწავლეთა ჩართვა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, თვითშეფასებისა და თანაშეფასების პროცესში; ხელშეწყობა, რომ მათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ

ვ) სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, აღმოფხვრან ხარვეზები, მოიძიონ პრობლემათა გადაჭრის გზები და სხვა;

ზ) მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად შეფასების მონაცემების გამოყენება;

თ) მოსწავლეთა საჭიროებების, პროგრესისა და მიღწევების აღნუსხვა, ანალიზი და ანგარიშის სახით წარმოდგენა;

ი) საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის შეფასება;

კ) შეფასებისა და თვითშეფასების მონაცემების გამოყენება მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

## **თავი XXIV**

### **დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მუსიკაში**

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

## **მუხლი 70. დაწყებითი, საშუალო და საბაზო საფეხურის მუსიკის მასწავლებლის პროფესიული უნარები**

ა) მიმართულება: პრაქტიკული უნარ-ჩვევები

ა.ა) სიმღერა (მუსიკალური სახეების განსახიერება ნაწარმოების შესრულების დროს; გამართული სოლფეჯირების უნარები სოლო, ვოკალური და საგუნდო პარტიების შესრულების და სწავლების უნარები);

ა.ბ) საკრავის/საკრავების ფლობა იმ ფარგლებში, რომელიც საშუალებას მისცემს შეასრულოს საგნის პროგრამით გათვალისწინებული მუსიკალური ნაწარმოები;

ანსამბლური მუსიციერების ფორმების ფლობა;

ა.გ) გუნდის, ანსამბლის ხელმძღვანელობა, თვლაზე დამყარებული დირიჟორობა (რეპერტუარის შერჩევა, სწავლება, შესრულება);

ა.დ) სასკოლო დადგმების ორგანიზება (მუსიკალური რეჟისურის საფუძვლების ცოდნა; მუსიკალური ღონისძიებების, მათ შორის, კონცერტი/წარმოდგენა, მუსიკალური სპექტაკლი, ლექცია-კონცერტი, ვიქტორინა, მეჯლისის ორგანიზება და მხატვრული გაფორმება ჩანაწერით, ცოცხალი შესრულებით);

ა.ე) თემატური ღონისძიებების გამართვა (სასკოლო სპექტაკლების მუსიკალური გაფორმება, სანოტო ალბომის მომზადება; სკოლაში ცნობილი კომპოზიტორის, მომღერლის, შემსრულებლის მიწვევა, შეხვედრის ორგანიზება და წარმართვა; ტექსტის შერჩევა მელოდიისათვის; მუსიკის შერჩევა ტექსტისათვის);

ა.ვ) მუსიკალური ენის ელემენტების გამოყენება (სანოტო სისტემის ახსნის, სიმღერის, დაკვრის, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისა და ანალიზის, მუსიკის ჩაწერის, მელოდიის ჰარმონიზაციის დროს);

ა.ზ) სპეციალური მუსიკალური ლიტერატურის გამოყენება;

ა.თ) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ინტერნეტი, მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამები) და აპარატურის (მაგნიტოფონი, დიქტოფონი, ფოტო, ვიდეო, ტელე-აპარატურა, კომპიუტერი), გამოყენება: რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების, მუსიკალური კომპოზიციის შესრულების დროს; სხვადასხვა სახის ჩანაწერის დემონსტრაციისთვის, მიღწეული შემოქმედებითი შედეგის აუდიო, ვიდეო და ფოტოფაილებით დასაფიქსირებლად, რესურსების მოსაძიებლად.

ბ) მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ბ.ა) სხვადასხვა ჟანრის მუსიკის ქრესტომათიული ნიმუშების ამოცნობა, ამ ნაწარმოებების მუსიკალურ-თემატური მასალის გადმოცემა სხვადასხვა ხერხით(სიმღერა, დაკვრა) და მათი ზოგადი დახასიათება (სახელწოდება, ავტორი, ეპოქა, ჟანრი, სტილი);

ბ.ბ) მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების სმენითი ანალიზი, დახასიათება (ეპოქა, ჟანრი, სტილი, ფორმა, გამომსახველობითი საშუალებები);

ბ.გ) მუსიკალური ნაწარმოების შესრულების შეფასება; სხვადასხვა ინტერპრეტაციის შედარება;

ბ.დ) თანამედროვე ქართული მუსიკალურ-კულტურული ცხოვრების მიმოხილვა;

ბ.ე) ადგილობრივი კულტურული ცხოვრების მიმოხილვა;

ბ.ვ) მუსიკალური ტერმინოლოგიის გამოყენება საუბრის დროს და საჭიროების შემთხვევაში განმარტება;

ბ.ზ) ინფორმაციის (მუსიკალურ-დიდაქტიკური მასალები, რეპერტუარი, ლიტერატურა) მოძიება სხვადასხვა წყაროებიდან თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

გ) მიმართულება: მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში

გ.ა) ქართული და მსოფლიო მუსიკალური კულტურის წარმომადგენლების, კომპოზიტორებისა და შემსრულებლების, შესახებ მსჯელობა;

გ.ბ) სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის მუსიკალურ ნაწარმოებებს (ქართული და მსოფლიო მუსიკალური კულტურის ცნობილი ნიმუშები) შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებზე მსჯელობა და კულტურულ - ისტორიულ კონტექსტთან დაკავშირება;

გ.გ) მუსიკალური მიმდინარეობები (მაგ., ბაროკო, კლასიციზმი, ვენის კლასიკური სკოლა, იმპრესიონიზმი და სხვ.);

გ.დ) ერთი და იმავე ეპოქის ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნაწარმოებებს შორის პარალელის გავლება.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

## **მუხლი 71. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მუსიკის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა**

ა) სასიმღერო რეპერტუარი

ა.ა) ერთხმიანი, ორხმიანი, სამხმიანი სიმღერები;

ა.ბ) ხალხური, კლასიკური, თანამედროვე მუსიკის რეპერტუარი.

ბ) მუსიკის თეორია

ბ.ა) მუსიკალური ანბანი (სანოტო სისტემა, მუსიკალური დამწერლობა, მუსიკალური ენის ელემენტები, ძირითადი მუსიკალური ტერმინები, დინამიური ნიუანსები, შესრულების ხერხები და ა.შ.);

ბ.ბ) ჰარმონიის საკითხები (მაჟორულ-მინორული სისტემა, ძირითადი ფუნქციები, მელოდიის ჰარმონიზაცია);

ბ.გ) მუსიკალური ნაწარმოებების ფორმის საკითხები (მარტივი ფორმები, რონდო, კუპლეტური, ვარიაციული, სონატური ალეგრო.);

ბ.დ) საკრავთმცოდნეობის საკითხები (ბგერის მიღება სხვადასხვა საკრავზე, სპეციფიკური საშემსრულებლო ხერხები (ფლაჟოლეტი, პიციკატო და სხვ.), საორკესტრო ჯგუფები.

სხვადასხვა ეპოქის (ბაროკო, კლასიციზმი, რომანტიზმი, იმპრესიონიზმი და სხვ.) სტილური მიმართულებები;

ბ.ე) მუსიკალური ხელოვნების ძირითადი ჟანრები, მათი წარმოშობა და განვითარების გზა;

ბ.ვ) მუსიკალური ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლები (შემოქმედებითი პორტრეტები), ცნობილი მუსიკალური ნაწარმოებები - შექმნის ისტორია, ლიტერატურული პირველწყარო, ისტორიული კონტექსტი; მუსიკის როლი ხელოვნების სხვა დარგებში (თეატრი, კინო).

გ) ქართული მუსიკა

გ.ა) ქართული მუსიკის ისტორია, მისი ძირითადი მიმართულებები (ხალხური მუსიკა, პროფესიული მუსიკა), ჟანრები (მაგ. საოპერო, სიმფონიური, საგუნდო მუსიკა, ქალაქური სიმღერა, საესტრადო მუსიკა და სხვა), წარმომადგენლები, ნაწარმოებები; ქართული ხალხური და პროფესიული მუსიკის დამახასიათებელი თავისებურებები; პარალელები და ქართული ხელოვნების სხვა დარგებთან.

დ) საშემსრულებლო ხელოვნება

დ.ა) მუსიკალური ნაწარმოების შესრულების თავისებურებები;

დ.ბ) მამაკაცთა და ქალთა ხმები;

დ.გ) მუსიკალური საკრავები (ხალხური, პროფესიული);

დ.დ) მუსიკალური კოლექტივის სახეები (გუნდი, ანსამბლი, ორკესტრი, საოპერო, საბალეტო დასი);

დ.ე) მსოფლიოს გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლები, მუსიკალური, მუსიკალურ-თეატრალური კოლექტივები;

დ.ვ) ქართული საშემსრულებლო ხელოვნება (სამგალობლო სკოლები, მომღერალი ოჯახები, საშემსრულებლო კოლექტივები, საშემსრულებლო სკოლები, ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლები).

ე) მუსიკოსის პროფესია

ე.ა) კომპოზიტორი, დირიჟორი, ლოტბარი, რეგენტი, მუსიკოს-შემსრულებელი, მუსიკისმცოდნე, პედაგოგი, მუსიკასთან დაკავშირებული სხვა პროფესიები.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

## **მუხლი 70. სწავლების მეთოდები**

ა) სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

ა.ა) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა და სასწავლო პროცესის დაგეგმვა; დასახული მიზნების შესაბამისი, სხვადასხვა ტიპისა და სირთულის მქონე დავალებების და სავარჯიშოების შერჩევა ან შედგენა, რათა მოსწავლეები ეტაპობრივად მოემზადონ დასახული გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად;

ა.ბ) ამ მიზნის განხორციელებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების (პრაქტიკული, საინტერეპრეტაციო, ანალიზის, კვლევის, საპრეზენტაციო, საკომუნიკაციო და სხვ.) დადგენა და მუსიკის საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული ისეთი სასწავლო გეგმის შედგენა, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას, მოსწავლეთა ცოდნას, ინტერესებს, შესაძლებლობებს, შეხედულებებსა და გამოცდილებას;

ა.გ) სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი ჯგუფური აქტივობების დაგეგმვა (მაგ., კონცერტი, მეჯლისი, პროექტი, წარმოდგენა, აქტივობა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით): მიზნების განსაზღვრა, სხვა საგნებთან კავშირის დადგენა, მიზნების შესაბამისი იდეის/თემის და დავალების შერჩევა, მონაწილეთა რაოდენობის დადგენა, მუსიკალური მონაცემების გათვალისწინებით მოსწავლეთა ფუნქციების განსაზღვრა, განხორციელების ეტაპების, გზების და საშუალებების შერჩევა;

ა.დ) შერჩეული სავარჯიშოების/დავალებების განსახორციელებლად საჭირო დროის განსაზღვრა, თითოეული აქტივობის მსვლელობის ეტაპების დაგეგმვა და სწავლების ორგანიზების სათანადო ფორმების შერჩევა: ჯგუფური, წყვილური, ინდივიდუალური, მთელი კლასის მონაწილეობით მუშაობა; შეფასების მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრა.

ბ) სასწავლო პროცესის წარმართვა:

ბ.ა) შედეგზე და მოსწავლის მუსიკალური მონაცემების განვითარებაზე და ცოდნის გაღრმავებაზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის წარმართვა:

გაკვეთილის ჩატარება გეგმის მიხედვით;

ბ.ბ) ისეთი შემოქმედებითი და მეთოდური მიდგომების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას გასაცნობი მასალის მიმართ: მასალის შერჩევისას მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინება, წინმსწრები სამოტივაციო აქტივობების შემუშავება – ვარაუდების გამოთქმა, მოსწავლის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება, მოსწავლის ცოდნის გააქტიურება, საინტერესო ამოცანების დასმა, აზრის გამოთქმისა და მსჯელობის წახალისება და სხვა;

ბ.გ) მოსწავლეთა მოტივირება პრაქტიკულ აქტივობაში ჩასაბმელად: მოსწავლის ინტერესებთან და პირად გამოცდილებასთან დაკავშირებული თემების/ საკითხების შერჩევა, თვითგამოხატვის, არჩევანის (შესასრულებელი ნაწარმოები, ჟანრი, თემატიკა, და სხვა) საშუალების მიცემა, საინტერესო დავალებების შეთავაზება და სხვა;

ბ.დ) მოსწავლეებისათვის ამოცანების/პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრისათვის სათანადო უნარების განვითარება: მიზნის განსაზღვრა, იდეების გენერაცია-დახარისხება, დაგეგმვა,

მუსიკალურ-გამომსახველობით ხერხებზე დაკვირვება, საჭირო მასალის მოძიება/თავმოყრა, გეგმის ჩანაწერის შექმნა დამოუკიდებლად და/ან თანამშრომლობის გზით და სხვა;

ბ.ე) სწავლა-სწავლების პროცესში ისეთი სტრატეგიების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას და განვითარებას;

ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩაბმას საკლასო აქტივობებში: მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით დიფერენცირებული მოთხოვნების წაყენება, სხვადასხვა ტიპის და სირთულის ამოცანების დასმა, კლასში პასუხების/მოსაზრებების შედარება-გაანალიზების ხელშეწყობა, საკამათო საკითხებზე დისკუსიის წახალისება და სხვა;

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

### **მუხლი 71. შეფასება**

ა) განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით: მოსწავლის კომპეტენციის შემოწმება ცოდნის ათვისების სამივე დონეზე (I. ოპერაციის წვდომა; II. ოპერაციის გავარჯიშება; III. ოპერაციის დაუფლება), კონკრეტული პრობლემების გამომწვევი მიზეზების გამოვლენა და სათანადო აქტივობების დაგეგმვა მათ აღმოსაფხვრელად;

ბ) განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება ცოდნის ათვისების მესამე დონეზე;

სასწავლო პროცესში შეფასების მრავალფეროვანი კომპონენტების გამოყენება,

მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად;

გ) სასწავლო მიზნებისა და შეფასების სტრატეგიების ურთიერთშეთანხმება: მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების და ხერხების შერჩევა/შემუშავება;

დ) მოსწავლეთა ჩართვა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, თვითშეფასების და თანაშეფასების პროცესში;

ე) მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად შეფასების მონაცემების გამოყენება;

მოსწავლეთა საჭიროებების, პროგრესისა და მიღწევების აღწერა, ანალიზი და ანგარიშის სახით წარმოდგენა;

ვ) საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის შეფასება;

ზ) შეფასებისა და თვითშეფასების მონაცემების გამოყენება მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

## **თავი XXV**

### **დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი**

*ისტ-ის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები და ცოდნა უზრუნველყოფს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) სწავლების პროცესში ეფექტიან გამოყენებას; მოსწავლის ძირითად ისტ კომპეტენციების განვითარებას და მის მიერ ისტ-ის ინტეგრირების უნარებს სასწავლო, საყოფაცხოვრებო თუ სოციალურ აქტივობებში.*

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

### **მუხლი 72. დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები**

ა) მიმართულება: ძირითადი ცნებები და ოპერაციები

ა.ა) ინფორმაციის მოძიება, კვლევა და ანალიზი ისტ-ის გამოყენებით;



ა.ბ) ინფორმაციის ორგანიზება, შენახვა და გაზიარება ისტ-ის გამოყენებით;

ა.გ) ისტ-ის გამოყენების უპირატესობის და შეზღუდვების გაცნობიერება; ასევე, ინტერნეტის და ქსელური ტექნოლოგიების განვითარების ზეგავლენა საზოგადოებაზე.

ბ) მიმართულება: ციფრული საშუალებების მართვა (ტექნიკური კომპეტენციები).

ბ.ა) კოპიუტერული მოწყობილობის ჩართვა, გადატვირთვა, გამორთვა; ძირითადი პერიფერიული მოწყობილობების - მაუსის, კლავიატურის, მონიტორის, პრინტერის, სკანერის, პროექტორის გამოყენება. ძირითადი და პერიფერიული მოწყობილობების მიერთება; ელექტროენერჯის სარეზერვო წყაროების გამოყენება;

ბ.ბ) შესაბამისი პორტების დანიშნულების ცოდნა და შესატყვისი გამოყენება;

ბ.გ) "ნეთბუქების" და პორტატული ციფრული მოწყობილობების თავისებურებების გარჩევა.

ბ.დ) გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის და უტილიტების ინსტალაცია კომპიუტერზე.

ბ.ე) მარტივი კომპიუტერული ქსელების გამართვა, გამოყენება. ისტ მოწყობილობების ადეკვატური შერჩევა და გამოყენება სასწავლო ამოცანის გადასაჭრელად. ისტ მოწყობილობების ტექნიკური მხარდაჭერა სამომხმარებლო დონეზე.

გ) მიმართულება: ინფორმაციულ-საკომუნიკაციო რესურსების შექმნა და გამოყენება

გ.ა) ციფრული სასწავლო მასალის (მათ შორის: ტექსტური, აუდიო-ვიდეო ფაილის, მულტიმედიური პრეზენტაციის, სასწავლო ხასიათის ვებგვერდის და/ან ბლოგის) შექმნა ისტ-ის გამოყენებით.

გ.ბ) ტექსტური, ვიდეო, აუდიო რედაქტორების, პრეზენტაციების და ვებ-პუბლიკაციების შესაქმნელი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება.

გ.გ) ვებ სივრცეში არსებული რესურსების, ონლაინ რედაქტორებისა და საგანმანათლებლო მასალების გამოყენება.

გ.დ) სხვადასხვა ტიპის ციფრული მასალების ეფექტიანი პრეზენტაცია. გაკვეთილის დაგეგმვა ისტ-ის ადეკვატური გამოყენებით.

გ.ე) მარტივი პროცესების ავტომატიზაცია სამომხმარებლო პროგრამების გამოყენებით; ციფრული მოდელების და სიმულაციების გამოყენება, მათ შორის, სხვადასხვა შესატანი პარამეტრების ცვლილებით.

გ.ვ) თავისუფლად გავრცელებადი (ღია) საგანმანათლებლო რესურსების მოძიება, გამოყენება/დამუშავება, მორგება.

გ.ზ) ისტ რესურსების სასწავლო ამოცანისადმი ადეკვატურობის და სარგებლიანობის შეფასება. ციფრული რესურსების მისადაგება სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობისადმი. სხვადასხვა საგნებში ციფრული რესურსების და ისტ ინტეგრირებული სწავლების მოდელებისა და მეთოდების გარჩევა.

დ) მიმართულება: e - ეთიკა

დ.ა) ციფრული რესურსებისა და ინსტრუმენტების გამოყენება უსაფრთხოების, კანონისა და ეთიკურობის დაცვით;

დ.ბ) ინტერნეტში და სოციალურ ქსელებში მიღებული ეთიკური ნორმების დაცვა ისტ-ის გამოყენებისას;

დ.გ) საკუთარი და სხვისი პერსონალური ინფორმაციის დაცვა, შესაბამისი ქართული და საერთაშორისო კანონმდებლობის ცოდნა;

დ.დ) პატივისცემა საავტორო უფლებებისა და ინტელექტუალური საკუთრების მიმართ და წყაროების შესაბამისი დოკუმენტირება/მითითება;

დ.ე) ღია საგანმანათლებლო რესურსების ლიცენზიის გარჩევა (მაგ.:Creative commons ნაირსახეობები) და მათი გამოყენება საკუთარი რესურსების გამოქვეყნებისას.

ე) მიმართულება: კვლევა და კომუნიკაცია

- ე.ა) ისტ-ის გამოყენების სფეროების ცოდნა, მისი უპირატესობების გაცნობიერება;
- ე.ბ) საკომუნიკაციო საშუალებების შერჩევა, მათ შორის მობილური მოწყობილობების, ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტ-ფორუმების და სხვა;
- ე.გ) კომუნიკაცია ისტ-ის გამოყენებით, მათ შორის, მოსწავლეებთან და მშობლებთან;
- ე.დ) ისტ-ის საშუალებების გამოყენება სოციალური აქტივობისას, აგრეთვე, სოციალურ და პროფესიულ ქსელებში მოღვაწეობისას (მაგალითად: მოსწავლეების მშობლებთან კომუნიკაცია, საგანმანათლებლო ფორუმებში მონაწილეობა, საგანმანათლებლო პორტალების გამოყენება რესურსების გაცვლა / გაზიარების მიზნით, ბლოგების შექმნა);
- ე.ე) ეფექტიანი კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალებების ფლობა – მათ შორის, ელექტრონული ბიბლიოთეკების, ენციკლოპედიებისა და საცავების გამოყენება, კვლევა ინტერნეტის საშუალებით, მოძიებული მასალის სისტემატიზაცია, დამუშავება, ანალიზი;
- ე.ვ) გავრცელებული საძიებო სისტემის გამოყენება; საძიებო ფრაზების სინტაქსის, გაფართოებული ძიების მეთოდების ფლობა. საჭიროების შემთხვევაში სათარგმნი პროგრამების და/ან ვებსერვისების ეფექტიანი გამოყენება უცხო ენაზე მოცემული მასალის აღსაქმელად;
- ე.ზ) ინფორმაციის სანდოობის ხარისხის განსაზღვრა; სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული ინფორმაციის შედარება, დახარისხება;
- ე.თ) ინფორმაციის მოძიებისთვის სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობის გამოყენება (მაგ.: კომპიუტერი, მობილური ტელეფონი/სმარტფონი და პორტატული ტექნიკა);
- ე.ი) ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება სხვადასხვა ინტერესისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით (მათ შორის განსაკუთრებული საჭიროებების მოსწავლეთათვის).
- ვ) დაწყებითი, საბაზო /და საშუალო საფეხურის ისტ-ის მოსწავლეების პროფესიული ცოდნა.
- ვ.ა) ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები და ოპერაციები;
- ვ.ბ) ინფორმაცია. ინფორმაციის ერთეულები. მისი შენახვა და გაზიარება. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. გლობალიზაცია და ინფორმაციული საზოგადოება;
- ვ.გ) ისტ-ის გამოყენების ფსიქო-ემოციური ეფექტები.
- ზ) ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ძირითადი საშუალებების დანიშნულება, მათი მოქმედების ძირითადი პრინციპები და მოხმარების წესები.
- ზ.ა) კომპიუტერი და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები (პროცესორი, მეხსიერება, შეტანა-გამოტანის მოწყობილობები, პერიფერიული ტექნიკა, მონაცემთა შენახვის გარე მოწყობილობები, სხვ). კლავიატურის სტრუქტურა; თაგვის, თაჩპედის, სხვა სენსორული მოწყობილობის მახასიათებლები. ქსელისა და პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური უსაფრთხოების მნიშვნელობა და უსაფრთხოების დაცვის ძირითადი წესები.
- თ) ოპერაციული სისტემები და მათი სტრუქტურა
- თ.ა) ოპერაციული სისტემის დანიშნულება. ოპერაციული სისტემის გრაფიკული ინტერფეისი;
- თ.ბ) ფაილების სისტემის იერარქია და ორგანიზება. საქალაქდები, „ფანჯრები“; ინფორმაციის მოწესრიგებულად და დაცულად შენახვა ფაილების სისტემის გამოყენებით; ფაილების ტიპების გავრცელებული სტანდარტები. პროგრამული და მონაცემთა ფაილები.
- ი) პროგრამული უზრუნველყოფა
- ი.ა) ოპერაციული სისტემის თანმდევი ძირითადი პროგრამები (ფაილების მენეჯერი, ინტერნეტ-ბრაუზერი, უტილიტები, სხვ.);
- ი.ბ) გავრცელებული პროგრამული საოფისე პაკეტების (მაგალითად: MS Office, OpeN<sup>o</sup> Office) ძირითადი პროგრამები (ტექსტური რედაქტორი, ელექტრონული ცხრილები, საპრეზენტაციო

პროგრამები, ელექტრონული ფოსტის კლიენტი). აუდიო, ვიდეო რედაქტორები, სხვა გამოყენებითი პროგრამები (მაგალითად Adobe Acrobat).

ი.გ) პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, დეინსტალაცია.

კ) კომპიუტერული ქსელები

კ.ა) მსგავსება და განსხვავება კომპიუტერული ქსელების ტიპებს შორის (მაგალითად: ლოკალური ქსელი, ინტრანეტი, ინტერნეტი); ამ სახის ქსელებში ნავიგაციისა და ინფორმაციის გაცვლის ხერხები;

კ.ბ) უსადენო და საკაბელო ქსელები; მათი ტექნიკური შესაძლებლობები და უსაფრთხოება.

ლ) ინფორმატიკის საფუძვლები

ლ.ა) ალგორითმები, მათემატიკური ლოგიკა; რიცხვთა პოზიციების სისტემები, სიმბოლოები, კოდირება, კომპიუტერული ენები; ადამიანის და კომპიუტერის ურთიერთქმედება; პროცესების ავტომატიზაცია; მონაცემთა ბაზები; პროგრამირების ელემენტები.

მ) ინტერნეტი

მ.ა) ინტერნეტის სტრუქტურა და ინტერნეტში მონაცემთა მიღება-გადაცემასთან დაკავშირებული ცნებები და ტერმინები (მაგალითად: ინტერნეტ რესურსის მისამართი, ვებ-გვერდი, IP მისამართი; დომენური სახელები დაბოლოებები - .edu, .com, .net, .org, .gov - და მათთან დაკავშირებული რესურსები). მონაცემთა გაცვლის პროტოკოლები.

მ.ბ) ელექტრონული ფოსტა. ელფოსტის პროტოკოლები, სამომხმარებლო პროგრამები და ვებდაფუძნებული სერვისები;

მ.გ) ჰიპერბმულები და ჰიპერტექსტი. ინტერნეტში გამოქვეყნების საგამომცემლო პროგრამები და ვებ-ინსტრუმენტები. საოფისე პროგრამების ინტერნეტში განთავსებული სერვისები (მაგ: Google Docs, Microsoft Office Live);

მ.დ) სოციალური ქსელები და მათი სტრუქტურა. ინფორმაციის გავრცელება-გაზიარება სოციალურ ქსელებში. უპირატესობები და შეზღუდვები.

ნ) ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კონტენტი (შიგთავსი)

ნ.ა) ისტ-ის კონტენტის კლასიფიკაცია. საგანმანათლებლო ისტ საშუალებები და პროდუქტები (მაგ: სიმულაციები, მოდელები, ვირტუალური ლაბორატორიები, აუდიო-ვიდეო მასალა, მულტიმედია, თამაშები); მათი ტექნიკური მოთხოვნები და სხვადასხვა მოწყობილობასთან ან/და ოპერაციულ სისტემასთან თავსებადობა;

ნ.ბ) ისტ კონტენტის ლიცენზიები: კერძო-კომერციული, საზოგადოებრივი საკუთრება (Public Domain), ღია-თავისუფლად გავრცელებადი (Creative Commons ძირითადი ლიცენზიები);

ნ.გ) ისტ კონტენტის ავტორიზაციის (შექმნის) და გამოქვეყნების ინსტრუმენტები;

ნ.დ) ისტ კონტენტის შეზღუდვები (მაგ.: კონტენტში დაუშვებელია დისკრიმინაციული ელემენტების, ასაკისადმი შეუფერებელი შინაარსი, აგრესია; კონტენტის კლასიფიკაციის ზოგიერთი სისტემის/აღნიშვნის ცნობა);

ნ.ე) საგანმანათლებლო ელექტრონული პორტალები.

ო) მონაცემთა შენახვა და დაცვა

ო.ა) მონაცემთა არქივირება და სარეზერვო ასლების შექმნა. მოხმარებლის იდენტიფიკაცია. პაროლების სისტემა. ავთენტიფიკაციის საშუალებები როგორც კომპიუტერის ან/და პორტატული ციფრული მოწყობილობის გამოყენებისას, ასევე ინტერნეტ სერვისებში და სოციალურ ქსელებში; ავტორიზაცია (სხვადასხვა ტიპის რეგისტრირებული მოხმარებლის ინფორმაციაზე და სერვისებზე წვდომის დონის განსაზღვრა);

ო.ბ) ასაკობრივი შეზღუდვები სოციალურ ქსელებში და ჩატებში გასაწევრიანებლად; ინტერნეტის კონტენტის ფილტრაციის საშუალებები.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

### **მუხლი 73. სწავლების მეთოდები**

ა) სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

ა.ა) ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნობრივ პროგრამაზე დაყრდნობით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო მიზნების, შესაბამისი ამოცანებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა;

ა.ბ) ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული ისეთი სასწავლო გეგმის შემუშავება, სადაც მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა და რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნას, ინტერესებს, შესაძლებლობებს და გამოცდილებას;

ა.გ) ისტ-ის საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების ეფექტური სტრატეგიების განსაზღვრა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეებში შესაბამისი ცოდნის შექმნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავება- განვითარებაზე;

ა.დ) სასწავლო პროცესისათვის იმ ტიპის აქტივობების დაგეგმვა, რომელიც მოსწავლეებს განუვითარებს ციფრულ (კომპიუტერულ) წიგნიერებას;

ა.ე) ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესწავლისას სწავლების ორგანიზების სათანადო ფორმების შერჩევა: ჯგუფური, წყვილური, ინდივიდუალური, მთელი კლასის მონაწილეობით მუშაობა; თითოეული აქტივობის მსვლელობის ეტაპების დაგეგმვა; განსახორციელებელი აქტივობებისადმი ისტ. ინსტრუმენტებისა და რესურსების შერჩევა/მისადაგება; გაკვეთილისათვის შერჩეული სავარჯიშოების/დავალებების განსახორციელებლად საჭირო დროის განსაზღვრა;

ა.ვ) სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის ისტ-ის პედაგოგთა თანამშრომლობა სხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებთან-ინტეგრირებული გაკვეთილებისა და სხვადასხვა არასაკვეთილო აქტივობების ერთობლივი დაგეგმვა;

ა.ზ) ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული თანამშრომლობითი სასწავლო პროექტის ტიპის დავალების მომზადებისას შესაფერისი ტექნიკური საშუალებებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შერჩევა;

ა.თ) სხვადასხვა თაობების მიერ ციფრული საშუალებების გამოყენების, ასევე ინფორმაციის აღქმისა და გადამუშავების განსხვავებების გაცნობიერება და მისი გათვალისწინება სასწავლო პროცესის დაგეგმვისას;

ა.ი) კლასის ორგანიზება ტექნიკური საშუალებების ეფექტიანად გამოყენების მიზნით;

ა.კ) შესაფერისი ისტ ინსტრუმენტების და მათი ინტეგრირების სტრატეგიის შერჩევა სასწავლო პროცესის მოსამზადებლად;

ა.ლ) ციფრული რესურსების მომზადებისას მათი ურთიერთავსებადობის საკითხების გათვალისწინება.

ბ) ელექტრონული სწავლების ძირითადი პრინციპები - ელექტრონული სწავლება

ბ.ა) ელექტრონული სწავლების ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების ფლობა და გამოყენება სასწავლო პროცესში: შერეული სწავლება (Blended learning); სწავლის მართვის სისტემები (LMS, VLE), სწავლების პროცესის აგება/წარმართვა ვირტუალური საშუალებით (ვებ 2.0.-ს, თავისუფალი საგანმანათლებლო რესურსების, სწავლის მართვის სისტემების საშუალებით).

გ) 1-1-ზე კომპიუტერული სწავლების მეთოდების ფლობა და გამოყენება

გ.ა) 1-1-ზე ელექტრონული სწავლების თავისებურებები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში; კლასის მართვა და დავალებების განაწილება 1-1-ზე სწავლებისას; ციფრული მასალების შექმნა, შენახვა და შეფასება ზოგადი და/ან სპეციფიკური პროგრამული უზრუნველყოფით; ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებები, თანამშრომლობითი და თანასწორებისგან (peer-to-peer) სწავლების მეთოდები; დამოუკიდებლად სწავლების მოტივირება.

დ) ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების წარმართვა:

დ.ა) ისტ-ის სწავლების სტრატეგიების გამოყენება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისათვის, მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების საშუალებით, ხელმისაწვდომი ციფრული რესურსებითა და ხელსაწყოებით;

დ.ბ) ტექნოლოგიების გამოყენება, როგორც მთლიანად კლასის, ასევე მცირე ჯგუფებისა და ინდივიდუალური აქტივობებისთვის და შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

დ.გ) სასწავლო ხასიათის ან/და შინაარსის ციფრული თამაშების მოძიება /შერჩევა / შექმნა გამოყენება; ელექტრონული თამაშების კლასიფიკაცია; სასწავლო შინაარსისადმი მოტივაციის გაზრდა თამაშების ელემენტების გამოყენებით. კლასის ეფექტიანი მომზადება და დებრიფინგი;

დ.დ) ისტ-ზე დაფუძნებული თანამშრომლობითი სასწავლო პროექტის ტიპის დავალების მომზადებისას შესაფერისი ტექნიკური საშუალებებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შერჩევა/ გამოყენება; მოსწავლეებისათვის სრულყოფილი ინსტრუქციების ჩამოყალიბება;

დ.ე) მოსწავლეებთან სასწავლო პროცესის შემდგომი უკუკავშირი ისტ-ის გამოყენებით მიღებულ ცოდნა/გამოცდილებაზე რეფლექსირების უზრუნველსაყოფად;

დ.ვ) მასალის შერჩევასა და მოსწავლეთა შესაძლებლობისა და ინტერესების გათვალისწინება; მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებელი ხერხების გამოყენება, წინმსწრები სამოტივაციო აქტივობების შემუშავება – ვარაუდების გამოთქმა, მოსწავლის პირად გამოცდილებასთან შინაარსის/ინფორმაციის დაკავშირება, არსებული ცოდნის გააქტიურება, საინტერესო ამოცანების დასმა, აზრის გამოთქმისა და მსჯელობის წახალისება და სხვა;

დ.ზ) ისტ-ის დახმარებით ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩაბმას საკლასო აქტივობებში: დიფერენცირებული მოთხოვნების წაყენება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, სხვადასხვა ტიპის და სირთულის ამოცანების დასმა, კლასში პასუხების/მოსაზრებების შედარება-გაანალიზების ხელშეწყობა, საკამათო საკითხებზე დისკუსიის წახალისება და სხვა;

დ.თ) ისტ-ის სწავლებისას გამოყენებითი ასპექტის აქცენტირება და დემონსტრირება, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან (მაგ.: ძირითადი სამთავრობო/სახელმწიფო ელექტრონული სერვისების დემონსტრირება, ელექტრონული ბანკინგის, ელექტრონული მაღაზიის, ფინანსური კალკულაციების ჩვენება, სხვ.).

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/6 - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

#### **მუხლი 74. შეფასება**

ა) შეფასების მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრა;

ბ) ციფრული კომუნიკაციის საშუალებების, მარტივი სატესტო დავალებებისა და ვირტუალური სასწავლო გარემოს გამოყენება შეფასებისა და უკუკავშირისთვის;

გ) მობილური და პორტატული მოწყობილობების გამოყენება ინდივიდუალური შეფასებისას/ტესტირებისას;

დ) შეფასება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მისაღწევი მიზნების 4 დონის მიხედვით. ისტ საშუალებებით შეფასების სქემებსა და რუბრიკების ელექტრონულ ფორმატში შექმნა/ გამოყენება;

ე) ისტ საშუალებების გამოყენებით მოსწავლეთა საჭიროებების, პროგრესისა და მიღწევების აღნუსხვა და ანგარიშის სახით წარმოდგენა;

ვ) ისტ-ის სწავლების შედეგების დამოუკიდებლად გაუმჯობესების ხელშეწყობა: მოსწავლეთა ჩართვა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, თვითშეფასებისა და თანაშეფასების პროცესში; ხელშეწყობა, რომ მათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, აღმოფხვრან ხარვეზები, მოიძიონ პრობლემათა გადაჭრის გზები და სხვა;

ზ) შეფასებისა და თვითშეფასების მონაცემების გამოყენება მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

#### **მუხლი 75. პროფესიული განვითარება**

ა) ისტ-ის საშუალებების გამოყენება პროფესიული განვითარებისთვის, აგრეთვე სოციალურ და პროფესიულ ქსელებში მოღვაწეობისას;

ბ) ელექტრონული პორტფოლიოს შექმნა და განახლება;

გ) ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალებების და დისტანციური სწავლების გამოყენება საკუთარი პროფესიული ზრდისთვის; სხვადასხვა ინტერნეტფორუმების, საგანმანათლებლო პორტალებისა და სოციალური ქსელების გამოყენება საგანმანათლებლო ტექნოლოგიების, ციფრული მასალების და პედაგოგიური მიდგომების გასაზიარებლად და გასაცნობად;

დ) პროფესიული ცოდნის განახლება, ახალი ტექნოლოგიური საშუალებებისა და ისტ-ზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების რეგულარული გაცნობა;

ე) პროფესიული სტანდარტების ცოდნა და ამ სტანდარტების საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირება და მორგება.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 14.02.2012წ.*

### **თავი XXVI**

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 20 აპრილის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 25.04.2012წ.*

#### **მულტილინგვური განათლების მასწავლებლის სტანდარტი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური**

##### **მუხლი 76. ტერმინთა განმარტება**

1. **ენათა მაკრომონაცვლეობა** გულისხმობს ენათა მონაცვლეობის დაგეგმვას ინსტიტუციურ დონეზე – სწავლების რომელ საფეხურზე რა საგნები ისწავლება ორ ენაზე, უპირატესად რომელ ენაზე წარმართება ამა თუ იმ თემის შესწავლა ერთი საგნის ფარგლებში. მაკრომონაცვლეობა იგეგმება სასწავლო წლის დაწყებამდე ეროვნული დირექტივების გათვალისწინებით.

2. **ენათა მეზომონაცვლეობა** გულისხმობს ენათა მონაცვლეობის დაგეგმვას კონკრეტული აქტივობების დონეზე, რომელსაც საგნის მასწავლებელი მოსწავლეთა ენობრივი მზადყოფნის გათვალისწინებით გეგმავს. მისი ამოცანაა საგნობრივი შინაარსის შესწავლის პროცესის ხელშეწყობა და ენობრივი კომპეტენციების ეტაპობრივი განვითარება-გამდიდრება.

3. **ენათა მიკრომონაცვლეობა** გულისხმობს ენათა მონაცვლეობას დაუგეგმავად, გაკვეთილის მსვლელობისას წამოჭრილი კომუნიკაციური პრობლემის გადასაწყვეტად.

4. **სავალდებულო ენობრივი ცოდნა** – იგულისხმება ის ენობრივი კომპეტენცია, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ კონკრეტული საგნობრივი საკითხის/ცნების შესასწავლად (მაგ., ბუნებრივ კატასტროფებზე საუბრისას მოსწავლეები აუცილებლად უნდა ფლობდნენ თემის შესაბამის ლექსიკას და ესმოდეთ მნიშვნელობა ტერმინებისა, როგორებიცაა: წყალდიდობა, მეწყერი, მიწისძვრა, მდინარის კალაპოტი, ადიდება; მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამომხატველი კონსტრუქციები და სხვ.).

5. **არასავალდებულო ენობრივი ცოდნა** – ენობრივი შინაარსი, რომელიც გამოიყენება კონკრეტული საგნობრივი საკითხის/ცნების შესასწავლად, მაგრამ მისი ცოდნა ამავე საკითხის ასათვისებლად არ წარმოადგენს აუცილებლობას. მაგ., მათემატიკის გაკვეთილზე პროცენტების გამოანგარიშების

შესწავლისთვის თემატიკის არჩევანი შეუზღუდავია. მაგალითად, შესაძლებელია, მოსწავლეებს ვთხოვოთ გამოანგარიშება, კლასის რა პროცენტს ურჩევნია ზამთარი სეზონებს შორის; რამდენი უყურებს ამა თუ იმ სატელევიზიო გადაცემას და მრავალი სხვა. ორენოვანი სწავლების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია სავალდებულო და არასავალდებულო ენობრივი ცოდნის გათვალისწინება.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 20 აპრილის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 25.04.2012წ.*

**მუხლი 77. მულტილინგვური განათლების მასწავლებლის პროფესიული უნარები დაწყებით, საბაზო და/ან საშუალო საფეხურებზე**

მულტილინგვური განათლების მასწავლებელი უნდა ფლობდეს ორ ენას, რომელთაგან ერთი აუცილებლად ქართული ენაა.

**ა) მიმართულება: მოსმენა**

ა.ა) სპეციალობასთან დაკავშირებულ თემატიკაზე პრეზენტაციების, ზეპირი მოხსენებების შინაარსის გაგება და გაანალიზება (მაგ.: პრობლემატიკის, ძირითადი საკითხების გამოკვეთა, მთავარი და არამთავარი საკითხების, ვარაუდების და ფაქტების ერთმანეთისგან გამოიჯვანა, საგნობრივ საკითხებზე მიმდინარე საუბრის გაგება და სხვა).

**ბ) მიმართულება: კითხვა**

ბ.ა) სხვადასხვა ტიპის დარგობრივი ტექსტის (სახელმძღვანელოს მასალა, პოპულარულ-სამეცნიერო ჟურნალის სტატია და სხვა) გაგება და გაანალიზება (მაგ.: ტექსტში ასახული პრობლემატიკის, ძირითადი იდეის, პრობლემის გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა; მთავარი და არამთავარი საკითხების, ვარაუდების და ფაქტების ერთმანეთისგან გამოიჯვანა, ტექსტის ნაწილებს შორის არსებული ლოგიკური ურთიერთმიმართებების დადგენა და სხვა).

ბ.ბ) ობიექტის ან მოვლენის შესასწავლად სხვადასხვა წყაროდან მონაცემების მოპოვება;

ბ.გ) შინაარსის აღქმა-გააზრების გასაადვილებლად კითხვის სტრატეგიების გამოყენება.

**გ) მიმართულება: წერა**

გ.ა) სპეციალობასთან დაკავშირებულ თემატიკაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მაგ., ახსნითი, აღწერითი, მიმოხილვითი შემეცნებითი ხასიათის ტექსტი დამხმარე სასწავლო მასალისათვის ) შედგენა: აზრის თანამიმდევრულად განვითარება; ტექსტის სხვადასხვა ნაწილის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირება; ინფორმაციის შეჯამება; საკუთარი მოსაზრებების, დამოკიდებულებების გამოხატვა; ტექსტის ორგანიზების წესების დაცვა.

**დ) მიმართულება: ლაპარაკი**

დ.ა) სპეციალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბარი, დეტალების აღწერა, საკითხების/ცნებების ახსნა-განმარტება, თვალსაჩინოებისთვის კონკრეტული მაგალითების მოხმობა, ინფორმაციის შეჯამება, დასკვნის გაკეთება;

დ.ბ) საგანთან დაკავშირებული მოვლენების, საგნების, ცნებების დასახელება, აღწერა და კლასიფიცირება;

დ.გ) საგანთან დაკავშირებული მოვლენების, საგნების, ცნებების აღწერისას მეცნიერული ტერმინოლოგიის ადეკვატური გამოყენება;

დ.დ) საგანთან დაკავშირებული მონაცემების, ცნებების ინტერპრეტირება და ჩამოყალიბება;

დ.ე) საგანთან დაკავშირებული პროცესის მართვისთვის საჭირო დისკურსის (სხვადასხვა ტიპის მითითება, ინსტრუქციები, შექება-გამხნელება, ახსნა-განმარტება და სხვა) ფლობა.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 20 აპრილის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 25.04.2012წ.*

**მუხლი 78. მულტილინგვური განათლების მასწავლებლის პროფესიული ცოდნა**

ა) დარგობრივი ცნებები და ტერმინები ორივე ენაზე;

ბ) დიდაქტიკური ცნებები: მრავალენოვანი განათლება; ორენოვანი განათლება; შუალედური ენა (**Interlangue**), გადატანის უნარი (ტრანსფერი), ენათა მონაცვლეობის სახეები: მაკრო-, მეზო-, მიკრომონაცვლეობა, ენობრივი უკუგების ტიპები, სავალდებულო და არასავალდებულო ენობრივი ცოდნა, ენის სწავლის სტრატეგიები.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 20 აპრილის ბრძანება №83/6 - ვებგვერდი, 25.04.2012წ.*

### **მუხლი 79. სწავლების მეთოდები**

**მულტილინგვური განათლების მასწავლებელს დაწვევით, საბაზო და/ან საშუალო საფეხურებზე შეუძლია მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული ორენოვანი სასწავლო პროცესის დაგეგმვა:**

#### **ა) ორენოვანი სწავლების დაგეგმვა სასკოლო სასწავლო გეგმაში**

ა.ა) ეროვნული სასწავლო გეგმისა და მრავალენოვანი განათლების დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით, საგნის ფარგლებში, ენათა მაკრომონაცვლეობის დაგეგმვა, განსაზღვრა იმისა, თუ:

ა.ა.ა) რომელ საფეხურებსა და კლასებში წარმართება ორენოვანი სწავლება;

ა.ა.ბ) რომელი თემები/საკითხები ისწავლება პრიორიტეტულად სახელმწიფო ენაზე და რომლები – წამყვან სასწავლო ენაზე. თემების/საკითხების შერჩევა შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: მათი კონცეპტუალური შესაბამისობა სწავლების შერჩეულ ენასთან; რესურსების მისაწვდომობა; თემების ენობრივი სირთულის ხარისხის შესაბამისობა მოსწავლეთა ენობრივ მარაგთან (ენობრივი სირთულის ხარისხის განსაზღვრად მჭიდრო თანამშრომლობა ქართული ენის მასწავლებელთან);

ა.ა.გ) შერჩეულ თემებზე დაყრდნობით თითოეული ენისთვის სავარაუდო საათობრივი დატვირთვის განსაზღვრა; ორენოვან სწავლებაში ჩართულ მასწავლებლებთან ერთად (ამ ჯგუფში მოიაზრება ქართული ენის მასწავლებელიც), ურთიერთშეთანხმებული მოქმედებისა და ცოდნის ტრანსფერის ხელშესაწყობად, სხვადასხვა საგანში ენათა მაკრომონაცვლეობის გეგმის ბოლო ვარიანტის განხილვა/შემუშავება და წარდგენა სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩასართავად;

**ბ) ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების დაგეგმვა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას –** ქართული ენის მასწავლებელთან ერთად ქართულ ენაზე სწავლებისთვის შერჩეული თემის გაანალიზება ენობრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, კერძოდ,

ბ.ა) სავალდებულო ენობრივი ცოდნის განსაზღვრა თემაში წარმოდგენილი ცნებების, საკვანძო საკითხების გასაგებად; დადგენა იმისა, თუ რას ფლობს მოსწავლე ამ სავალდებულო ენობრივი მოთხოვნებიდან, რას უნდა დაეუფლოს თემის შესწავლამდე, რა უნდა დამუშავდეს წინმსწრებად ქართული ენის გაკვეთილებზე;

ბ.ბ) შესასწავლ საკითხებთან ცნებების გათვალისწინებით ე.წ. არასავალდებულო ენობრივი მასალის განსაზღვრა, რომელსაც გაააქტიურებს საგნის მასწავლებელი შერჩეული თემის ფარგლებში;

ბ.გ) მოსწავლის სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით საგაკვეთილო საგნობრივი და ენობრივი მიზნების, სასწავლო აქტივობების ტიპების განსაზღვრა; მოსწავლეთა ენობრივი მოთხოვნების გათვალისწინებით ენათა მეზომონაცვლეობის დაგეგმვა, კერძოდ:

ბ.დ) განსაზღვრა იმისა, თუ რომელი აქტივობა უნდა წარმართოს სახელმწიფო ენაზე, რომელი – წამყვან სასკოლო ენაზე (მაგ.: ახსნა-განმარტება – პირველ ენაზე, შეჯამება – მეორე ენაზე, ამოცანის ამოხსნა – პირველ ენაზე, ხელახალი ფორმულირება – მეორე ენაზე, თეორიული ნაწილი – პირველ ენაზე, პრაქტიკული ნაწილი – მეორე ენაზე და სხვა);

ბ.ე) ორენოვანი სასწავლო მასალის (ტექსტების, აქტივობების, თვალსაჩინოების – სქემის, გრაფიკის, რუკის, სტატისტიკური მონაცემების და სხვა) სათანადოდ შერჩევა;

ბ.ვ) ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე დაყრდნობით, ქართული ენისა და სხვა საგნის მასწავლებლებთან ერთად, ორენოვანი (მოკლე თუ გრძელვადიანი) პროექტების დაგეგმვა (მაგ., ორენოვანი კალენდარი მნიშვნელოვანი თარიღებითა და შესაბამისი კომენტარებით; ორენოვანი



ინფორმაციული ბუკლეტი სოფლის/რაიონის/ქალაქის ღირსშესანიშნაობებზე; ორენოვანი რეპორტაჟი და სხვა); მიზნების განსაზღვრა, რესურსების შერჩევა ორივე ენაზე, ძირითადი სამუშაოს შესრულების ეტაპების გამოკვეთა და სხვ.

**გ) შედეგსა და მოსწავლეზე ორიენტირებული ორენოვანი სასწავლო პროცესის წარმართვა**

გ.ა) ორენოვანი სწავლების ორგანიზებულად წარმართვა ენათა მონაცვლეობის სათანადო გამოყენებით :

გ.ა.ა) ბალანსის დაცვის მიზნით, საგაკვეთილო პროცესში დაგეგმილი მაკრო და მეზომონაცვლეობის დაცვა;

გ.ა.ბ) მიკრომონაცვლეობის გამოყენება ძნელად გასაგები საკითხის ხელახალი ფორმულირებისთვის; საგნობრივ საკითხებზე მსჯელობისას აზრის უწყვეტობის შესანარჩუნებლად; სათაურების, საგნისთვის დამახასიათებელი ლექსიკის, ტერმინების, ცნებების დასახელებისას, ენობრივი ხასიათის მითითებების მიცემისას;

გ.ბ) ენობრივი უკუგების ქმედითი/ნაყოფიერი ტიპების გამოყენება (მოსწავლის პასუხის გამოწვევა; (მაგ., *ამას როგორ ვამბობთ?*); ახსნა-განმარტების თხოვნა (მაგ., *რისი თქმა გინდა?*); ენობრივ საკითხებზე მეტალინგვისტური მითითებები (მაგ., *ეს მრავლობითია? ეს სიტყვა სხვა რამეს ნიშნავს . . . , აქ მოთხრობითი ბრუნვა უნდა? ასე არ ამბობენ* და სხვა); გამეორება წინადადებისა, რომელიც შეიცავს შეცდომას და მისი (შეცდომის) ინტონაციით გამოკვეთა;

გ.გ) ენობრივი უკუგებისას ზედმეტად არ შორდება საგნის კონტექსტს;

გ.დ) იმ ენობრივი პრობლემების მონიშვნა, რომლებიც დამუშავებას მოითხოვს ქართული ენის გაკვეთილზე.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 20 აპრილის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 25.04.2012წ.*

**მუხლი 80. ორენოვანი სასწავლო პროცესის შეფასება შედეგსა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შესაფასებლად**

ა) განმავითარებელი შეფასების გამოყენება ენობრივი და საგნობრივი შედეგების გასაუმჯობესებლად: ქართული ენის მასწავლებელთან ერთად საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების შეფასება, ენობრივი და საგნობრივი პრობლემების გამოვლენა და ჩანიშვნა, მათი ერთად განხილვა და სათანადო სტრატეგიების შემუშავება პრობლემების აღმოფხვრის მიზნით;

ბ) განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება საგნობრივი მიღწევების შესაფასებლად ორივე ენაზე.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 20 აპრილის ბრძანება №83/ნ - ვებგვერდი, 25.04.2012წ.*